


# ლიტერატურული გაზეთი

№24(160) 25 დეკემბერი 2015 - 14 იანვარი 2016 გამომდის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით ფასი 80 თეთრი



**პაატა ნაცვლიშვილი**  
**აკითხველიც**  
**ასეთი უნდა!**  
 II-III



აკა მორჩილაძე

## ნანერები

### პარდის და გულბულისა

სუმბუქი საგაზეთო სერიალი

ადგილი — ეს არს ნაკვეთი რამე ქვეყანისაგან, გინა სამყოფი, გინა დასადგომელი და დასაჯდომელი, დათქმული ვისიმე; ადგილად ითქმის ლახვართა კოდლობისა ნაჩენი. და ესეთი მცირე რამე.

საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული

პირველი სერია — ზამთარი არ მოდის  
 1.

სწორედ ქვაბლიანის გაბატონების წელს, უნივერსიტეტის მიხურვის გამოისობით, ფილოლოგიის ფაკულტეტის მესამე კურსი სხვათა დარად მიატოვებინეს ახალგაზრდა პოეტს, რომელსაც ძველი სტუდენტური ხიფთანის საყელოს ერთთავად მენამული შარფი უმშვენებდა.

ეს იყო რატომღაც თვალდარდიანი ნიკაპშელინდლული მოაზროვნე, ილია აბულასანი.

ყრმა პოეტი ცდილობდა, გარკვეულიყო პოეზიის ყოვლისმომცველობაში. მისი მენამული შარფისთვის თითქოს ზეციდან დაევალებინათ ბარიკადებზე ფრიალი.

იმ შემოდგომის ხანისთვის სტუდენტ აბულასანს უკვე გამოექვეყნებინა რამდენიმე ლექსი ჟურნალ ზღვისფერ ვარდებში, რომელსაც შემდგომში მიხვრეტილი პოეტი კანდიდ მარაველი რედაქტორობდა.

სიმბოლიზმზე მოლაპარაკე ახალგაზრდა ხალხი საჯარო ან კერძო საუბრისას მოიხსენიებდა ხოლმე მის ორ ლექსს, მერიპიპუსის ელეგიას და მენესტრელ ჟაკობ დე ბარბანდუას სტვირს. თავად სტუდენტი უკვე ეძებდა გულკეთილ ქველმოქმედს, რომელიც ერთ რასამე ხარჯს გაიღებდა მის ოცნებებში მოფრთხილად აღმანახის, დარდის ფარდების გამოსაცემად.

ილია აბულასანი დაეხეტებოდა მტვრიან ქალაქში და ფიქრობდა ედგარ პოსა და თავისუფლების მრავალგვარობასა და უკიდევანობაზე, რაიც მისი გონით განფენილიყო ასკეტ ბერის ყოფიდან თავაშვებულ მუსტანგობამდე. მას ელანდებოდა კუზიანი მზეთუნახავი და დანდი გემი სკოტლანდიის — მშფოთვარე ევროპის სიმბოლო.


VI-VII




**ლელა კოდალაშვილი**  
**რეალიტი უოუ თუ**  
**სოლიდური**  
**ლიტერატურული**  
**კონკურსი**  
 X-XI




**ედგარ ლი მასტერსი**  
**ეპიციფიები**  
 XIV



**ალექსი ქინქაშვილის**  
**გამოუქვეყნებელი ყაზიები**  
 VIII-IX



**ექსელუბიია**  
**ჯულიან ბარნსი**  
**დროის სმაური**  
**ფრაგმენტი რომანიდან**  
 XII-XIII



**ვასუბტის**  
**„წუთისოფალები“**  
 XV

არ მიტოვებ, თუ ჩემი „შესაკრებთა გადანაცვლება“ ესოდენ ცხოველ ინტერესს გამოიწვევდა. არაერთ უშუალო საუბარსა თუ სატელეფონო ზარს რომ თავი დავანებოთ, ამ ინტერესის დასტურად ის ორი პუბლიკაციაც კმარა, ჩემი ლექსის გამოქვეყნებას რომ მოჰყვა „ლიტერატურულ გაზეთის“ 4 სექტემბრის ნომერში. მხედველობაში მაქვს როსტომ ჩხეიძის ღია ბარათი „შესაკრებთა პოეტური გადანაცვლება“ (2 ოქტომბერი) და შალვა საბაშვილის გამომხაურება „ისევ „შესაკრებთა გადანაცვლების“ შესახებ“ (11 დეკემბერი).

როსტომ ჩხეიძის უაღრესად კეთილგანწყობილი „ღია ბარათი“ იმთავითვე გულისხმობდა და ერთგვარად მავალდებულვდა კიდევ „ღია პასუხს“, რაც გამოქვეყნდა კიდევ „ლიტერატურული გაზეთის“ 30 ოქტომბრის ნომერში („გორი, აგარა, ქარელი, სკრა“ ანუ „...აი“). და თუმცა შალვა საბაშვილის კიდევ უფრო მეტად კეთილგანწყობილი გამომხაურება არც გულისხმობს და არც მავალდებულვებს პასუხის გაცემას, არ შემოიძლია მადლიერებით არ შევეხებინა მის ავტორს.

აკი როსტომ ჩხეიძისადმი მიწერილ ღია პასუხშიც ვწერდი:

„ორ-, სამ- და ოთხსიტყვიან წინადადებებში „შესაკრებები“ სხვებსაც გადაუნაცვლებიათ. ზოგი ვიცი, ზოგი — არა. საგანგებოდ არ მიძებნია, თორემ იქნება, როგორ არ იქნება ასეთები ქართულ პოეზიაში“.

მართლაც, თანამედროვე ქართული პოეზიის ანთოლოგიაში „ორმაგი ავტოგრაფი“, რომლის პრეზენტაციაც ამ რამდენიმე დღის წინათ გაიმართა ილიას უნივერსიტეტში, შეტანილია კატო ჯავახიშვილის ლექსი „იოანე“, სადაც სამწევრიანი წინადადების „შესაკრებთა“ არასრული გადანაცვლების სამი ვარიანტი მოცემულია:

„მოთბა მთიბავმა ბალახი“  
 „მთიბავმა მოთბა ბალახი“  
 „ბალახი ბოთბა მთიბავმა“.

და აი, შალვა საბაშვილმაც თუმცა ასევე არასრული, მაგრამ შესაკრებთა პოეტური გადანაცვლების კიდევ ორი მშვენიერი მაგალითი შემომამგვლა: ერთი — თავისი, ოთხსიტყვიანი, 1987 წელს რომ დაუწერია და 1997-ში რომ გამოქვეყნებია და მეორე — კიდევ უფრო არასრული, მაგრამ შვიდსიტყვიანი და თანაც გალაკტიონ ტაბიძისა, ვახტანგ ჯავახიძის „უცნობიდან“. უნდა ვაღიარო, რომ პირველი არ წამიკითხავს, მეორე კი ვიცოდი, რაკი „უცნობის“ ყველა გამოცემა ნაკითხული მაქვს, მაგრამ მისთვის ჯეროვანი ყურადღება, როგორც ჩანს, ერთხელაც არ მიმიქცევია, რადგან შესაკრებთა ჩემული გადანაცვლებებით სულაც არ მეგონა, რომ ამერიკა აღმოვაჩინე ან ველოსიპედი გამოვიგონე და რომ ოდესმე აქ პრიორიტეტის საკითხიც დადგებოდა.

დიდი მადლობა მინდა მოვახსენო შალვა საბაშვილს ამ მაგალითების მოწოდებისთვის. უპირველესად კი მინდა, დიდი მადლობა მოვახსენო მას ჩემი ოპუსით ასეთი დანტერესებისათვის, მერე მისი ღრმა და მრავალმხრივი ანალიზისათვის და ბოლოს იმ საქმიანი და ზუსტი შენიშვნებისათვის, რომლებსაც მის გარდა ალბათ ვერც ვერავინ მომცემდა.

ის, რომ შალვა საბაშვილი განუწყვეტლივ და ინტერესით ადევნებს თვალს ჩვენს ლიტერატურულ ცხოვრებას და მათ შორის ჩემს პუბლიკაციებსაც, ჩემთვის ახალი არ არის. შარშან გაზაფხულზე მან ჟურნალ „ჩვენს მწერლობაში“ გამოაქვეყნა წერილი „ისევ „ერთი კარგი რითმის“ შესახებ“, სადაც თამაზ ნატროშვილის წერილს ეხმაურება და სხვათა შორის გრიშაშვილის „ასი ლექსისათვის“ წამძღვარებულ ჩემს წინასიტყვაობასაც იხსენიებს, როგორც საყურადღებოს.

ეგრეთწოდებული ძირითადი პროფესიით მათემატიკოსი ვარო, წერს შალვა. იმის მიუხედავად, რომ ჩვენ ერთმანეთს მრავალი წელია, ჯერ კიდევ ჩემი სტუდენტობიდან ვიცნობთ, მე მას ვიცნობდი, როგორც ასტრონომსა და პოეტს, არაერთი სამეცნიერო სამეცნიერო-პოპულარული თუ პოეტური წიგნის ავტორსა თუ მთარგმნელს, მაგრამ, ჩემდა სამწუხაროდ, არ ვიცოდი, თუ იგი ძირითადი პროფესიით მათემატიკოსი იყო.

„მათემატიკა და მათემატიკური პოეზია იმთავითვე მითაცვება, — კიდევ

პაატა ნაცვლიშვილი

$$y = n! = 1 \cdot 2 \cdot 3 \cdot \dots \cdot n = \prod_{i=1}^n i$$

მკითხველიც ასეთი უნდა!

ერთხელ უნდა დავიმონწილო როსტომ ჩხეიძისადმი მიწერილი ჩემი ღია პასუხი, — მუდამ განსაკუთრებული პიეტეტით ვიყავი გამძვავებული იმ პოეტებისადმი, რომელთაც ფუნდამენტური მათემატიკური ცოდნა(ც) და გამოცდილება(ც) ჰქონდა — ომარ ხაიამიდან მოყოლებული, ვიდრე, ვთქვათ, გურამ პეტრიაშვილამდე“.

შალვას მათემატიკოსობის ამბავი რომ მცოდნოდა, ამ აზბაცის ბოლო ფრაზა ასე ჩამოყალიბდებოდა:

„...ომარ ხაიამიდან მოყოლებული, ვიდრე, ვთქვათ, გურამ პეტრიაშვილამდე და შალვა საბაშვილამდე“.

გურამ პეტრიაშვილი ვახსენე და ერთი ამბავი უეჭველად უნდა მოგყვებოდა, ტელეფონით რომ მიამბო გურამმა: პატარაობაში, ავად რომ გავხდებოდი დედაჩემი, ძალუაჩემი და მამიდაჩემი რაღაც უსახელო სითხით დამზღვდნენ ხოლმეო. ერთი წელი არაყი იყო და ორი წელი ძმარო. ამ სითხით დაზღვდილი რომ ჩავწვებოდი ლოგინში და ოფლი დამასხამდა, იმაზე ვინცხვდი ფიქრს, რატომ უნდა ყოფილიყო ასეთი უებარი ნამალი უსახელო და გუნებაში სახელის ვარიანტებს ვეძებოდი. დედაჩემის, ძალუაჩემისა და მამიდაჩემის სახელებიდან პირველი მარცვლები მქონდა აღებული და ამ სამი მარცვლის სხვადასხვა კომბინაციიდან მინდოდა საუკეთესოს არჩევაო. ექვსზე მეტი ვარიანტი ვერ შევადგინეო. მეშვიდე ვეძებდი, იქნებ ის საუკეთესო იყოს-მეთქი, მაგრამ მეშვიდე ვარიანტი ვერა და ვერ გამომივიდაო. მაშინ რაკ ვიცოდი და მერე, უკვე მათემატიკის შესწავლის შემდეგ გავიგე, რომ სამი წევრისგან ექვსზე მეტი ვარიანტი ვერაფრით გამოვივლიდაო!

ისე მომეწონა ეს ამბავი, ოდესმე აუცილებლად სადმე დავწერ-მეთქი, გურამს ვუთხარი. რას ვიფიქრებდი, თუ ის „ოდესმე“ ასე მალე დადგებოდა!

მერე ჩემი ბავშვობისდროინდელი „საიდუმლო დამწერლობებიც“ გამახსენდა, რომლებიც მარცვლების ჩამატებებზე თუ მათ გადანაცვლებებზე იყო აგებული.

მე(ფე) მგო(ფო)ნი(ფი), ა(ფა)სე(ფე)-თი(ფი) ლოიდუმსა ბებლომწერდათ მა(ფა)ში(ფინ) ყვე(ფე)ლა(ფა) ბა(ფა)ვში(ფი) ი(ფი)ყო(ფო) გა(ფა)ტა(ფა)ცი(ფე)ბუ(ფუ)ლო(ფი).

მეორე ისიც გამახსენდა, როგორ ვცადე ჩემი სახელისა და გვარის ასოების გადანაცვლების ყველა ვარიანტი მომეძებნა. სახელი შედარებით ადვილად გამოვიდა და ბევრი ვინვალე თუ ცოტა ვინვალე, მგონი, ყველა შესაძლო ვარიანტი გავაკეთე, მაგრამ ცოტა კი ამებნა თავგზა, რადგან თუმცა ჩემს სახელში ხუთი ასოა, სამი ერთი და იგივეა და რეალურად ძნელი გასარჩევი იყო, რომელი „ა“ რომელ სხვა ასოს უცვლიდა ადგილს, სანამ თითოეული მათგანი სხვადასხვა ფერის „პასტით“ არ გავაფურადე. ხოლო გვარის 11 ასო ვერა და ვერ გადავანაცვლე ბოლომდე, თუმცა მისი 11 ასოდან სამი მეორედობდა და ერთი მესამედობდა კიდევ. მეჩვენებოდა, რომ 7, გინდაც 11, ასოს გადანაცვლების ზღვრული ვარიანტები დიდად მეტი არ უნდა ყოფილიყო 5 ასოს კომბინაციათა ზღვრულ ოდენობამდე. მაშინ რაკ ვიცოდი, რომ 7 ასოს გადანაცვლების 5040 ვარიანტი არსებულა, 11 ასოსი კი — 39916800! გვარს თავი კი დავანებე, მაგრამ როგორც ახლა ვიხსენებ, ეტყობა, სწორედ მაშინ დავინტერესდი შესაკრებთა პოეტური გადანაცვლებით. არა, გვარს თავი ბოლომდე, როგორც ჩანს, მაინც ვერ დავანებე, რადგან ხერხი მათემატიკაში კარგად დამკვიდრებული, მაგრამ პოეტიკაში სრულიად ახალი ტერმინით მოვსაძლე, რომელშიც ჩემი გვარის ფუძეც აირეკლა (ნაცვლიშვილი — გადანაცვლება). აი, აქ კი მართლა შეიძლება გამოვიდო თავი პირველო-

ბაზე! პოეტიკაში ახალი ტერმინის შემოტანა და დამკვიდრება პატარა საქმე არ გახლავთ. დამკვიდრება, აბა, რა არის, როცა ორივე გამომხაურების ავტორი — როსტომ ჩხეიძეც და შალვა საბაშვილიც ამ ტერმინის მართებულობას ეჭვქვეშ არ აყენებს და უშენიშვნოდ ხმარობს, თუ შენიშვნად არ ჩავთვლით იმას, რომ როსტომ ჩხეიძემ თავისი ღია ბარათის სათაურად გამოტანილ ამ ტერმინში სიტყვა „პოეტური“ ჩაამატა.

ეს ალბათ შემთხვევით არ არის: მწერალმა და ლიტერატურის მკვლევარმა როსტომ ჩხეიძემ შესაკრებთა ჩემულ გადანაცვლებაში უწინარესად ლექსი დაინახა. ხოლო პოეტი და მათემატიკოსი (თუ პირიქით) შალვა საბაშვილი, სწორედ თავისი მათემატიკური ბე(ქ)გრაუნდის გამო ჩემს „შესაკრებთა გადანაცვლებას“ განსხვავებული კუთხით(აც) მიუდგა და ზუსტად ამოიცნო მისი მთავარი თვისება. ხოლო ჩემი და როსტომის კითხვა-მიგებაზე სრულიად სამართლიანად წერს: „ისინი უბრალოდ საკითხის სხვადასხვა ასპექტზე არიან კონცენტრირებულნი და, ამდენად, შესაძლოა, პრინციპულად საკამათო არც არაფერი აქვთ“.

მითუმეტეს არაფერი მაქვს საკამათო თავად შალვა საბაშვილთან, რომელიც თავის გამომხაურებაში წერს:

„ცხადია, სტრიქონთა ყოველი ვარიანტის პოეტური სურნელი — ამოსავალი სტრიქონი კი იშვიათი წარმატებითაა შერჩეული — კითხვის მთელ პროცესში სასიამოვნო შეგრძნებას ქმნიდა, მაგრამ ჩემი, როგორც მკითხველის, ძალისხმევა სანახევროდ მაინც მათემატიკის სფეროში იყო გადართული და სიტყვათა უამრავი ექვსლემენტის სიმრავლის შეუცდომელ ურთიერთშედარებას ისახავდა მიზნად.“

როსტომ ჩხეიძე კი მწერდა ამ ჩემს ლექსზე, „ისეთი განცდაც კი მჩრება, რომ ჩემს გარდა თავიდან ბოლომდე ნაკითხვას შესაძლოა ვერც ვერავინ გაუძღლოს“, მაგრამ თურმე არათუ ნაკითხვა, მათემატიკის სფეროში სანახევროდ გადართული ძალისხმევით შალვა საბაშვილმა ორი შეცდომაც აღმოაჩინა ჩემს ლექსში — სხვადასხვა ადგილას თურმე ორი სტროფი მეორედება! ეს კიდევ არაფერი! — შალვამ ისიც გამოთვალა, რომელი ორი აკლდა, როგორი უნდა ყოფილიყო ის სტროფები სინამდვილეში. ყვეამონმე და იგი სრულიად მართალია! შალვამ ეს შეცდომები ჩემი მხრიდან ყურადღების მოდუნებას მიაწერა, მაგრამ როცა ჩემს ფოლდერში ჩავიხედე, აღმოჩნდა, რომ რედაქციამ დასახელებად ლექსის მრავალი ვარიანტიდან ერთ-ერთი წინა ვერსია გამიგზავნა, რომელსაც სახელად „ბოლო“ (Last) ჰქვია. ცოტა ქვემოთ კი, ინგლისური ანბანის მიხედვით, მეორე ფაილია შენახული, სახელწოდებით — „სულ ბოლო“ (Very last). შევადარე და ის ორი სტროფი ამ „სულ ბოლოში“, სწორედ ისეა, როგორც შალვა საბაშვილმა გამოთვალა. ფაილიც შემშლია და ის „შემოლილიც“ რედაქციაში გაგზავნის წინ აღარ გადაამოწმებია. ან როგორი გადასამოწმებელია!

„ესაა და ეს. მეტი უზუსტობანი მოყვანილ ლექსში არ არის — გულდაგულ შევამოწმე“, — წერს შალვა საბაშვილი. სამწუხაროდ, არის, როგორ არ არის. გაზეთის გამოსვლის დღესვე შევნიშნე ერთი შეცდომა, რომელიც უფრო თვალში საცემია, ვიდრე შალვას აღმოჩენილები. შალვა უფრო სიღრმისეულად ჩხრეკდა ჩემს ლექსს და ალბათ ამიტომაც დარჩა შეუმჩნეველი ზედაპირზე მოტივტივე უზუსტობა 52-ე სტროფში, რომლის ბოლო ხუთი სტრიქონი ასე უნდა იკითხებოდა:

52.2. გადებული მხარზე  
 თოხივით ჰქონდა მართლა ჰქონდა.  
 52.3. გადებული მხარზე  
 თოხივით ჰქონდა მართლა მზე.

52.4. გადებული მხარზე  
 თოხივით ჰქონდა მზე მართლა.  
 52.5. გადებული მხარზე  
 თოხივით მართლა მზე ჰქონდა.  
 52.6. გადებული მხარზე  
 თოხივით მართლა ჰქონდა მზე.  
 ეს შეცდომაც ფაილების აღრევის ბრალი გახლავთ.

ერთი სიტყვით, ისლა დამრჩენია, რედაქციასა და მკითხველს ბოდიში მოვუხადო უნებლიე შეცდომებისათვის, ხოლო შალვას დიდი მადლობა გადავუხადო მისი „სანახევრო“ ძალისხმევისათვის და წიგნში შეტანისას აუცილებლად გავითვალისწინო მისი სამართლიანი შენიშვნები.

მკითხველიც ასეთი უნდა! არა მგონია, ვინმე სხვას ეპოვნა ეს შეცდომები ჩემს ოპუსში! ნაკითხვით კი, ნახეთ, როგორ ნაუკითხავს:

„წინარემოებს სულმოუთქმელად გავეცანი. ამასთან, არა თანმიმდევრობით, როგორც ნებისმიერ სხვა ლექსს ნაკითხავდი, არამედ განუწყვეტელი უკუსვლებით... ამის გამო იმ ორ საათში, რომელიც ამ საქმეს დავუთმე, ლექსი მთლიანობაში ალბათ რამდენჯერმე მაინც გადავიკითხე“...

როცა ჩემი მათემატიკური ლექსების ცალკე წიგნად გამოცემას გადავწყვეტ, სწორედ შალვა საბაშვილს ვიხვებ მის რედაქტორობას. ჰონორარად დიდს ვერაფერს დავპირდები — უბრალოდ, ერთ მათემატიკურ ლექსს მასაც მივუძღვნი მთელი სულითა და გულით.

მათემატიკის სფეროში სანახევროდ გადართული ძალისხმევით, შალვა საბაშვილი წერს, მაგრამ მე კარგად ვიცი ამ „სანახევრო ძალისხმევის“ ფასი!

ჩემთვის არამათემატიკოსი ავტორისათვის, უდღესი კომპლიმენტი და სტიმულია მათემატიკოსი ავტორის ასეთი შეფასება:

„მე შევეცადე ამომეცნო, კონკრეტულად როგორი რიგით დაალაგა არამათემატიკოსმა ავტორმა სიტყვათა ყველა შესაძლო 720 კომბინაცია ანუ მიღებული ექვსსიტყვიანი წინადადებები (ეს შეიძლება უამრავი გზით მოხდეს!). აღმოჩნდა, რომ მან მიაგნო ძალზე ეფექტურ გზას (ამაზე ის არ გვიყვება).“

შემდეგ შალვა დაწვრილებით ანალიზებს ამ გზას, და მისი ზუსტი ანალიზი არანაკლებ რთულია, თუ უფრო რთული არა, ვიდრე ჩემს მიერ ხელის ცეცებით მიგნებული ის გზა.

ჩემთვის, არამათემატიკოსი ავტორისათვის კომპლიმენტი და სტიმულია შალვას სიტყვები:

„პაატა ნაცვლიშვილმა გაგვაცნო სხვადასხვა სივრცის წინადადებების სიტყვათა („შესაკრებთა“) გადანაცვლებების სრული სიმრავლეების მისაღწევად მის მიერ ათწლეულების მანძილზე შესრულებული მართლაც კოლოსალური სამუშაოს კონტურები და კომბინატორიკის ცალკეული ასპექტები, რომლებიც მოგვიანებით შეუსწავლია“.

შალვა საბაშვილი ჩემს მიერ განეულ კოლოსალურ შრომას უსვამს ხაზს, მე კი მისი მართლა კოლოსალური ძალისხმევით ვარ აღფრთოვანებული, რაკ არა და არ შეიძლება იყოს „სანახევრო“!

„კიდევ ერთი შემობრუნება აზრისა: ჩვენს წინაშეა 720 სრულიად განსხვავებული სტრიქონი. — წერს შალვა საბაშვილი და აგრძელებს, — ვთქვათ ამ სტრუქტურას მივანერეთ გარკვეული პოეტური შინაარსი. მაგრამ საიდან გავჩნდა სტრიქონთა ზუსტად ამგვარი თანმიმდევრობა? ეს ხომ ავტორისეული, შემთხვევითი, კონკრეტული დალაგებაა! შევუცვალოთ პირველ და 720-ე სტრიქონებს ადგილები — უკვე მივიღებთ სხვა დალაგებას, ანუ სხვა ლექსს! სტრიქონთა რომელიმე სხვა წყვილის ურთიერთშეცვლებით კიდევ ერთ ახალ ლექსს მივიღებთ და ასე შემდეგ. სულ კი რამდენი ლექსი გამოვა? ეს იქნება გონებისთვის აბსოლუტურად მიუწვდომელი რაოდენობა. მართლაც, აქაც გადანაცვლების იგივე პრინციპი მოქმედებს, რაც ფაქტორიალის ცნებას უკავშირდება“.

დაახ, ეს მართლაც გონებისათვის აბსოლუტურად მიუწვდომელი რაოდენობაა, რომელიც ასეთი რიცხვით გამოიხატება:  $720! = 26012189435657951002049032708104361119152187501694578572754183785083563115694738224067857795813045708261992057$



სიყვარულის ბრამატიკა

არ ვირწმუნე ორაკულის შეგონება, შარბათს ბედი რომ ფიალით შემასმევდა. ქვეყნად მოველ ტკივილების შემგროვებლად და, ძვირფასო, კიდევ თქვენდა შემასმენლად.

სიზმარ-ცხადში თქვენთანა ვარ, თქვენ გებარეთ, თუმცა ერთად არ გვლოცავდნენ თამადები. ამაყი ვარ, რომ ხართ ჩემი ქვემდებარე, არც უბრალო, არც ირიბი დამატება.

არხამდგარი გაკვეთილი

რომ არ იცნობდი, რატომ ამბობდი, რად უარყავი მწყემსი კეთილი! შენ უნდა მისცე ხალხს გაკვეთილი, ცოტა დრო რჩება რიბირაბომდის.

შენი სისხლია ანუ ყივრია, ვინც შენ მიგაჩნდა სულიერ მამად. კაცად დარჩენის შანსი გაქვს, მამალს ჯერ ხომ მესამედ არ უყივლია?

ორი შეხვედრა

თეატრთან შემხვდი. ავეგ ზნე. გეცვა მომწვანო კაბა რამ, უეცრად ლამაზ თვალეზზე ქარმა რომ წამოგაფარა.

მოგუახლოვდი ერთხელაც მაგ თვალთა — დასტურ მახეთა — უბედურების შემთხვევამ თქვენს სახლში შემომახეტია.

ვილაც აფრქვევდა მდულარეს, ვილაც სწყევლიდა გიჟ ექიმს... დედის ცხედართან მწუხარე ანგელოზივით იჯექი.

\*\*\*  
თეატრის სკვერში  
კინალამ ბავშვის ეტლმა გამიტანა.  
ეტლის მძლოლმა მომიბოდიშა —  
ლამაზმა დედამ.  
აბა, ულამაზო დედა სად გაგონილა?!  
კინალამ ბავშვის ეტლმა გამიტანა  
თეატრის სკვერში.

მშვენიერ მშვენიერს

თქვენს ფურცლებს ასდით სურნელი კომმის, სუნთქავენ უცხო ნელსაცხებლით. ასე მათრობენ მაისის გორში ყვავილობის ჟამს მე ცაცხვები.

წვლილი მითოსშიც შეგაქვთ, მზევინარ. თქვენ არ იცნობდით ათანასეს. აფსუსს, მითი რამ შეგაქმნევინათ გამოცხადებულ სატანაზე?!

მტერსაც არ ვებრძვი, ვინც წასულია, ამ ბრძოლით თავს რად გამოვყოფდი. მკვდრებზე ხომ ქართულ მიწას უვლიან, სასაფლაოსთვის გამოყოფილს.

თუ დაგალონებთ ჩემი რეპლიკა, შემომითვალეთ შეჩვენება. წყენა დროს მიაქვს, როგორც ფერფლი ქარს, დრო ვერ წამართმევს თქვენს მშვენიერას.

ლენხუმს მიმავალი სასიძოვს ფიქრიდან


მაყვალსა კრეფენ სასიდედრონი, ზოგი ჩამდგარა მწიფე ასკილში. მე წყალს მიცხელებს გზაში „თეთრონი“ — სასამსახურო ჩემი „მასკვიჩი“.

სასიამორონი სალამს მაძლევენ, აქ გულლიაა მოსახლეობა. თუმცა აღმართი წინსვლას აძნელებს, მათმა სალამმა მომცა მხნეობა.

გთხოვ, არ გააქრო, უფალო, ხვამლი, ტყეში — ნადირი, სახლში — ლუმელი, ყივილი მამლის, ბუხრიდან — კვამლი და საოცრება — თვით ლენხუმელი.

რას უმიზნებს მონადირა კავკასიონზე

მონადირემ გადიარა ქარაფი, ალაგ-ალაგ დაფარული იით. მონადირე ჯიხვს უმიზნებს კარაბინს, რომ ნუკრები დაუბოლოს ტყვიით.



ჯემალ ინჯია

ვერ გაბედავს ხველას მთების დუმილზე, გზანვრილებზე ჯამბაზივით დადის. მონადირე მარტო ჯიხვს არ უმიზნებს, თოფის ლულას როცა უშვერს ნადირს.

შეჯიბრი აქვთ კავკასიის მთიელებს, ყოველია იმ ჭკუაზე მდგარი, რომ გინესის წიგნში მისიცი იელვებს — როგორც ბოლო ჯიხვის მკვლელის გვარი.

წილადი

შენი ლოყები გამაცნო წვიმამ, ხვადი ლომების ნანატრო მდედრო. მე იმ შემთხვევას ვუნოდებ წილადას, ჩემს ოცნებას კი — გაფრენილ თეთრონს.

თავსხმა წვიმაში დავრჩით იმ შენი ქოლგის ამარა, მაინც დავსველდით. შენთან შეხვედრა იყო მნიშვნელი, სისველე — დარდის მეთასედი.

თუმცა ეს მოხდა დიდი ხნის წინათ, რომ გაგიმჟღავნო, მინდა, გულლიად: ლამაზო გოგოვ, იმ თავსხმა წვიმას ჩემთვის დღესაც არ გადაუღია.

\*\*\*  
მაჯილდოებენ ფრიდონ ხალვაშის პრემიით და დღეც ისე წყნარია, ზღვასთან ერთმანეთს ჰკოცნის ქალ-ვაჟი, ზღვა მათთვის ახლა მხოლოდ წყალია.

ცად ვარსკვლავები არ ამპნევია, რომ კვლავ ისე მე ჩამომწყვიტა. ვინ მიაქვავებს არამ პრემიას მამულზე ფიქრით ჩამოვერცხილ თმას?

ქუთაისისკენ

როცა მოგვწყინდა მელოდიები, გადავწვდით საბას რუქებს, ფინეზებს. ქუთაისის მივალ, მელოდებიან რეზო ჭეიას იუბილეზე.

გამოცლილია თურმე თერმოსი, მწყურვალმა ერთი ყლოუბიც ვერ მოვსვი. „ვოლვო“ კი, როგორც მელაკუდაი, მიუახლოვდა ნელა ქუთაისს.

ნიჟარა

ვაშალაშინე ნიჟარა და ისე მოგეცი (წავაშლევინე რამდენიმე ნაკლი შალაშინს). არავითარი ზღვის ხმაური შენ არ მოგესმის, — ჩემი სულია დამწყვედელი მაგ ნიჟარაში.

და თუ ოდესმე უჩემობამ გაგასავათა, აიღე ფრთხილად, არ შეხედო მაგას ავადა,

მიიდე ყურთან, უფრო სწორად იმ ბიბილოზე, მე რომ ვკოცნიდი და ჩემს სულზე ისე ილოცე.

სასოფლო ლექსი

პაპაჩემი დაუტევდა ხოლმე ხარებს: „ხი, ბრმა!“ თანაც სახრეს გადუჭერდა მავალს ოკრო-ბოკროდ. ის სოფლური იდილია ისევ ისე მხიბლავს, — დაწვებოდნენ, კარს არასდროს არ ადებდნენ ბოქლომს.

„ვაჰ, სოფელო, რა შიგან ხარ“, — ვიმეორებ ასჯერ. ნუთისოფელს ღმერთი მალე გამარიდებს, მჯერა, რამეთუ ღრმა სიბერეზე უფრო მძიმე სასჯელს სასამართლო კოდექსები არ იცნობენ ჯერაც.

„აპონანტი ღროზიტი მიუნვდომელია“

შენს ნაცვლად ცივმა ხმამ მიპასუხა — მიუნვდომელი რომ ხარ... ნეტავ, ვიცოდე, საით წასულხარ ან რომელი გზით მოხვალ.

იყო გაბუტვა, ეჭვი, დავები... და სიყვარული მძაფრი. დღეს უშენობას ვეჭიდავები შმაგი პოეტის აზრით.

და გულს ვასკდები განმარტოებით, მომნატრებისარ როგორ! დროებით... ვაჰ, თუ არა, დროებით მიუნვდომელო გოგოვ!

\*\*\*  
ენება მთელ სულს გთხოვს ისე, როგორც ფასკუნჯი — ხორცს. რას იზამ, უნდა მისცე, რადგან ძალიან გთხოვს.

ქვეშეცნულად ვიგრძნე, ამას რომ ვწერდი დღეს: ეს ბიბლიური სიბრძნე სახარებაში დევს.

უფალი რჩევას გაძლევს, რამეთუ შენთან არს: დააკაუნე კარზე და გაგიღებენ კარს.

მე თუ სულსა მთხოვს ენება, არ დავუზოგავ სულს, ღირსია, რაკი ნებავს, ერგება, რაკი სურს.

\*\*\*  
დღეს მეც ალბათ დავესწრები დღეობას, მთაში ვაჟა-ფშაველას რომ უხდია. მტვერში მისდევს გზა არაგვის ხეობას, მტვერია თუ პოეზიის მუხტია.

ჩემო კარგო, დიდი რაზიკაშვილის საუფლოში შენს მოკითხვას ჩავიტან. თუ აღსდგება მობილური კავშირი, უეჭველად დაგირეკავ ფშავიდან.

\*\*\*  
ლოგინში წოლამ იცის მიჩვევა, როგორც ჰაშიშის წვეის აზარტმა. ავადმყოფობამ ზურგი მიჩვენა, ხარბად ვისუნთქავ მინას, ნაზამთრალს.

თბილ სუნს გამოსცემს, რაც ნეშოშია, ნაზამთრალ მინას ხარბად ვისუნთქავ. სტვენს გაზაფხულის მაცნე შოშია, ჭირიც მოგჭამოს, გულო, ინსულტმა!

დილის სოტა

მინდა, ამ დილის ხოტბად აღვიძრა — ქალიშვილი ხარ თუ ნაზიჭვარი, ღმერთს უმადლოდე, რომ გაგაღვიძა, გადაინერე კრძალვით პირჯვარი.

ბიჭვინთისა და ბზიფის ხეობის ხომ ისევ გახსოვს ბზა და ფიჭვნარი? რომ ახდეს ნატვრა მოსახლეობის, გადაინერე კრძალვით პირჯვარი.

კიდევ — როცა ერთ სუსხიან დილას ქალის ხმით გეტყვის ყავის ფინჯანი: „დღეს არ გაცივდე, ჩაიცვი თბილად“, გადაინერე კრძალვით პირჯვარი.

გურამ პეტრიაშვილი

\*\*\* როდესაც ღამით მიდიხარ ბნელში და სადღაც იქით დატოვებ მარანს, უცებ იპოვი გზაზე დაგდებულს და ოდნავ მბჟუტავს ძველისძველ ფარანს.

აიღებ ფრთხილად, მკერდში ჩაიკრავ და გაგიტბება სინათლით გული და ატირდები, რადგანაც იგრძნობ, უბრალო სევდაც რომ არის რთული.

მოგეჩვენება, რომ თვითონა ხარ თან ეს ფარანი და თან სანთელი, ნახვალ და უკან აგედევნება დიდ ფარვანათა კორიანტელი.

\*\*\* იქნებ არ დამინუნო ეს სანყალი ყვავილი და არ იუკადრისო მკერდზე მისი ტარება, თორემ მოვრთო იქნება ტირილი და ბლავილი, ჩემი გულისტივილით ზეცა გაიბზარება.

\*\*\* „რა გითხრათ, რით გაგახაროთ?“ ილია

რა გითხრათ, ძმებო, რით გაგახაროთ? ვერაფერს გეტყვით, ვაგლახ, საამურს, საკანში ვზივარ სანყალი ბიჭი, საჭირბოროტოს ვუკრავ სალამურს.

ველარ მომივა ჩემი ნიქარა, ველარ გავანდობ ამ გულის ნადებს, გამოუჭრიათ ეშმაკებს ყელი, აშოხინებენ, ავაჰმე, მწვადებს.

ილრევებენ და გასწევენ ქვესკნელს არავინა ჩანს მათი დამწვევი... ...და მტვერში გდია ნიქარას გული – ქვეყნიერების სევდის დამტვევი.

\*\*\* დრო მოვა, ნავლენ ჩვენი მამები, მერე კი ჩვენი დედებიც ნავლენ, სანუთროს ტვირთით დამძიმებულნი სიკვდილ-სიცოცხლის დიდ ბჭეში გავლენ, აუყვებიან ქათქათა კიბეს და ვინც მიგველის, მასთანაც ავლენ...

\*\*\* ლალი ვარ, ლალი ჯიშისა, ლალი მშობლების შობილი, ლალი მყავს ნათესავები და ლალი დობილ-ძმობილი.

და საერთოდაც ლალი ვართ ვისაც ქართველად გვიხმობენ. ლალადაც ავციმციმდებით, როცა ვარსკვლავნი გვიძმობენ.

\*\*\* სიო ფარდას თუ აქანებს და ლანვებზეც თუ მიბერავს, მაშინ ღამით ნაზზე ნაზი მესიზმრება პეპელები.

მე იმ პეპელებს ნაზ სიზმრებში ნაზი სიოს ბადით დავედვ, დავიჭერ და ნაზზე ნაზად და სათუთად ვეფერები.

\*\*\* სასიამო დაგადუგი საკერავი მანქანისა ისმის, როგორც ძალოს სახლის გულისცემა საყვარელი. თუ რამე მსურს განმეორდეს ჩემს აბურდულ ცხოვრებაში, მხოლოდღა ის დაგადუგი ძვირფასი და სანატრელი.

\*\*\* ჩემი გულწითელები ვით წითელი ფთილები თოვლით გადათეთრებულ ჩვენს ქალაქზე ფრინავენ,

მათი მტრები – კატები მინას ვერმონყვეტილნი, იმედგადაწყვეტილნი ბრაზით ძირსა დრტვინავენ.

\*\*\* ეჩქარება გაზაფხულს, ხეები რომ აყვავდნენ და ჟუჟუნა წვიმებით რომ დასველდნენ ველები... გაზაფხულო, კარგი ხარ, მინდა „ბრაგო“ გიძახო, ბევრი ტაშისცემისგან დამელალა ხელები.

\*\*\* კუმ სამას ნელს იცოცხლა, კარგიც ნახა, ცუდიცა, არ უცდია ავდარში მყუდროს შეჰფარებოდა, ბოლოსა თქვა: „დამაკლდა ერთი რამე ნამდვილად, მსურდა, რომ გაგიჟებოდა ვინმე შემყვარებოდა“.

\*\*\* ძმაკაცი მყავს ბეჰემოთი, გაუუკეთე აუზი და მუდამ იქ დადგაფუნობს, უხარია ცხოვრება. ამბობს: „რომ დავბერდები, დავივინყებ სხვა დღეებს, ხოლო აქ ბანაობა მუდამ მემახსოვრება“.

\*\*\* ნიანგები ტკებებიან მწვანის ნიუნსებით, კიდეც ახარისხებენ სულ სხვადასხვა მწვანედო, უხარიათ: „აი, ეს მწვანის ნაზი ელფერი ქვეყნად სულაც არ იყო და ჩვენ მოვიტანეთ“.

\*\*\* ცისარტყელის ნაჭერი ბაზრობაზე ვიყიდე, ახლა რკალზე შვიდფერზე სახლში ვსწავლობ ცეკვასა, ხოლო დრო თუ დამრჩება, ერთ რამესაც ვისწავლი, საქმეს მეტად მზიარულს – ზანზალაკთა რეკვასა.

\*\*\* მუსიკისკენ ეგ სწრაფვა მართლაც მისაბაძია და გიხდება წერნეტას კლავიშებზე თავდახრა, შენი დაკვრით ახარე პარკები და სკვერები, რასაც ჰანგი ვერ მისწვდა, ყველაფერი გადახმა.

\*\*\* ეტყობა, რომ ქალაქში ვიოლინომ იფრინა და სულ ყველგან დაატყო მოფაფუკო თათები, აამლერა ლამაზად ხეები და სახლები და შუშებზე დატოვა ნაზი ათინათები.



პაატა ნაცვლიშვილი  
**!X**  
**მკითხველიც ასეთი უნდა!**

დასასრული

ექვსწევრიანი წინადადების მათემატიკურად შესაძლო ყველა ვარიანტის სტრუქტურირება გრამატიკის წესების დაურღვევლად და შინაარსის დაუმახინჯებლად.

ექვსწევრიანი წინადადებისა კი არა, სამწევრიანის მერე ყველა ენა უძლურია მსგავსი მანიპულაციისათვის, განსაკუთრებით უჭირთ იმ ენებს, რომლებშიც განირჩევა გრამატიკული სქესი და წინდებულები თუ თანდებულები ცალკე ინერება.

„რამე მსგავსი ჩემთვის ნაცნობ ენებში წარმოუდგენელია“, — სამართლიანად შენიშნავს შალვა საბაშვილი და ფაქტობრივად იმეორებს ჩემს სიტყვებს, როსტომ ჩხეიძისადმი მიწერილი ღია პასუხიდან.

თუ მე და შალვა ვცდებით, გაგვისწორონ სხვა და მეტი ენის მცოდნეებმა!

შესაკრებთა პოეტური თუ ლიტერატურული გადანაცვლება ქართული ენის შესაძლებლობების ერთი თვალსაჩინო დასტური და ნათელი მაგალითია. ურიგო არ იქნება, სხვადასხვა ფორმით იგი სკოლებში და უმაღლეს სასწავლებლებშიც ისწავლებოდეს. არ არის გამორიცხული, რომ შესაკრებთა პოეტურ გადანაცვლებაში ინტელექტუალური შეჯიბრებებიც კი გაიმართოს, ხოლო ლოგოპედებმა და მეტყველების პედაგოგებმა ამ ფორმის თხზულებები ინტონაციური მრავალფეროვნების საილუსტრაციოდ და მეტყველების კულტურაში მსახიობთა სავარჯიშოდ გამოიყენონ.

„არ გამოიკვირდებოდა, აღნიშნული ქმნილება რომელიმე ენათმეცნიერულ ჟურნალში მენახა დაბეჭდილი — მისი ფაქტობრივი სიმდიდრე ამას იმსახურებსო“, — წერს შალვა საბაშვილი და მართლაც, შესაკრებთა ლიტერატურული გადანაცვლება მრავალმხრივ საინტერესო შეიძლება აღმოჩნდეს ენათმეცნიერთათვის.

დაბოლოს, იქნებ ლინგვისტიკას ნაზიარებმა რომელიმე ინტერესიანმა პროგრამისტმა ან პროგრამირებას ნაზიარებმა ლინგვისტმა მცირე რამ პროგრამა დაწეროს შესაკრებთა პოეტური გადანაცვლებებისათვის?

მერე იქნებ შვიდწევრიანი წინადადებასაც მოვერეოდ, რომელსაც ამდენი წელია ვერაფერი მოუზუხერხე. ამდენი წელია ვატრიალებ შვიდსიტყვიანებს, მაგრამ ჯერჯერობით ვერ აღმოვანინე ისეთი წინადადება, რომ გადანაცვლებათა ყველა ვარიანტში მეტ-ნაკლები სიზუსტით შეინარჩუნოს შინაარსი. ლამის პუანკარეს თეორემად მექცა! არადა, რომელი გრიშა პერელმანი მე ვარ!

როგორც შალვა საბაშვილმა გაგვახსენა, აკი გალაკტიონსაც უცდია შვიდსიტყვიანი წინადადების შესაკრებთა გადანაცვლება, მაგრამ უშედეგოდ.

ეს ჩემი ექვსსიტყვიანი, „ლიტერატურულ გაზეთში“ რომ დაიბეჭდა ამ რამდენიმე კვირის წინათ და აზრთა ამდენი ალებ-მიცემობა გამოიწვია, როგორც ჩანს, ჯერჯერობით სარეკორდოა.

დაბოლოს, ერთიც უნდა ვთქვა: უაღრესად საინტერესო და ერთგვარად სამაგალითოა შალვა საბაშვილის მიერ საკუთარი ლექსის საფუძვლიანი ანალიზი. ეს დაახლოებით იგივეა, რაც მე ვავაკეთე როსტომ ჩხეიძისადმი მიწერილ ჩემს ღია პასუხში და ამ დღევანდელ წერილში. კარგი იქნება, თუ ჩვენს ლიტერატურულ ცხოვრებაში ასეთი პრაქტიკა გახშირდება და დამკვიდრდება. კარგი იქნება აგრეთვე, თუ ჩვენს ლიტერატურულ ცხოვრებაში მწერალთა თუ კრიტიკოსთა ისეთი საქმიანი და კეთილგანწყობილი შეხმიანებანიც დამკვიდრდება, როგორც „შესაკრებთა გადანაცვლების“ პუბლიკაციას მოჰყვა „ლიტერატურულ გაზეთში“. ვინ იცის, იქნებ გაზეთმა ამ პუბლიკაციითა და მასზე გამომხაურებებით ქართული პოეზიის ახალ ჟანრს დაუდო სათავე.

**P.S.** მინდა ვისარგებლო შემთხვევით და გავასწორო ერთი კალმისმიერი ლაფსუსი როსტომ ჩხეიძისადმი მიწერილ ჩემს წერილში: ნაცვლად ფრაზისა „ვინ გაიგონა გაჭიანურება მათემატიკაში! განა ვინმე იტყვის მილიონი გადაჭარბებული რიცხვიაო?!“ უნდა იყოს: „ვინ გაიგონა გაჭიანურება მათემატიკაში! განა ვინმე იტყვის მილიონი გაჭიანურებული რიცხვიაო?!“

**P.P.S.** როგორც მისი გამომხაურებიდან ირკვევა, შალვა საბაშვილს ჩემთან დარეკვა სდომებია, მაგრამ ტელეფონის ნომერი ვერ უპოვია თუ ვერ გაუგია. იმედია, მას კვლავაც აქვს ჩემთან დაკავშირების სურვილი და ამიტომაც აქვე გამჭვირვალე ლინგვისტურ-ფიზიკურ-მათემატიკური შიფრით მივანერ ჩემი ბინის ტელეფონის ნომერს: (√4) (3²) (3!) (ლ) (წყლის გაყინვის ტემპერატურა) (!!+2!).

დასაწყისი პირველ გვერდზე

ერთხელაც კი, დილის მერვე საათი იყო და აბულასანი ბედნიერი გამოვიდა ბინიდან და დაუყვარა მინდობილი სუნთქვით იწრო ქუჩას.

ეს იყო მისი უკანასკნელი ჩამოსვლიდან და ამ თავდადებულად.

სტუდენტმა-სიმბოლისტმა ჯერ არ უწყობდა, რომ გამთენიისას, ფეხსალაგადან ბოლომდე ვერგამოსული, მოეკლათ პრეზიდენტი სირიუს ამირბარი და მისი ერთგული ადიუტანტი ვერძელდვინელი.

ჭაბუკ ილიას ვერც კი წარმოედგინა, რომ იმ დღეს გამართულ ოცდაცხრა მიტინგიდან ოთხის მომწყობი თავად შეიქმნებოდა და ხალხს პირშავ მემბროხეთა წინააღმდეგ საბრძოლველად მოუწოდებდა.

პოეტმა აბულასანმა არ იცოდა, რომ ეს დღე გადასახვევებზე მთელ მის ცხოვრებას და მოღივლებულ ლექსთა წყობას გზას უტყვევებდა შარავანდს დიდი მებრძოლისას.

ჯერ მხოლოდ მეკურთხეები სჭამდნენ თავიანთ ხაშს ფეხზემდგომელად დუქნების წინ და ნაქეიფარი ჯელები იკრიბებოდნენ აბანოებთან.

ნაშუადღევს კი ილია აბულასანს გრძელი, მზინავი სავაზნე დაეხვია წელზე და შაშხანამომარჯვებული იდგა უნივერსიტეტის კიბეზე სხვა სტუდენტებთან ერთად.

მისმა ექსპრომტმა მიტინგის გვირგვინად ივარგა. იქ იყო ტაში და გვარდიელთა შექაბილი. ეს ლექსი როდი გახლდათ მოთქმა ისეთი, მეტად სევდიან პოეტებს რომ სჩვევიათ. იგი უფრო იყო შაითანბარული მარსელიეზა, რომელიც ვერ იქცა მარსელიეზად შემდგომდროინდელ მოვლენათა გამო.

ოდეს დაღამდა, დაიწყო ის, რასაც შაითანბარის სიკვდილი დაერქვა. სტუდენტები და შვიდი გვარდიელი უნივერსიტეტის წინ ჩანენენ, მთვარიან ღამით შეცისფრებული, ამოუცნობად მიმზიდველი ულამაზო შენობის დასაცავად.

ამათ შორის იყო ილია აბულასანიც, რომელიც იმ ექსპრომტს იმასხვორებდა: *ირწევა ჩემი ნითელი ნავი, ამ რევოლუციაში ხუთი ტყვიას, ოთხით ნავიმძღვარ იმქვეყნად მკვლელებს,*

*მეხუთე ჩემი გულის ჭიაა...* ამბობენ, რომ მერედამერე სწორედ ეს შაირი, რალაც მანქანებით ზეპირად გავრცელებული, ჩურჩულით წარმოითქმებოდა და ხოლმე გულჯავრიან მამულიშვილთა ღამეულ შეკრებებზე.

უნივერსიტეტი კი ისე დაეცა, როგორც სხვა ყველაფერი.

იქ იყო მწარე და უღმობელი ჩვეულებრივობა, რიმელსაც ჰყვებიან ხოლმე სამოქალაქო ომის შესახებ: კიბეზე დაგორებული, შუბლგახვრეტილი და თეთრპერანგა სტუდენტი, თავგანწირული, აკივლებული ბოზი გოგო და სროლაში გართული დინჯი გვარდიელი: დენთი და ცეცხლი, დაცხრილული, ნაჭურვალი შენობა, სანთლებად აბრიალებული ნიგნები დიდი ცოდნისა.

გამთენიისას კვამლიდან გამოაღწია ცხრა კაცმა.

ქალაქის განაპირას გასულ ოთხ გვარდიელს მიჰყვებოდა ხუთი სტუდენტი. მათგან ერთი, ილია აბულასანი, რომელსაც მხარზე მოეგდო კვლავაც ლულაგახურებული შაშხანა და უკვე გვარდიული ქუდი ეხურა.

— ყველას სასახლე უნდა დაგვეცვა, — ბურტყუნებდა სათვალისანი ბიჭი, ალბათ ისტორიკოსი, — რად გვინდოდა ცალკე შენობები...

— ამირბარის ჭკუაზე... გავრჩი წაღის ყუაზე, — ამბობდა ხნიერი გვარდიელი.

სასახლის აივანზე კი უკვე გადმოეკიდათ უფალ ამირბარის დაცხრილული გვამი. უღვაში მაინც ანკეპილი ჰქონდაო, იხსენებდნენ მერე, რაც სარწმუნო აღარ იყო.

ილიას ფეხები უკან რჩებოდა. უნდოდა, რომ მოესწრო, გამოთხოვებოდა მაინც. რა მოხდებოდა? როდისღა შემოაღწევდა, ჰა?

2.

ოჰ, ამალია საოცარი ქალი იყო: ორმოცს მიტანებული და თითქოს არმიტანებულიც. სქელტუჩება და მკერდდაფენილი. მისი ხითხითი განაქარვებდა მთელი შაითანბარის დარდებს და იმედებს, სიყვარულსა და სიკვდილსა. ამალიამ ისეთი გემრიელი ჭამა იცოდა, რომ მასზე თვალმისული ხალხი ქელეხშიაც კი მშვიერი რჩებოდა. შეაშტერებდნენ თვალს და სუფრას აღარც კი დახედვდნენ.

ამალიას წვრილი თითები ჰქონდა და მოქნიული გავლა-გამოვლა იცოდა. ის თითები მზესუმზირით გაშავებოდა და მზიან ამინდში ქუჩა მოჰქონდა ხოლმე. მისი თვალები სევდას და ხალისს ერთდროულად აფრქვევდა, მისი ჰაერი იყო რალაც, ნიავესა და მოლოდინს შორის. როცა კიბეზე ჩამოდიოდა, მთელი სახლი ზანზარებდა, ქვაბები ცმუკავდნენ ნავთქურებზე. მას ორი ხალი ებნია ზედა ტუჩთან, მარცხენა მხარეს და ეს დასასიზმრებელი ხალები იყო. მის ბინიდან ოთახში მოხალულ მზესუმზირის სურნელი ტრიალებდა.



აკა მორჩილაძე

# ნანერები პარდის და გულგულისა

## სუმბუქი საგაზეთო სერიალი

ამალიას ზედმეტსახელად შვიდაცა ერქვა, რადგან ოდესღაც ხელიდან დაძრომოდა შვიდ გაღებულ დრაგუნს, რომელთაც მისი გაუპატიურება სდებოდათ იმ შავს გულელებში. თუმცა, ამ დაძრომისა ბევრს არავის სჯეროდა და ამალია შვიდგზის უგვირგვინოდ ნასიყვარულე ქალად მიეღოთ. სხვაფრივ თავაშვებულ შაითანბარში ქალწულებრივი კდემის საკითხი საამაყოდ დარჩენილიყო და ამალიასაც აღარ ღირსებოდა ოჯახობის ტკბილი სიმძიმე.

ყარა ისმაილის აღმართზე იჯდა ხოლმე თავისი სახლის წინ ამალია შვიდაცა, დროით ფერნაცვალ, დაბალ სკამზე ათამაშებდა სახელგანთქმულ გავას და მზესუმზირას ჰყიდდა. ნახევარ ტომისკას თურმე თვითონვე მიირთმევდა და ხითხითებდა ნაფცქვევებით სავსე კალთის შემყურე, რადგან ხშირად ნაფცქვევი უფრო მეტი გამოდიოდა, ვიდრე სალი.

ეჰ, ამალია საკვირველი ქალი იყო და მიჯნურიც საკვირველ გასჩენოდა, ამ ქუჩისათვის სრულიად უცხო და მოულოდნელი.

ყარა ისმაილის აღმართი, მთას შეფენილი, დაკლანილი და მტვრიანი, არ იყო არც ბოჰემის, არც დიდგვაროვნების და არც სხვა ამათგვართა საცხოვრისი. ქალაქად ამ აღმართს იცნობდნენ, ვითარცა მზესუმზირის და ხალვის, მრავალგვარი ჩირისა და წვრილი კონტრაბანდის გამყიდველთა უბანს.

იმხანად ამალიას გულს უწვრილებდა ერთი შელოთებული, წარსულის სარდართა მებარახტრის ბერბიჭა შთამომავალი. ამოუცნობი ამბავია, მაგრამ ეს კაცი სწორედ იმ დღეს მიიცვალა, როცა ამალიას მიჯნური ენვია.

დილიდან ცრიდა. ამალიას შავი, გახუნებული ქოლგა წამოეხურა და მზესუმზირის ტომისკას უჯდა სახლის წინ.

შუადღე მოსულიყო, ქვემოდან მოსიმადა პეტრე-პავლეს ეკლესიის ზარებთა ამონასუნთქი, ხოლო აღმართს სამინი მოუყვებოდნენ, ღარბ სტუდენტთა დარ-

ად ჩაცმულნი, მზესუმზირის საყიდლად წამოხეტებულნი ქალაქის შუაგულიდან.

ამალიას ყოველთვის უკვირდა ამ სტუდენტთა ამბავი. სულ შავ ფულს ითვლიდნენ, სულ ჭიქანახევარზე ყოფნით ხურდა, სულ ორ ჭიქას თხოვდნენ და რალათ უნდოდან ამდენი სწავლა და წერა-კითხვა, თუ მასავით უქონელი დაერჩინა ღმერთს. დიდად არ იცოდა, რომ ღარიბები იყვნენ მათი პროფესორებიც და პროფესორთა ბიძაშვილებიც.

ბიჭებმა ჯიბეები მიუშვირეს ამალიას ხის ჭიქას.

ქალი უყრიდა და თან ათვალეირებდა. ღამის ერთნაირები იყვნენ, მარფები მოედოთ კისრებზე, კარტუზები ეხურათ და უბებებიდან დაგრაგნილი რვეულები მოუჩანდათ. სამივე წვრილტუჩა იყო, სამივე ღინღლ-გაუპარსავი და თითქოს დაბნეული. ხოლოდ ერთმა შეხედა ისე, შეხედდა რომ ჰქვია და ამალიამაც გაუცინა. იმან კი, მგონი, რალაც თქვა ქოლგისა და მზესუმზირის შესახებ. გადაიღებსო, თუ რალაც ამგვარი.

მერე ისინი უდარდელად ჩაუყვინნ ქუ-



# ნანერები პარდის და გულგულისა

ჩას და ამალიამაც განაგძო მზესუმზირის კნატუნი.

მალე წვიმა შეწყდა. ქალმა ქოლგა დაკეცა და სწორედ ამ დროს დაინახა კვლავაც აღმართზე ამომავალი ერთ-ერთი იმათგანი.

ჩქარი ნაბიჯით ამოდიოდა შესველებულ ქვაფენილზე. რატომღაც, ამალიას ქოლგა შეაცვივდა ხელში.

ბიჭი შორიახლოს გაჩერდა და ამალიას მიაშტერდა ფრთხილი, მახვეწარი, მომლოდინე თვალებით. ქალმა შესცინა, მაგრამ სტუდენტს თითქოს არც შეუშინებიაო.

— მე, — თქვა ბოლოს. — მე, რა თხა ხარ? — შეაგება ამალიამ. — მე... — გაიმეორა ბიჭმა. — შენ გინდა ჩემი არყის დაღვევა, ჩემ ლოგინში კოტრიალი და ჩემი ამოტანილი წყლით დაბანა, — ჩაიცინა ქალმა, ნაფცქვევები ჩამოიფერთხა კაბის კალთიდან და წამოდგა.

მერე ტომისკას წამოავლო ხელი, სკამი ერთ იღლიაში ამოიჩარა, ქოლგა მეორეში და სახლის კარი შეაღო ფერდით.

სტუდენტი მიჰყვა და ჭრილა კიბეზე ამალიას მისი შიშნარევი, თამამი ხმა მოესმა:

— მე მიყვარხართ...

დილით კი კვლავაც წვიმდა, რადგან წვიმის კვირები იდგა. ღამე კი ვარსკვლავიანი გამოვიდა და თითქოს ყველა ვარსკვლავს ყარა ისმაილის უბადრუკი ქუჩის თავზე მოეხდინა აღლუმი. იჭყიტებოდნენ მხიარული მხალავის ოთახის სარკმელში და ამალიას საწოლი სამართხელო იყო, ისეთი, რომ ორთათვის ზედ დატევის ერთადერთი ხერხი გამოინახა.

— ილუშა, ილუშა, რა პატარა ხარ?

3. იყო ხოლმე შაითანბარში ერთი კაცი, ტომით უცხოელი, სწავლით თვალეზამღვრეული და დღლილი, ხელობით უცხო მხარეთა მკვლევარი, სწავლით ჰაიდელბერგის პროფესორი, სულიერებით ამ ქალაქის ტრფიალი.

ეს გახლდათ რაინერ ფონ ტრონკა, კაცი აღსრულებული შაითანბარშივე, მისივე სიყვარულით კალმის წვერზე და იქავე დაკძალული ქვაბლიანის გაბატონებამდე ორიოდ წლით ადრე.

მაშინ, ცხოვრებულ ფონ ტრონკას დაკრძალვა-დატირების კომიტეტმა თავის მთავარ საბჭოში მიიწვია ჰაიდელბერგში პროფესორის ხელქვეით მეცადინე დოქტორანტი, მავანი ედმონდ, გლოჩესტერის ჰერცოგის უკანონო ვაჟი, რომელიც გერმანელი დედის გვარით დაიარებოდა დედამიწაზე.

მომავალმა ღირსეულმა სწავლულმა მიწვევა სიამოვნებით მიიღო და თუმცა დაკრძალვას ვერაფრით ჩამოუსწრებდა, მოძღვრის გარდაცვალებიდან მეორმოცე დღეს მაინც ჩამოვიდა და ადათის ასრულებასაც დაესწრო.

მერე დოქტორანტი გაემგზავრა, მაგრამ მოულოდნელად დაბრუნდა და ოთახიც დაიჭირა სამი ძმაბიჭის ქუჩაზე, ჩემი მასწავლებლის საქმე უნდა განვაგრძო, მისი ნაწერები შევისწავლო და შევაგვსო და შაითანბარის ჯადო-ამბავი ევროპას მოვდოო.

ცხადი იყო, მასაც ამ ქალაქში გადაეწვიტა სიკვდილი, რადგან უცხო თვალისთვის ასე ირჯებოდა: დუქან-დუქან დაეხეტებოდა, ქალაქურ ლექსებს ჯერ-ჯერობით ლათინური ასოთწყობით ინერდა ერთ სრულიად წამხდარ რვეულში და მერე ამავე დუქანში იღებოდა, რადგან მოწოდებულ ჭიქას ჩამორთმევა უხდებოდა. ამას კი ის მოსდევს, რომ თავადაც უნდა გაიკრა ჯიბეზე ხელი.

ამიტომ, იმ გაუბედურებულ რვეულში ლექსებთან ერთად ფირუზი ჯალიანის და სხვა სახელოვან მედუქეთა ნისიის ცხრილებიც გაჩენილიყო.

საქმე რომ გაჭირდა და ედმონდ ვალის ციხის კართან აღმოჩნდა, ნაირგვარმა სულიერების კომიტეტებმა და ღვინის საზოგადოებამ მედუქენები დააშინა, ჩვილს თავი ანებეთ თორემ ემაგ სამიკიტნოებს მიგოლენავთო. ქალაქის თავმა, ბენიამინ მომგონარმა თუმცა სტიკუნდია ვერ დაუნიშნა შაითანბარული კულტურის მკვლევარს, მაგრამ საგანგებო ბრძანება-მონოდება კი გამოსცა, სირაჯებო, თქვენი წუნურაქობით სამშობლოს სახელის გავარდნას უშლით ხელს და არაფერი გიჭიროთ, ერთს მეცნიერებს და ჩვენი ქვეყანას შეწირულ, უსიტყვო და წესიერ ახლაგაზრდას თუ შეინახავთო.

ამის შემდეგ დოქტორანტს ხეირალოთი დაერქვა.

სწორედ ეს სწავლული გამოდგა ის კაცი, რომელმაც შაითანბარის უბედურება პირველმა ამცნო მსოფლიოს.

მსოფლიო დიდად არ გაოცებულა, მაგრამ ცნობად მიიღო.

ხეირალოთი სასტუმრო ნოეს აივანზე იჯდა, როცა ამოვლილმა ნაცნობმა უთხრა, ფოსტაში ჩაირბინე, შენს სახელზე დიდი, ღერბიანი კონვერტი ასვენია მაგიდაზეო.

ედმონდ როდის-როდის აიკრიფა და ფოსტიკენ ნაჩანჩაღდა. იქ მისულმა დაბნეული შეპყრობილობით გახსნა მსუქანი, ყვითელი კონვერტი, რადგან იმნამსვე იცნო თავისი უკანონო მამის, გლოჩესტერის ჰერცოგის ღერბი.

და იქ, ფოსტის ნესტიან ოთახში, გალოთებულმა დოქტორანტმა შეჰყვირა.

სწორედ იქ აღესრულა ედმონდ და ქვეყანას მოევიწია გლოჩესტერის მერომელილაცე ჰერცოგი.

უფროსი გლოჩესტერი, მარტოხელა დიდგვაროვანი, ერთგული იმ ერთადერთი უცხოტომელ ქალისა, რომელმაც ვაჟიშვილი აჩუქა და რომელიც არ შეართვევინეს გასაგებ მიზეზთა დამონებით, გარდაცვლილიყო, მაგრამ სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე მაინც მოეხერხებინა და იმ ომლოულ ბრიტანის რომელილაც სასამართლოში, ნოტარიუსთა და ვეჟილთა მხარდაჭერით, ტიტული და თვალშეუდგამი მემკვიდრეობა დაემტკიცებინა თავისი უკანონო ვაჟისთვის.

ახლა ახალგაზრდა გლოჩესტერს სამშობლოში ინვედნენ მეტად მნიშვნელოვანი ქალაქების გასაფორმებლად და მთელი იმ უძრავ-მოძრავის მისაღებად მამისეულმა მოდგამა რომ დააგროვა საუკუნეთა განმავლობაში.

მატარებელი თეირანი-ბაქო-შაითანბარის-სოხუმი-ადესა-ვარშავა-დანცი-

გი-ბერლინი-ჰამბურგი კვირპოვით ჩამოვიდა ხოლმე. ამიტომ, იმ შაბათს საღამოს ხეირა ერთხელაც გამოსკდა გლოჩესტერობით გრძობამორეული, ახალი ამბით აღტაცებულ შაითნელ მენინახეთ გრილი შუბლები დაუკოცნა და მალე, სულ სხვაგვარი დაბრუნება აღუთქვა.

ეს იყო 1919 წლის ორ ოქტობერს. მეორე დღის ამბებისა კი უკვე უამრავი რამაა გადარჩენილი. ახალგაზრდა გლოჩესტერი ვეღარ შეახტა შინდისფერ ექპრესს.

პირშავ მემამბოხეთა ჯარმა სადგური დაკეტა და ბაქოდან მომქროლავ მატარებელს აცნობა, შაითანბაზარში არ გაჩერდეს.

ეს იყო უკანასკნელი მატარებელი, მხიარული ქალაქის მიწაზე რომ გამოიქროლა და ასე გაუჩერებელი წაიყოლა მისი ბაქიდან ნამოკრეფილი სიხარულები და სამოთხეები და უკანასკნელი სიფრიფანები უმითისა.

ახალგაზრდა გლოჩესტერი ამბობებულთა პირველი ტუსალი გამოდგა. მან ტანსაცმელი შემოიხია სადგურის მოედანზე და სალდათებს მათსავე ენაზე აგინა.

უცხოელობა რომ არ შეეცყოთ, იქვე დახვრეტდნენ, როგორც არაერთი დახვრეტეს იმ საღამოს.

სადგურის სარდაფში მას გაესაუბრა იქ საგანგებოდ მოსული პოლკოვნიკი ასურასტან ასურასტანი, რომელიც მემამბოხეთა ჩუმი მეთაური კი იყო, მაგრამ კარგ ოჯახში აღზრდილი და ნასტუდენტარი გახლდათ და ხედებოდა, რომ როცა ქვეყანას ატრიალებ, უცხოელებს, თუნდაც ლოთებს, უნდა ეფერო, რადგან მათ მშვენივრად ესმით ყველაფერი და აშკარაა, რომ შენს მხარეს არ არიან.

— ბატონო, — უთხრა ჭრელთვალემა ასურასტანმა, — ტყუილად გაცოფდით. მე გაგიყვანთ აქედან. ლიანდაგს დაადგებით და წახვალთ. მე შემძლია დაგნიშნოთ ჩვენს რწმუნებულად ევროპაში...

— მკვლელები ხართ! — შესძახა ედმონდმა, — შენ ელაპარაკები გლოჩესტერის ჰერცოგს. ეგ ერთი. მერე ის, რომ თქვენს ინტერესს მე არ წავიგებ. მე ამ უბედური ხალხის ინტერესს წავიგებ და იქედან შემოვუტევთ...

ასურასტანმა გაიღიმა. — ასეა თუ სხვანაირად, მე მაინც განთავისუფლებთ. იმ პირობით, რომ თუ ხვალ დილით ქალაქში გნახავენ, სადაც გნახავენ, იქ დაგხვრეტენ ყოველგვარი ვეჭილის გარეშე.

პოლკოვნიკმა საშვი მიაგდო სკამზე და კარისაკენ წავიდა. ხეირა-ლოთი მალე ამოვიდა და ლიანდაგს გაუყვა. შემოხეული კოსტუმი სიარულს უშლიდა, გამშრალი ყელი — სუნთქვას.

ქალაქს რომ გასცდა, ლიანდაგზე ჩამოჯდა და თავი ხელებში ჩარგო. იფიქრა, რომ ლოთი იყო და საგაყეთში ცხოვრობდა. მხოლოდ ოცდახუთი წლის იყო და მოხუცს ჰგავდა. სამ წუთში სამჯერ შექულდა შაითანბაზარი და სამჯერ შეუყვარდა.

ტიროდა. დიდხანს და დიდხანს. მისრემ გამოაფხიზლა. ჩამქრალი ყალიონი ეჭირა და დაბნეული დასცქეროდა.

- რათ არ გააჩერა? — ჰკითხა ხეირას. — ომი დაიწყო, — მიუგო ამან. — უცხოელი ხარ? საიდან? — ომის ამბავი თითქოს არც გაუგიაო. — შორიდან, — ხელი აიქნია ჰერცოგმა.

მისრემ კეფა მოიქეცა. ახალგაზრდა გლოჩესტერი წამოდგა და ისე, რომ მისრისთვის აღარც შემოუხედავს, ლიანდაგს გახედა. უცნობი სოფლების გავლით მან მიაღწია ცნობილ ქალაქებს.

4.

იმ წყეულ დღიდან გასულიყო სწორედ ოთხი თვე და მეტი და შაითანბაზარის ახლო ტყე-ქვაბულებს თავშეფარებულმა ამირბარის მებრძოლებმა გადამწყვეტს იერიშით მოერბათ ქალაქის გარეთუბანი, სადაც პირშავ მემამბოხეთა მთავრობას ლობიოს სანყოფნები მოეწყო ახალი ჯარისთვის. ფიქრად იყო, რომ ამ მორბევისას რამდენიმე ტომარაც გამოეტყავთ, რადგან ტყის ძმობა შიმშილია და ზამ-

თრის ღამეებით გამხმარ კუჭს ადრიან გაზაფხულზე მაინც სჭირდება შენებივრება.

მორბევის გეგმა დასხეს გვარდიელმა ხუხუნია ხუხუნიმ და პოეტმა ილია აბულასანმა.

ეს გეგმა უნდა წარედგინათ შაითანბაზარში სულის მლაფავი იატაკქვეშა კომიტეტისთვის, რომელსაც ზნეობრივი თვალსაზრისით უნდა შეეფასებინა მორბევა და ან უარი ეთქვა, ან ყაბული შემოეთვალა.

ხუხუნია ხუხუნიმ ამ საქმის უკეთ მოსაწყობად მოიხმო ერთი ყარაიელი ყაჩალი, აბას ნური, რომლის სახელგავარდნილი ბრბოც მაშინ ახლოში დათარეშობდა და შაითანბაზრის კიდევსაც უწევდა ხოლმე.

აბას ნური და ხუხუნია ხუხუნი გამოქვაბულში ისხდნენ და ვაზნებს ითვლიდნენ, ხოლო აბულასანი სანყოფის ახლო ქუჩების მიახლოებით სათავისო გეგმას ხაზავდა ქალაქის ნახევზე.

სწორედ ამ დროს მორიგე გუშავი შემოვიდა, ცეცხლს მიუჯდა და როდის-როდის ამოღერდა:

— იქ ერთი კაცია. მე თუ მკითხავთ, ხეირა ლოთი იქნება, მარა ნამეტანი გამოცვლილი და გაბერილია. თან ვილაცები ახლავან. ცხენებით არიან.

ამ სიტყვებზე გამოქვაბულში, სქელ, ორმაგ ქურქში გამოხეულმა უცნობმა შემოაბიჯა და მტკიცედ, თუმცა, ოდნავი ქოშინით განაცხადა:

— მე გლოჩესტერი ვარ. შაითანბაზარის საერთაშორისო დახმარების საბჭოს თავმჯდომარე. მიხდა, ვნახო პარტიზანების მეთაური ხუხუნია ხუხუნი...

აბას ნურიმ ხანჯალი მოისინჯა და გახარებულმა შესძახა:

— ცხვარი მგელთან მოსულა! ნამდვილად მოეწონა ორმაგი ქურქი და ბენვის ქუდი.

— ვინა ვარო? — ჩაეკითხა ხუხუნი. უცნობმა ქუდი მოიხადა და ყველამ დაინახა მანათობელი ფერის თმა.

— ეგრე გეთქვა, — დამშვიდდა მეთაური და მოსულს გადაეხვია.

ყველა შაითანბაზრელმა იცოდა, რომ ხეირა-ლოთმა სადაც შორეთში დააარსა საბჭო, რომელიც აქედან გაქცეულებს და ქვეყანაში დარჩენილ ამირბარელებს ეხმარებოდა.

— იარალი ჩამოვიტანე, — თქვა ახალგაზრდა გლოჩესტერმა და გამოქვაბულის შესასვლელისკენ გაბრუნებულმა კატასავით დაიკნაულა.

მალე გამოქვაბულში დიდი ხის ყუთები შემოზიდეს. იქ იყო სამოცი შაშხანა და აუარებელი ტყვია-წამალი.

— ოჰ, ამით მთელს ქალაქს ავიღებთ, — შესძახა აღტაცებულმა ილია აბულასანმა.

ჰერცოგი ცეცხლთან ჩამოჯდა.

აბას ნურიმ მაინც ვერ მოითმინა და თუმცა კრძალვით, მაგრამ მაინც თამამად შეჰბედა:

— მაჩუქე ეგ ფაფახი, მე ჩემ ფაფახს გიფეშქაშებ.

— ვინ არის ეს კაცი? — იკითხა ხეირამ.

— ჩვენი ძმა და დამხმარე, აბას ნური, — შეაგება ხუხუნიმ, — როგორ იმგზავრეთ?

— საზჰვარზე ოსმალები მელოდებიან, — თქვა გლოჩესტერმა, — თუ არის რამე მემორანდუმი ან მიმართვა, გამატანეთ. გამთენიას უკვე ისინი მელოდებიან. ხუხუნია ხუხუნიმ ადლიან წვერზე

ჩამოისვა ხელი და ჩაიფიქრა.

— ილუმა, — თქვა ბოლოს, — ქალაქში უნდა წახვიდე, კომიტეტის წევრები ნახო და თუკი რამე აქვთ, წამოიღო. გამთენიას აქ უნდა იყო.

ილია აბულასანი უცებ აენთო, დააცხუნა უცაბედი თავგადასავლის საშუალებაში.

— შვიდ საათამდე დაგელოდები, — უთხრა გლოჩესტერმა, — თორემ, იცი, შაითანბაზარი ახლა ცხეხა.

— ნუ გეშინიათ, — თქვა პოეტმა და ნაგანი გაიჩქო ქამარში, — განა პირველად მიწვეს...

5.

ამალიას რომ სძინებოდა, ვერ გაიგონებდა უფრთხილეს კაკუნს ნაშუალამევს.

— ვინ ხარ? — იკითხა ქალმა.

— მე, — მოისმა ჩუმად.

სამყაროსათვისთვის შაითანბაზარის უბედურების შემახსნებელი განცხადებებით უბეგამოტენილი ილია აბულასანი ყარა ისმაილის აღმართისკენ წამოეყვანათ გათოშოლ ფეხებს.

ლამპის შუქზე ჩანდა დიდი, შავი შლაპა, გვარდელი ფარაჯა და მეჩხერი წვერი ნიკაპზე.

ამალია მოეხვია გადაკარგულ სატრფოს და ისე აკოცა, როგორც იციან მოუღელელმა ქალებმა. ნასტუდენტარმა ჩამოლო ხელი მის ნაცნობ ნელზე.

მერე კი დასხდნენ.

— შენც ტყეში ხარ?

ილია აბულასანმა მაგიდაზე დადებულ ნაგანს შეხედა.

— ბევრი ხართ?

— არა. ზოგი ოსმალებში გავიდა.

ბიჭმა თითებში მოიქცია ამალიას ხელის მტევანი.

— რა კარგი ხარ ილუმა-მელექსე, — გადაიკისკისა ამალიამ.

— გათენებისას იქ უნდა ვიყო. კომიტეტის წევრები ვნახე. შენ მომენტარე და ქალაქდები მინდა კიდევ. ფანქარი თუ გაქვს?

— შენ რაც დატოვე ყველაფერი მაქვს. ნიგნები, ქალაქდები, ფანქრები, დახეული ფურცლები. ყუთში ჩავალაგე და ალიხანას ეტაფერკაზე შემოვდე გარეთ...

ყველაფერი კარგი იყო. მიმქრალ ლუმელში ცეცხლი აგიზგიზდა და ამალიამ წყალი გააცხელა. მერე პოეტი ვარცლში ჩაჯდა და იმდენი ხეხა მშვენიერმა მემზესუმზირემ, რომ ასე აბანოშიც არ გახეხათ სპარსეთის შაჰი.

მენაშული შარფიც ამორეცხა ამალიამ, ლუმელთან მიაფინა სკამზე და ნახევრადმიშველმა წყლით სავე ვარცლი ჩაიტანა ჯერაც ყინვიან ქუჩაზე გადასაქცევად.

ილუმა კი ინვა აგურით გამთბარ ლოგინში და ენეოდა გრძელ პაპიროსს. ზღაპარი იყო. ამალიამ ისეთი გულით იცოდა ხვევნა.

პოეტს ერთი საათიც არ სძინებია. კარზე ბრაზუნმა გამოაღვიძა.

— ვინ იქნება? — ჩუმად ჰკითხა ქალს.

— კომენდატურა, — მშვიდად მიუგო ამალიამ.

აბულასანმა შარვალი ამოიცვა და ნაგანს გადასწვდა. მერე შარფი მოიგდო კისერზე და კედელს აეკრო.

— მიდი, ჰკითხე, — უჩურჩულა ქალს და სწორედ იმნამს კარს იქედან გაისმა:

— ჩვენი ძმა! არ გინდა, ჩვენი ძმა! აბულასანს ხმა არ ამოუღია, არც ქალს.

— არ გინდა ახლა გასუსვა, ჩვენი ძმა! მაკროპულოს\* ქუჩიდან მოგყვები და

გელოდებით ქვემოთ ორი საათია უკვე. არ ჩამოხვედი, ჩვენი ძმა, და რა ვქნა, დავიყინეთ. გამოდი ახლა და წამოგყვები.

ოთახში ისევ სიჩუმე იყო. — თორმეტი კაცი ვართ ჩვენ, ჩვენი ძმა, და არ გინდა რამე. გავგზავნე და ათეული მოვიდა აგერ. კაცი ხომ უნდა იყო, კაცი. გაცალე ყველაფერი შენს ოჯახში და გამოდი ახლა სერჟანტ ისიდორ ქუმელის ხელქვეით. თუ არა, მოგვინევს ამ კარის შემოგლეჯა და ქალსაც რომ მოხვდეს ტყვია, მოგვეჭრება თავი შენც და ჩვენიც, ჩვენი ძმა! მიდი, ჰე, გელოდები, საჩხაკუნო დადე მანდ სადმე და გამოდი.

აბულასანი ერთხანს ჩუმად იყო. მერე ნაგანი დადო მაგიდაზე და ამალიას გადაეხვია. ქალი იცრემლებოდა, თან, თითქოს იცინოდა კიდევ. პოეტს ხელები გასცივებოდა და თვალდახუჭული ეკვროდა საყვარელს. — მიდი, ჰე, ჩვენი ძმა, — შეუძახა ისიდორ ქუმელმა. და აბულასანმა უთხრა ქალს: — გააღე...

\* მაშინ შაითანბაზარში იყო მარკო პოლოს ქუჩა, რომელსაც უბირი ხალხი მაკროპულოსას უწოდებდა. შემდგომ ამ ქუჩას ასურასტანის სახელი დაერქვა.

6.

გზა ერთი ჰქონდა დატუსაღებულ ილია აბულასანს. მალევე მიხვდა: ალბერვილის სახლისკენ მიჰყავდათ.

ახლა იქ იყო ქალაქის კომენდატურა, უფრო სწორად, საიდუმლო პოლიცია, რომელსაც, რატომღაც, კომენდატურას უწოდებდნენ, ახალი საბუთებით კი ჯერ შეუჩვეველი სახელი, ძებნა-გამოტყვის სამსახური ერქვა.

წინა საუკუნეში, ერთ ნამდვილ თუ გამოვიღო ფრანგს, გვარად და ალბერვილს ეს სახლი ეყიდა და იქ ორანჟერები მოენყყო.

გაზაფხულობით ფრანგი მეტად ლამაზ ყვავილების გამოფენებს წარმოადგენდა ხოლმე და ამის შემხედვარე ერთ ღირსეულ თავადს ისიც კი ეთქვა, უთუოდ ტრაკოსანია ეს ჩვენი და ალბერვილი, თორემ წარმოუდგენელია, კაცმა ასეთი თაირგულები და გვირგვინები შექმნასო. ილია აბულასანიც მოხვედრილიყო ერთხელ ამ სახლში, ანგარდაცვლილ მამა-პოეტს, კანდიდ მარაველს აქ ახალგაზრდა კალმოსანთა ლექსების კითხვა გაემართა და აბულასანსაც წაეკითხა ერთი ლექსი, რომელიც ახლა ზეპირად აღარ ახსოვდა.

მტერი პოეტი სარდაფში ჩაიყვანეს და იქ მიაგდეს თივაზე. აბულასანი დახვრეტას ელოდა. მთლად ცივი იყო. უფრო ცივი, ვიდრე გერმანული ნაყინი კირხის უბანში და არ იცოდა, რა ექნა. ეგებ გამოსატყუებდაც წაეყვანათ, მაგრამ სმენოდა, რომ ეს პირშავნი დიდად არ იკლავდნენ თავს მტრების გამოტყვით. იოლად ხვრეტდნენ მათ და სადაც ქალაქგარეთ ყრიდნენ ორმოში.

ტუსაღმა ჯიბეები მოიქეცა და მთლად გალეული ქიმიური ფანქარი მოძებნა, რათა თავისი უკანასკნელი ლექსი დაენერა ჯურღმულის კედელზე. სიბნელე იყო, მაგრამ თვალის მალე შეეჩვია სიბნელეს. ლექსი არ ჩანდა, ვერ მოვიდა და ბოლოს უბრალო წარწერა იშვა: დღეს, მარტის ოცს დამაპატიმრეს მე, ილია აბულასანი, თავისუფლებისთვის მებრძოლი მოქალაქე. გაუმარჯოს პრეზიდენტ ამირბარს!

მერე თივაზე გადწავა და თვლას შეუდგა იმ სიცივეში. ვერ დაითვალა ამ თომისგან და თითქოს მიეძინა კიდევ, მაგრამ მალევე წამოაგდეს, მუჯღუგუნით გაიგდეს წინ და ერთ კარგა მოზრდილ ოთახში აათრის ბნელი კიბით.

მაგიდასთან კაცი იჯდა. ერთი ათი სანთელი მაინც აენთოთ და კაცს თავი ისე ულაპლაპებდა ამ სანთლების შუქზე, თითქოს ზეთი გადაუსხამთო.

დამხვედური ფანქარს თლიდა. მერე თავი ასწია და ნაცნობი შეიქნა.

— თეოფან, შენა? — შესძახა პოეტმა. კაცმა ერთი გამოხედა ქვემოდან და მიუგდო:

— ნუ ღრილებ, თორე აქვე მიგახვრიტავ.

მაგიდასთან კაცი იჯდა. ერთი ათი სანთელი მაინც აენთოთ და კაცს თავი ისე ულაპლაპებდა ამ სანთლების შუქზე, თითქოს ზეთი გადაუსხამთო.

დამხვედური ფანქარს თლიდა. მერე თავი ასწია და ნაცნობი შეიქნა.

— თეოფან, შენა? — შესძახა პოეტმა. კაცმა ერთი გამოხედა ქვემოდან და მიუგდო:

— ნუ ღრილებ, თორე აქვე მიგახვრიტავ.


მაგიდასთან კაცი იჯდა. ერთი ათი სანთელი მაინც აენთოთ და კაცს თავი ისე ულაპლაპებდა ამ სანთლების შუქზე, თითქოს ზეთი გადაუსხამთო.



# „იმათ არა ჰგავს ნიქაი...“

„დარწმუნებული ვარ, ლექსო ჭინჭარაული ენატრება ყველას, ვისაც ერთი საათი მაინც გაუტარებია მის შორიასლოს!“

ტარიელ ჭანტურია



ალექსი ჭინჭარაულმა, ვიდრე სიბერე მოერეოდა („ლომს მორევია სიბერეო“, ხომ გაგიგონიათ!) და ბიჯის გადადგმა გაუჭირდებოდა, თენგიზ მირზაშვილს გადასცა სქელტანიანი საქალაქო, რომელსაც წინა მხარეს ნითელი ფანქრით აწერია ერთადერთი სიტყვა: „საჩუბრიკენი“.

ჩუბრიკა, მოგვხსენებთ, თიკუნია თენგიზ მირზაშვილისა — მხატვრისა და ხალხური სიტყვის, ზმისა და შაირის, ზეპირპოეტური შემოქმედების, კაფიისა და გალექსების უბადლო მესაიდუმლისა, მცნობისა, მცოდნისა, ქომაგისა და გულშემატკივრისა...

ალექსი იმედოვნებდა, რომ თენგიზი მოაბამდა თავს მისი ექსპრომტების შერჩევას, დალაგებას და წიგნად შეკვრას. ამიტომაც საქალაქო ნაწარმა ის, რაც უნდა წაენერა: იშვიათია ბუნებითი ნიჭიერების ისეთი გამგები და „დამგემოვნებელი“, როგორც ჩუბრიკა ვახლდათ. ყალბი და ნახსვისარი სტრიქონი მყიფე მინის სიფრიფანა ჭურჭელივით იმსხვერუდა მისი მკაცრი და უკომპრომისო შეფასების კრიტიკრიუმებში.

და როცა თენგიზის ამქვეყნიურ ყოფასაც „დაჰქროლა ქარმან სასტიკმან“ და დანყებულ საქმეთა დასრულების ღონე და იმედი თოვლის გუნდასავით ადნებოდა თვალსა და ხელს შუა, ალექსი ჭინჭარაულის ნაანდერძევი ჩვენ ჩაგვაბარა და მიგვანიშნა, თვალისჩინივით გავფრთხილებოდით და გვეპატრონა გაცრეცილ საქალაქო დღეში მოთავსებული ძვირფასი „მასალისთვის“.

და ვიდრე ალექსი ჭინჭარაულის ნაბერებელი ჭინჭარივით მწარედ მსუსხავი კაფია-გალექსებანი ცალკე წიგნად გამოიცემოდეს, მოკლე ნაწამდღერებისა და მცირე განხილვა-კომენტარების თანხლებით გთავაზობთ „საჩუბრიკენიდან“ ამორჩეულ რამდენიმე ტიპიურ, გამოუქვეყნებელ ნიმუშს.

დღეს, 25 დეკემბერს, ალექსი ჭინჭარაულს 90 წელი შეუსრულდებოდა...

## ამირან არაბული, ეთიარ თათარაიძე

მაზის“, ცოლ-შვილის რეაქცია დიდად არ ანაღვლებდა... წელთა მატებამ ნაბიჯი დაუდინჯა (თუმცა სიდარბაისლე არასოდეს ჰკლებია), სიცოცხლე სულიერებით გაუმშვენა და სიტყვასაც მეტი განი, ძარღვი და სიმტკიცე შესძინა... სინანულით და ნოსტალგიური განცდით შორდებოდა სილალის დაუფინყარ დღეებს; შორდებოდა და ამბობდა:

ცოდვებსა გვეკითხავს უფალი, არ არჩევს მალაღ-მდაბლებსა, — კარგა ხანია, გამყარა ხინკლიან ხონჩა-ტაბლებსა. ბოზაშ-ჩიხირთმას დაერხა, დედა ეტირა კატლელსა! ნახევარ ლიტრა წყალში ვხსნი ჯუზეპეს სუპის ტაბლებსა...

ქია საქციელის უჯიშო თანამეინახეთა შემხედვარე თვითდახასიათებისა თუ ავტოპორტრეტის სამახსოვრო შტრიხებს კვეთდა. და ამ თვითდახასიათებაში, როგორც წესი, უწყინარი ირონიის ცხარე საკაზმიც მოჭარბებულად ერია:

იმათ არა ჰგავს ნიქაი, ვინც ორი ჭიქით ფუჭდება, არც თავი გაუტარეუფდება, ვიდრე არ ჩაბუჭბუჭდება! ნაბახუსევი (ხევსურულად „გატანჯული“), მწყურვალი და თავ-ბედის მანყევარი დახლიდარზე იყრიდა ჯავრს:

წუხანდელ ნაბახუსევი თევზით ლაყუჩო ვირთხამა, ჩეხურ ლუდ არ მამიტანა მედუქნემ — დახლის ვირთხამა! ჩვენს ოჯახში ერთ-ერთი სტუმრობისას ლალისყურული ღვინით მოხალვათებულმა გულისჯიბიდან მცირე ფორმატის თეთრი ფურცელი ამოიღო და ჯიშოიანი ასონიმები ჩამოამწკრივა:

რას ფიქრობ, რძალო, ეთერო, ქალო, კაცი ვარ ბებერი, შინ წამიყვანე, თორემა გავხდები ნასაღბელი. პასუხისმგებლობის მძაფრი გრძნობა სამსახურეობრივი მოვალეობის მიმართ ზომიერების დაცვის აუცილებლობასა თუ

ალკოჰოლურ „ნეტარებაზე“ სულაც უარის თქმას კარნახობდა. და ეს ვითარება დოკუმენტური სიციხადით აისახებოდა სარიტომო სიტყვათა დაწყვილების უნაკლო და უხარვეზო კომბინაციაში:

თუმცა დღე პურმარევი „იიფ ას“, მაგრამ მე ვერ დავაჯივ, „Я пач!“ „სუფრა ბუხართან“ — ასე დაუსათაურებია ერთი კაფია, ბილინგვური მახვილ-სიტყვაობის მოულოდნელი აბრუნდით რომ იპყრობს ყურადღებას და გვამახსოვრდება, როგორც ზეპირპოეტური შემოქმედების შესანიშნავი ნიმუში: სომხურ კონიაკს ურტყამენ ჩვენნი მებუხარფეჩნი. Братцы, цирозом печени Вы уже обеспечены...

ეს იმპროვიზაციებში, ნახევრადსერიოზული ხასიათის ლექსით ნარატივებში, როცა სათქმელის „აქტუალურობა“ და სპეციფიკური შინაარსი შეუვალ პურისტად ყოფნას მაინცდამაინც არ გავალდეზულდებს, თორემ... თითებზე თუ ჩამოითვლებიან ის ჰუმანიტარები, ვინც შეიძლება ალექსი ჭინჭარაულს გათანაბრებოდა გრამატიკული ნორმების ცოდნაში, მშობლიური ენის სიღრმეთა წვდომასა თუ მისი სინმინდის დაცვაში. ამიტომაც მოუხმობდა ერსა და ბერს, დამდგარიყვენ იქ, სადაც მათი მეობის იდენტობის საკითხი წყდებოდა:

ენის სინმინდის დამცველთა ფერულში ყველა ჩაებით, — ნუ ვამღვრევთ წმინდა ნაკადულს „რამეთუ“ — „ვითარცაებით!“... წესით და რიგით, თუკი პირისწყლის ნასამალი მაინც შერჩენიათ, რამდენი ჩვენი თანამედროვე (ჩინიანიც და უჩინოც) უნდა ცნობდეს თავისთავს ლექსო პაპის მიერ გულისწუხილით ნათქვამ ამ სტრიქონებში:

„კაცი არ ყველა კაცია“, ზოგა მთლედ და ბითორი, გროვად არა ღირს იმისი, „აზრები“ „Может быт“ — ური,

მაინც თავმალლობს, ვითარცა ყვეყნი ყანჩის ფიტული.

არათუ გარეშე პირებს, „დაუძინებელ მტრებსა“ და მეტოქეებს, გამოუსწორებელ თალღითებსა და ფარისევლებს, მედროვე კოლეგებსა და კარიერის კეთებაზე გამეცადინებულ ნაცნობებს, საკუთარი ოჯახის წევრებსაც ხშირად ხვევდა და აბამდა უწვალებლად ნათქვამი მარილიანი ექსპრომტის ბადესა თუ აბლაბუდაში. და მათ შორის სანინაო ადგილი, რაღა თქმა უნდა, ცოლს ეკავა:

შენ, ჩემო ცოლო, ნუ იცი წნევის ანევა — დანევა, თუ გელვიძების, ადექ და თუ გეძინების, დანევა!..

საკუთარ თავთან ცალფა დიალოგში რაღაცით XV საუკუნის დიდ ფრანგ პოეტს ფრანსუა ვიონსაც ჩამოჰგავდა, პირად ნაკლს რომ არ მალავდა, არ ალამაზებდა და ნატურალისტური სიციხადით წარმოსახავდა კაბინეტურ რეჟიმში ხანგრძლივი ყოფნისაგან უკიდურესად დამძიმებულ თავის ფიზიონომიას. და ამ შემთხვევაშიც ისევე და ისევე მისი დამთმენი და დიდსულოვანი მეუღლე ფიგურირებს, როგორც ვინრო და „არარელევანტური“ ოჯახური ინტრიგის წყარო და სათავე... „ღიაცის შეგონებად“ სახელდებულ კაფიაში თანამედროვე სწავლულთა ფიზიკური არასრულფასოვნების პერმანენტული პრობლემის კანთიელი კონტურებია გამოკვეთილი:

აღარ გახსოვს, ლეკოთ ნიქავ, დედაკაცმა რო გირჩია: ისე დამრგვალებული ხარ, ფიჭვის ძირში რო გირჩია. გაიარ-გამაიარე, ნუ ჰგორაობ ლოცნიშა, თორემ ისე ამოგნაყავ, როგორც ნიორს როდინშია, რადგან ვატყობ, მე მივდივარ შენი წასვლის ლოდინშია...

ამას რომ წერს, ისიც მშვენივრად მოეხსენება, რომ კაცი თავის ბედსა და წერას ვერსად ნაუვა; რომ არსთა გამრიგის ნებასურვილი წარმართავს ყოველივეს და, მით უფრო, მოკვდავთა — უზენაესთან მიმართებაში — საცოდავ მღილთა და მლოდავთა — საამსოფლო დღეების რიცხვსა და სათვალავს. ამიტომაც ღმირისმომგვრელად გამოიყურება მისი ინკოგნიტო თანატოლი, ცხოვრების ჯანსაღი წესის პედანტური დაცვით რომ ცდილობს გარდაუვალისაგან გაქცევასა და დარჩენილი სიცოცხლის ხელოვნურად გახანგრძლივებას:

ბერდება — უკვე ათწლეულებს ორ ხელზე ითვლის, ღვინოს აღარ სვამს (აღარც ძველსა და აღარც ახალს!), ვარჯიშობს, უნდა, რომ ძუნძულით გაექცეს სიკვდილს, სად გაექცევა, იმასაც ნახავს!

და სრულიად სერიოზულ, არაიუმორისტულ ლექსში „წუთისოფელი“, ყოფნა-არყოფნის ფილოსოფიური დილემის პოეტური განსჯის წარმატებულ ცდად რომ წარმოგვიდგება, გარკვევით ისმის მრავლისმომსწრე ლირიკული სუბიექტის წრფელი აღსარებაც და იმ მოურჩენელი, მოუშუშებელი საღმობის სმიერი ექოც, თანშეზრდილი მოყვარე-ახლობლების სამუდამო დაკარგვა რომ აღძრავს პირმეტყველ არსებაში. ესაა, ასე ვთქვათ, ხევსური ეთნოტიპაჟის უტყუი ბუნების სახასიათო ნახანგათა მწყობრი წყება, რომელმაც, შესაძლოა რეზო ინანიშვილის დოკუმენტური პროზის ნიმუში „ჩაჩაურის წასვლა“ გაგვასხენოს; ნიმუში, ალექსი ჭინჭარაულს რომ ეძღვნება და მისივე ნაამბობის მიხედვით შექმნა მწერალმა...

ლექსო პაპის ფილოსოფიური მედიტაცია ასეთი გახლავთ:

ზოგჯერ ოცნებას გავყვები, მინდა დარდები გავყარო, ოცნება კვდება, შენ მრჩები, ჩემო პარტახო სამყარო: ოხერო წუთისოფელი, სიცოცხლის ერთო ზამთარო, სიკვდილ-სიცოცხლის მიჯნაზე გადარეულო ჟამკარო, ბევრი მოყვარე მომპარე, აპირებ, სხვებიც დამპარო? მოდი, ჩემზედაც გავმართოთ ყოფნა-არყოფნის სამსჯავრო: იცოდე, ვისაც გამყარე, იმქვეყნად უნდა შამყარო!



მუხლი და მაჯა წამართვი, ლამობ, თვალბიცი დამთხარო, დაბეჩავებულს ნუ მომკლავ, სანამ გონთა ვარ, მამკალო, ცელ-ნამგალს ძებნა არ გინდა, სიცოცხლის მთიბელ-მამკალო, „დაკვრა სჯობს დაღივებას“, რაღას აყოვნებ? დამკარო!

ჭრელი სანუთროს გზა-ბილიკებზე სიკეთის მადლით სულგანათლულნიც მრავლად მიმოდინ და ისეთნიც, სულ სათავისოს რომ ფიქრობენ, დაეძებენ და ლამის ცხოველური ინსტიქტებით ცხოვრობენ. სინდისი (ვაჟა „სინდისის“ რომ უწოდებს) ხომ ის შემაკავებელი ჯებირია, ადამიანს უკადრებლის ჩადენის ნებას რომ არ აძლევს და თავის ნამდვილ სახეს, ავად თუ კარგად, უნარჩუნებს. და როცა „მთელ ცისმარე დღეს“ მავანის სინდისს „სალათას ძილით“ სძინავს, ქვეყანაზე სიკვამლე მრავლდება, მატულობს და იკვეთება აბრისი კაცისა, ბნელეთთან რომ დაუჭერია საქმე, „ბილნთ ზავით შაკვერია“ და გარდაცვლილი მშობლის სულის საოხად ფარსაგი ვერაფერი გაუკეთებია:

შე მართლა იგეთ-აგეთო, კაცო, ბნელეთის აგენტო, არ აჯობებდა, მამისთვის ერთი სანთელი აგენთო?

რჩეულთა შორის რჩეულს არჩევდა, თითქოს სწორებას მათი ცხოვრების წესზე აკეთებდა და ძალზე მოკლედ, ორიოდ მკაფიო მონასმით გვიმხელდა თავის სიმპათიას:

ამყამად საქართველოში ორი ლეგენდა კაცია, — თბილისში კაკო შანიძე, დუშეთს — მამულათ ბაძია.

კუთხეის მიაგებდა უღირსებო, მუდამ ხელსაყრელი მომენტის მომლოდინე, სასიქადულო მამულიშვილთა დამცირების მოცად უაყვარგო „მტრებს“:

ჩემთან ლობობა მოგინდათ, დაბადებულნი ციცადა! ზვიდაურის არ იყოს, „ძალდ იყოს თქვენის მკვდრისადა!“

ღრმად ჰქონდა ათვისებული და გათავისებული ძველი ქართული მწერლობის ლექსიკა და სტილი. საუკუნეთა მიღმა შექმნილ, რიგითი მკითხველისთვის ალსაქმელად რთულ ტექსტებში ისე ლაღად გრძნობდა თავს, როგორც თევზი მთის სუფთა მდინარეში. და ჩაძირისძირებული, ქვისმთელის შრომას შესადაარი კვლევა ძიების შუალედებში, „ტაიმ-აუტის“ სულფონ ნუთებში, ამდაგვარ ექსკურსებსაც მიმართავდა:

მსთვად განვიღვიძე კვირას და შიომღვიმის კერძ ვირები, — სადა მამამან სიაოშ მგელს აწყემსვინა ვირები.

საერთოეროვნული სატკივარის ადეკვატურად გამოხატვასა და ვირტოუზულ განზოგადებას აღწევდა სიტყვათა მარჯვე, მოხდენილი გადათამაშებით:

ხომ ვიცით, ახლა ფეხბურთის რა დონეზეა „დონეციკი“, „დინამოს“ ოცნებად ექცა თვითონ „დონეციკის“ დონეც კი.

თავის დროზე ორი თაობის წარმომადგენელთა ხანდახანური შეკრებებისთვის ზედგამოჭრილი ფართისა და ადგილის საპატიო ფუნქციასაც ითავსებდა „ლიტერატურული საქართველოს“ ფართო აივანი. პარასკევს, დამლელი კვირის ბოლოს, როცა გაზეთის ახალი ნომერი გამოდიოდა, ვის არ შეხვედებოდა რედაქციის ლამაზი შენობის შედარებით ყურჩ, მყუდრო აივანზე: სტაჟიან და დამწყებ ავტორებს, რედაქციის თანამშრომლებს — უჩა შერაზადიშვილს, ვანო ამირხანაშვილს, მურმან ჩაჩუას, კარლო ფაჩულიას, დათო კახაბერს, თემურ აბულაშვილს... მათ მეგობრებს, მეზობლებს, დოსტებს, მკითხველებსა და მომკითხველებს... და, როგორც ჩანს, ალექსი ჭინჭარაულსაც ძალიან მოსწონდა და ეშინაურებოდა ლიტერატურულ საქართველოელთა ეს გულმისაგალი, ქალაქურ ყაიდაზე სტილიზებული საფეხვინო:

ამეკვიატა მე აი ვნება, — კვირაში ერთხელ მეაივნება.

ალექსი ჭინჭარაულის პოეტურ რეპერტუარში ცალკე ციკლად შეიძლება გამოიყოს სახელდახელო სიტუაციური ექსპრომტები, მთლიანობაში „ქვედა ზნის“ მდებრთა „კოლორიტული“ ტიპების გალერეას რომ წარმოგვიდგენენ და თავიანთი მხატვრული ღირსებით უხერხულობის დისკომფორტულ დეტალებსაც ფარავენ და ანეიტრალავენ.

აი, ორი ღირსსახსოვარი ოთხტაეპედი:

\*\*\*

შენ ფიქრობ: ვარო მწყაზარი, მზე ვარო, მგობსო მზე რითა? მაგრამ მე ერთობ შემზარე მაგა ურცხვითა მზერითა!

\*\*\*

„ქალბატონო“-ს ვეუბნები, მიპასუხებს:

— ჰამე? ჰაჯან? მთელ ქვეყანას ამოაგდებს, იმნაირი ჩათლაშკა ჩან.

არც მიმნდობი მანდილოსნის თანხლებით თვალწარმტაცი ბუნების უნაპირო ნიაღში მოულოდნელი განმარტოების ძველთაძველი მოტივი ყოფილა უცხო ალექსი ჭინჭარაულის ლირიკული წარმოსახვისთვის:

მთა ნაიბის ბოხობს ჰგავს, შენ ხარ ჩემი ბატონი.

ხევეზე ნისლი მოლოლავს, როგორც ალიგატორი...

...მეხათრება როგორღაც, აქ რომ დავრჩეთ მარტონი...

სიახლის ნიშნით აღბეჭდილ ორიგინალურ რითმათა ნიმუშები:

რასაც ვამბობ, მართალია, არ გეგონოთ არაკი:

ნანა, ნინო, მართა, ლია, რატომ ცხარობთ, თვარა კი!..

\*\*\*

ნათლობის მართლმადიდებლური რიტუალი საბურთალოზე, ალექსი ჭინჭარაულის ოჯახში, ჩატარდა. საღვთო წესს მამა დიონისე (გვიმრადე) ასრულებ-

და. მეუფე ზენონმა (იარაჯული) ნათლობაში თანამონაწილეობა შემოგვთავაზა. ჩვენც, რა თქმა უნდა, სიხარულით მივიღეთ ეს მოულოდნელი წინადადება... ალექსის უმცროსი და, დეიდა მარიამიც, მოუნათლავი აღმოჩნდა. მანაც ძმასთან ერთად იცხო წმინდა მირონი...

სამარხვო სუფრას ალისფერი ღვინო აშინაარსიანებდა. მსუბუქად ვიხმიეთ. ყოველმხრივ კარგ, ამაღლებულ განწყობილებას დები გოგოჭურების, მალხაზისა და დეიდა მარიამის ხავსიანი ხეცურული სიმღერები ავსებდა და ასევადებდა...

სალამოხანს დავემშვიდობეთ „მონაღმართებულ“ მასპინძლებს.

ვაკის პარკთან ვიყავით მისულნი, ჩემი მობილური რომ ანკრიალდა.

ნათელა ჭინჭარაულმა შინისაკენ მიმავლებს მამის ნახელდახელავი კაფია დაგვანია:

დღეს მე მენვივნენ სტუმარნი ფრიად საპატივცემონი:

თვითონ მეუფე ზენონი და იმის ცოტა ქვემონი.

ჯანის კლება და წელთა მატებამაც ვერ მოაშლევინა თავისი სადაგი, საყვარელი ხელობა — „სიბრძნის დარგის“ მსახურება. სიცოცხლის სიოს ბოლო ამოქროლვამდე შერჩა ზმური აზროვნებისა და ლექსად მეტყველების დაუძლეველი ნადილი. ის გახლდათ ერთადერთი ხეცური, ვინც მანამდე დაუმარცხებულ კვეხსულას (ფილოსოფოს ხეთისო ალუდაურს) სძლია და მოსწრებული სიტყვის დროშა ძირს დაახრევინა.

თანამედროვენი ღიმილით იხსენებენ ორ ფალავანს შორის გამართულ მოკლე დიალოგს:

— რაით ჩამახვე მთაშიით? — ეკითხება ალექსი.

— ფეციო, აბა, თავით ხო არ ჩამავილოდ! — პასუხობს კვებულა.

— შენ რო თავ გქონივეფეციოთ არ ჩამახვილოდ! — ამთავრებს „საქმიან“ საუბარს სწავლული შატილიონი...

და ეს სწორედაც რომ ის სულწუხი ჩიხია, თუკი პირისწყლის დეფიციტს არ უჩივი, გაჩუმებას გაიძულებს...

კვებულაც მაგარი იყო და ლექსო პაპა ხომ იყო და იყო. მისი მწარე, დაუნდობელი სიტყვით ნალახტარნი და ნამათრახალნი დღესაც დაიარებიან ჩვენი მთის სოფლებსა თუ დედაქალაქში, სასწავლო-სამეცნიერო კერებსა და დაწესებულებებში.

\*\*\*

შატილი — ალექსი ჭინჭარაულის სამშობლო.

ძნელად მისასვლელი (ეს ადრე, წინა საუკუნის 60-იან წლებამდე) სიმაგრე — სოფელი პირიქითა ხეცურეთში.

ლეგენდა და სინამდვილე — „სინქრონი“, მხარდამხარ, ერთმანეთთან უმჭიდროეს კავშირსა და მიმართებაში...

ჭკვიანი, კაცთკითხული უფროსები, რომელთა თხრობის ყურისგდებას ვერაფერი შეეძრებოდა მჭქეფარე სიყმრისა და სიჭაბუკის უღრუბლო დღეებში; უფროსები, სიბრძნით გაცამცემულ ანდრეზულ სიტყვას რომ მიიარგნებდნენ სამტრო და სამოკეთეო გზანვილებზე; მიიარგნებდნენ და აგვარებდნენ კიდევ როგორც სამოყვრო, ასევე საშარო, საშულლარ სიტუაციებს...

შატილი, სადაც, მოკიდებული მონაფეგობის წლებიდან ვიდრე ხანდაზმულობამდე და ორბისფერ სიბერემდე, იშვიათადლა თუ ახერხებდა გადასვლას ცხადსა თუ სიზმარში მასზე მლოცველი და მეოცნებე ლეკოთ ნიქა.

და ხალხურ კილოზე აუღერებული ორსტროფიანი ლექსი, რომლის ყოველი სიტყვა და ტაეპი საკუთარ სუნთქვასავით მშობლიური გარემოს დიდ სიყვარულსა და მონატრებას იმარხავს (და ინახავს):

შატილით წამოსული ვარ, დავტოვე დიდი მთებით,

სადაც თოვლიან მწვერვალებს ფარავს არწივთა ფრთებით.

მამა-პაპათა სამკვიდროს ზოგ ზოგჯერ ვესტუმრებით,

არლუნს ჩავევები ყიყინით, სიმღერად ავიწითებით!

აკა მორჩილაძე

# ნანერები ვარდის და გულგულისა

გაგრძელება

ეს იყო აბულასანის ძველი ამხანაგი, მასხედ უფროსი, სტუდენტთა შორის ცნობილმუშტიანი და ხელმრუდი თეოფანე კადრილი. სწორედ გასულ ზაფხულს მიერიცხათ უნივერსიტეტიდან ეკზამენების დაუჭერლობისთვის და ერთ-ერთ საკამთლოში დამდგარიყო მეპანდურედ.

— თეოფანე, აქ რა გინდა? — დაიქოქა აბულასანი, — ან ქოჩორი სად წაიღე?

— ხმა-მეთქი, შე შტერო. იჯექი ახლა ორმოში და ჯღაბნე შენი ბაიათები, თუ ფანქარი გექნა და თუ არ დაგხვრიტეს ამაღამვე...

— შენც ამათთან ხარ? — გონს მოეგო ტუსალი.

— არა, ბიჭო, შენთან ვარ ღრანტეში, — გაიცინა კადრილმა და პაპიროსს მოუკიდა.

— ერთი მომანვიენე.

თეოფანემ პორტსიგარი მიუჩოჩა და თითქოს სხვათაშორის თქვა:

— რატომ აიტხე ეს ამბავი? მჯდარიყავი და გერჩხანა რამეები.

აბულასანმა გააბოლა და ჭერში აუშვა კვამლი.

— ესენი დაგანერინებენ რამეს? ამალიასთან დამიჭირეს.

თეოფანე კადრილმა ალაღად გადაიხარხარა.

— სანყალი ამალია, — თქვა ბოლოს. აბულასანი წამოენთო:

— მე ჯანდაბას... სანამ პირში სული მიდგას, ამათ არ დავეთმობ... ამალიას მაინც უშველე.

კაბინეტის პატრონი წამოედგა და ოთახში გაიარ-გამოიარა:

— ახლა მე შენ მოწმეების თანდასწრებით უნდა დაგკითხო. რამდენი ხართ, ვინ ხართ, ვინ გაჭმევთ, ვინ გასმევთ, უნდა მითხრა, მაგრამ შენ შემოიხვე ყველაფერს და დაიწყებ ლექსების თქმას ხმამაღლა. მერე მე მეტყვიან, ცემეო. მაცემინებენ შენს თავს, გათქმევენებენ ყველაფერს, მოგიწყობენ ვითომ სასამართლოს და დაგხვრეტენ.

პოეტი დუმდა, თავჩაქინდრული.

— შენ რა თანამდებობა გიჭირავს აქ?

— უფროსი გამომტხეველი ვარ და ძმობას გაფიცებ, არ დამინყო, რატომ წამოხვედიო. ჯერ ეგ ერთი, ბანქოს და წარდის თამაში აკრძალულია და საკამთლოები დაკეტეს. მეორეც, ერთ ტახტზე გვიძინია და ერთი პურის ყუა გვიტეხია, რაც იყო და როცა იყო, მე და შენ, ილუშა, რაც რაც არ უნდა გირტყან, არაფერი თქვა. იტყვი და მაინც დაგხვრეტენ. იმ ნუთში დაგხვრეტენ, როგორცკი ჩამოფეკვავ.

აბულასანი წამოედგა.

— რა გამუშავებს ამ ნაბიჭვრებთან?

თეოფანემ ხელი ჩაიქნია და დაჯდა.

— არქიელივით კი დამჯდარხარ, — გაუცინა ილიამ და სანთლებს გადახედა.

— ბევრი თუ ხართ, მაინც? — ჰკითხა გამომტხეველმა.

— ამათ ვეყოფით. დღეის შემდეგ მაინც, — თქვა ილიამ და წარმოიდგინა, რომ მალე ხუხუნიკა ხუხუნი აჯანყებას დაიწყებს გლოჩესტერის ნაფეშქაშევი იარაღით, — შენ დროზე გაიპარე სადმე.

— მისმინე, — ისევ წამოედგა კადრილი და ამოღამებულ ფანჯარასთან მივიდა, — მე უნდა ვუთხრა, რომ შენ ილუშა ხარ და ამ ამბების შემდეგ ტყეში გახვედი. ისედაც ყველამ იცის. შენ კიდევ...

— მე კიდევ ვიტყვი, რომ შევედითს პრინცი ვარ, დანიის, — მიუგო გათამამებული პოეტმა.

უფროსმა გამომტხეველმა ისევ ხელი ჩაიქნია და აღბერვილის სახლის მაღალ, სანთლის შუქით აციმციმებულ მოჩვენებებთან ჭერს ახედა.

გაგრძელება შემდეგ ნომერში





იყო ღრო, როცა ლიტერატურულ კონკურს „ნეროს“ მსვლელობა ლოკალურ სივრცეში — ლიტ.გეს ფორუმზე მიმდინარეობდა და პანკრატონი იქ იმართებოდა, საიდანაც თავპირდასისხლიანებული მრავალი ჩვენგანი წამოსულა (ფიგურალურად, რა თქმა უნდა). მაგრამ რაც ფეისბუქზე „გადმოვბარგდით“, წარმოიშვა ახალი ეთნოგენეზი, სივრცე გაიშალა და ემოციები ხალხის სიმრავლეში გაიფანტა, კოლიზიებსაც აღარ აქვს ხოლმე ადგილი. ვფიქრობ, სამომავლოდ, ორგანიზატორებმა რაღაც უნდა მოიფიქრონ, რათა ვნებათაღელვა ამ ფორმატშიც განახლდეს.

დავიწყებ თავიდანვე კონფლიქტური და სადავო თემით, რომ მერე და მერე, განმუხტვისთვის, დადებით ამბებზე და უდავო ჭეშმარიტებებზეც ვისაუბროთ.

ლიტერატურულ კონკურს „ნეროს“ ფორმატი ყოველთვის გულისხმობდა ჯერ ჟიურის წევრების მუშაობას, რომლებიც შემოყრილი ასეულობით ტექსტს ცხრილავდნენ, რათა ფინალისთვის თხუთმეტი თუ თექვსმეტი ავტორი შეერჩიათ, შემდეგ კი ფინალისტებს შეფასებას აძლევდა ლიტერატურული პორტალის, lit.ge-ს კონტრენტები, რომელიც თუ მთლიანად ლიტერატორებისგან ვერა, ლიტერატურის მოყვარულებისგან მაინც შედგებოდა. ნანა ილი სპეციალურად ამ მოვლენისთვის რეგისტრირდებოდა ხოლმე და, მართალია, საბოლოოდ მაინც, ლიტგეელებიც და ახლად დარეგისტრირებულებიც, აკრძალული დინეებებით გავრცელებული ინფორმაციის საფუძველზე აძლევდნენ ხმას თავიანთ რჩეულებს — უპირველესად, ტრადიციული მეგობრულ-ტუსოკური კრიტიკით და მხოლოდ მერე — ობიექტური მონონება-არმონონების მიხედვით.

ფეისბუქმა ეს მომენტი ისე გაამძაფრა, რომ უცნობ ავტორს თითქმის არანაირი შანსი არა აქვს, მოხვდეს ფინალიდან გამარჯვებულთა სიაში, რადგან ფრენდლისტში მყოფი ფანები და დეიდა-ბებია-ბიციო-ნაშა-ძმა-კაც-დაქალ-მეზობელ-ნათლულები ერთ დიდ „პარტიად“ ერთიანდებიან და ერთობლივად უტყვენ დანარჩენებს. ანუ, შეფასებისას რაიმე ლიტერატურული საზომი საერთოდ ირიცხება. ყველაფერს ფეისბუქური მარიაფათი და ყოჩაღ-ბიჭობა ან გოგობა წყვეტს. და თუ ამ პროექტში ლიტერატურული ფასი რამეს შეიძლება ჰქონდეს, ეს მხოლოდ ფინალისტთა კრებულია (აქ უკვე ჟიურის გააჩნია). დანარჩენი მხოლოდ მარიაფათიანების შოუა, რომელსაც პროფესიონალიზმთან არაფერი აქვს საერთო.

შესაბამისად, კონკურსი ემსგავსება არა ლიტერატურის განვითარებაში წვლილის შეტანას, არამედ ერთგვარი რეალითი შოუს მონყოფას. სწორედ შოუა ის მოდელი, რაც დამფინანსებელთა პოპულარობას უფრო მეტად ზრდის და, ცხადია, იგივე კომპანია ჯიპისისთვის, მასობრივი დონისძიება გაცილებით მომგებიანია, ვიდრე პროფესიონალთა ვინრო წრის და რამდენიმე ათეული ლიტერატურული გურმანის გულის მოფხანა — სამართალმა პური ჭამაო კი არადა, კარგა მწერალმა ნერო აილოო...

კიდევ ერთი მომენტი — ფეისბუქზე არსებობენ უცნობი და ცნობილი ავტორები. არიან ისეთებიც, რომლებიც, ვთქვათ, საუბრედ მირთმეულ მენიუზე რომ სტატუსს დადებენ, დადებიდან შვიდ წუთში, ექვსას სამოცდაშვიდ ლაიქს იღებენ. ბუნებრივია, ასეთი ავტორის ნებისმიერი ტექსტი უკონკურენტოდ გადის სუპერფინალში, რადგან მას ჰყავს დიდი ფან-გუნდი,

ლელა კოდალაშვილი

# ნერო 2015 — რეალითი შოუ თუ სოლიდური

## ლიტერატურული კონკურსი

რომლისთვისაც სულერთია ამ კონკრეტული ტექსტის ხარისხი, მთავარია, რომ ეს ავტორი უყვარს. ის კი, ვისაც არავინ იცნობს თავისი ოცდაშვიდი მეგობრის მეტი, ან საერთოდ არაა დარეგისტრირებული ფეისბუქზე, სულ რომ ახალი კავკა იყოს, განწირულია.

მინდა, სწორად გაიგოს მკითხველმა, რომ ის, რაზეც ვსაუბრობ, არის ტენდენციის და ფორმატის კრიტიკა და არა კონკრეტული უკმაყოფილება რომელიმე ავტორის გასვლის ან ვერგასვლის გამო. მითუმეტეს, რომ, თუ მაინცდამაინც ჩამეკირკიტება ვინმე, ვეტყვი, რომ ექვსას სამოცდაშვიდ ლაიქიანის და ოცდაშვიდ მეგობრიანის ტექსტები — ორივე მომწონა. ამას იმიტომ განვმარტავ, რომ ჩვენ ყველას ძალიან გვიყვარს ქვეტექსტები, „ნამიოკები“ და კუდების ძებნა. კუდების მოყვარულთა კი ქვემოთ ვპირდები უკუდო ამბებს, ანუ თითოეული მოთხრობის მოკლე შეფასებას.

ბუნებრივია, იმ ფორმატმა, რომელიც ზემოთ აღვწერე, თავისი გავლენა იქონია წლებადღელ კონკურსზეც. სამეულის გარეთ დარჩა ერთი ძალიან კარგი მოთხრობა. კარგი, ცხადია, შედარებით, დანარჩენ თხუთმეტ ფინალისტთან. ჰო, რაოდენობაზე გამახსენდა, როცა გავიგე, რომ თექვსმეტი ავტორი მოხვდა კრებულში, ვიფიქრე, რომ იმდენად ბევრი იყო კარგი ტექსტი, ჟიურის არჩევანის გაკეთება გაუჭირდა. მაგრამ როცა გავეცანი თითოეულ მოთხრობას, გაოგნება ვერ დავმალე, ესოდენ სოლიდური ადამიანებისგან შემდგარ ჟიურის რატომ მოენონა, ვთქვათ, ნინო ამირეჯიბის „აზად“? ნინასწარ ვიცი, მეტყვიან, რომ ჯერ ის 455 ტექსტი წაიკითხე, რა საშინელებაა და მერე გველაპარაკე. მაგრამ, ჟიურიც, თქვენც ერთი ნაკლებ ფინალისტ ავტორის დასჯერებოდით, თან ხომ ისედაც არ ვართ მიჩვეულნი თექვსმეტს.

ახლა კი თითოეულ მოთხრობაზე რამდენიმე სიტყვას ვიტყვი...

**რეზო ნასარიძე, „ურობოროს“:** ძალიან გამიკვირდა, როცა გავიგე, რომ ავტორი 24 წლის ბიჭია და თან ქართული ლიტერატურული სივრცისთვის თითქმის უცნობი. მოთხრობა პროფესიონალური ხელნერით გამოირჩევა და, შეიძლება ითქვას, თითქმის საუკეთესო ტექსტია მოცემულ თექვსმეტეულში. აქ არ არის არც დამსული პრობლემა, არც გამოკვეთილი იდეა, არც მენტორის ტონი. უბრალოდ, ავტორი ასახავს პერსონაჟის ცხოვრების ფრაგმენტს, რომელიც აბსურდული ყოფის ერთ-ერთი ნაწილია. სწორედ ესაა ტექსტის მთავარი მესიჯი — უსაზრისო ჭრელ სამყაროში მნიშვნელოვანის ძებნა. სუნი, რომელიც მთავარ გმირს აწუხებს და მუდამ მისი თანამდევია, სტატიკურობისგან გაჩენილი სიმყარაა. სამყარო არ იძვრის, ერთი და იგივე ალგორითი არ ბედნიერების გაცედას აჩლუნგებს, ავადმყოფობაში აბიჯდინებს, ხრწნის და ლუპავს. ერთადერთი, რაც გადარჩა, ესაა ბავშვობისდროინდელი ცხოვრების ფრაგმენტი და ამასაც მხოლოდ ხელოვნური გზით აღწევს.

**ლია ლიქოკელი, „ხეების გამტყავებელი სანადიროდ მიდის“:** მართალია, ნეროლის დასაწყისში ბევრი ვილაპარაკე იმაზე, თუ როგორ იოლად იღებს ხმებს პოპულარული ავტორი სხვებისგან განსხვავებით, მაგრამ წლებადღელ ნეროზე ის შემთხვევა, როცა შემიძლია, თამამად ვთქვა — ჩემი ფავორიტი ტექსტი (რომელსაც მოგვიანებით დავასახელებ) და ლიას მოთხრობა, ორივე ფასეულია და იმის გარკვევა, თუ რომელია მათ შორის უკეთესი, საკითხის არაპროფესიონალური ანალიზია, რადგან აბსოლუტურად განსხვავებულ პროდუქტებთან გვაქვს საქმე.

შედარებას აქ არ ვაპირებ, ისე „ხეების გამტყავებელს“ დაუბრუნდები. ენაზე, თხრობის სტილზე ყურადღებას აღარ გავამახვილებ, რადგან ლია დღეს ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ავტორია. მას „ნეროს“ მკითხველიც კარგად იცნობს და ფეისბუქისაც. ამ შემთხვევაში მოთხრობილმა ამბავმა დამაინტერესა, სადაც სადაც, მიყრუებულ სოფელში მცხოვრებ ცოლს სახლში მოჰყავს თავისი ქმრის ქალი. მოჰყავს და აცხოვრებს, უელის, იყვარებს... ამგვარი ან მსგავსი რამე სხვა მწერლების პერსონაჟებსაც ჩაუდენიათ, მეც მყავს ასეთი გმირი ქალი, რომელიც ლიას მოთხრობის წაკითხვამდე გმირი მეგონა. მაგრამ ხეების გამტყავებლის ცოლი ისეთი უბრალო და სადაა, ისეა შერეული რეალობას იქ, სადაც ფიქრობ, რომ მხოლოდ მითების სურნელი ტრიალებს, ისე მართლად ახერხებს ამ ყველაფერს, ისეთი ბუნებრივია მისი საქციელი, რომ არ შეიძლება, არ დაყაროთ ფარ-ხმალი, ვისაც კი ოდესმე მაინც გაჩენიათ პრობლემების ვერაძლევის შიში. ლიქოკელის მოთხრობა სინამდვილისთვის თვალის გასწორებაზეა, უბრალოზე, უბრალო სიკეთესა და სიყვარულზე, ქალზე, რომელიც ცნობის-მოყვარე და თვალბეცნიციმამა სინამდვილეში, ძალაზეც, რომელსაც საბოლოოდ ისევ კაცი ვერ გაუძლებს და მიდის...

**ანი გიგაშვილი, „დედაჩემი ლოცვით“:** ძალიან რთულია ლია კონკურსი, რადგან ერთდროულად პროფესიონალისა და დამწყები ავტორის შეფასება და ერთმანეთისთვის შედარება გინევს. ანი გიგაშვილი, სავარაუდოდ, გამოუცდელი ავტორია. თუ ამას გავითვალისწინებთ, მისი გამარჯვება გააძვირდა. დანერო, რომ, შესაძლოა, ის მომავალში დაიხვეწოს, გაიზარდოს, ბევრი იმუშაოს საკუთარ თავზე და საბოლოოდ საინტერესო ავტორად მოგვევლინოს... მაგრამ თუ მთლიანობაში განიხილავ, და რაკი მესამე ადგილი ვიგო, მის მიმართ პრეტენზიაც მეტია, ვიდრე რიგითი ფინალისტის მიმართ, მაშინ აუცილებლად გააჩინდებათ ის აზრი, რომ მოთხრობის ხარისხი საკამათოა, თუმცა კი, თემა საკმაოდ აქტუალური და ადამიანური და მისი მთავარი მესიჯია — მკვდრების გულისთვის ცოცხლებს არ ივინყვები.

**ბესო ხვედელიძე, „ლუფერა“:** ბესო ხვედელიძის ტექსტებთან ხშირად გამჩენია გაურკვევლობის განცდა. ის, რომ ეს მწერალი იოლად ართმევს თავს ტექსტის ტექნიკურ მხარეს, გასაკვირი არაა. თუ არ ვცდები, ის თექვსმეტი თუ ჩვიდმეტი წიგნის ავტორია და გამომსახველობითი ინსტრუმენტების ფლობის ხარისხი, გასაკვირიც კი იქნებოდა, რომ მაღალი არ იყოს. მაგრამ ეს არ არის საკმარისი და სწორედ ასეთი ავტორისგან ელი ახალს და ფასეულს, თუმცა, სამწუხაროდ, კარგად ნაცნობ, მსუბუქ, ალაგ-ალაგ იაფფასიან იუმორს აწყდები. ძველბიჭური ფრაზები: „დაგერხევა სლავიკ, დეპრესიას აიკიდებ“ — უკვე გავიარეთ... სხვა რა ხდება? „უცხოპლანეტელი“ რადიონამყვანი,

მისი გაუჩინარება, დიჯეი ბიჭის მისით დაინტერესება, როგორ გადაგვარდნენ ადამიანები, როგორ ყურყუმელოებენ ინდიფერენტების ჭაობში... შემდეგ უცხოპლანეტელი კვლავ ბრუნდება და რადიოში მუშაობას აგრძელებს. ვისაც დაგაინტერესებთ, შეგიძლიათ, წაიკითხოთ.

**ნათია რეგიაშვილი, „სუნთქვის შემგროვებელი“:** მახსოვს, ამ ავტორმა თავდაპირველად თავისუფალი თხრობით მომხიბლა. სიტყვა „თავისუფალი“ მაინცდამაინც ეროტიკას, სკაბრეზს და მსგავს ნიუანსებს ნუ იგულისხმებთ. უბრალოდ, ის ნერის პროცესის დაწყებამდე ახერხებდა განთავისუფლება-მოშვების მდგომარეობაში გადაშვებას და დაუბრკოლებლად უშვებდა იმ ნაკადს, რაც მისგან მოედინებოდა. ეს მარტო მოთხრობებში კი არა, მის ფეისბუქსტატუსებშიც იგრძნობა ხოლმე. თუმცა, როცა ავტორისგან ასეთი გაუფიქრებელი ნაკადი მოედინება, მერე და მერე დანმენდას, დახვეწას ელი. სტატიკურ მდგომარეობას ახალი არაფერი მოაქვს, მხოლოდ საკუთარი ხმისთვის ყურის გდება პროზაში, მგონია, რომ ჩიხში მოქცევაა. ვფიქრობ, ასე დაემართა ნათიასაც. „სუნთქვის შემგროვებელი“ თითქოს საინტერესო, ორიგინალური მიგნებაა, მაგრამ საბოლოოდ ხელთ ტრივიალური სიუჟეტი გრჩება. ტექსტის მთავარ ფასეულობად კი ადამიანის მიერ გაბერილი ბუშტებიდან გამოსული ჰაერის მისტიკა რჩება, როგორც ავტორის სურვილი, დაეხმაროს ადამიანებს დაკარგული ადამიანების სიღრმეების გაცნობაში.

**ზურა აბაშიძე, „ბავშვები კარგად არიან“:** ზურა აბაშიძის მოთხრობა წინა „ნეროზე“ ძალიან საინტერესოდ მომეჩვენა. მივიჩნიე, რომ გამოჩნდა კიდევ ერთი მეტ-ნაკლებად საინტერესო ავტორი. გულწრფელი თხრობის მანერა ნაივიზმის ელემენტებით ბევრ ავტორს აქვს, მაგრამ მხატვრული საკითხების ზუსტად განაწილების, კომპოზიციის შეგრძნების და სათქმელის დაწმენდილად გამოხატვის უნარი ნაკლებად გააჩნიათ, ძირითად ინსტრუმენტად ეპატაჟურ ნიუანსებს იყენებენ ხოლმე, რაც ზურასთან არასოდეს დამიფიქსირებია, რადგან მის ბლოგებსა თუ სტატუსებს მუდამ ყურადღებით ვკითხულობ ხოლმე. სამწუხაროდ, წლებადღელ-მა მოთხრობამ იმედები გამიცრუა. გულუბრყვილო თხრობის მანერა ამ მოთხრობაში უკვე, როგორც შეგნებული მიმართულეა, ისე გამოიყურება. ნაივიზმი, როგორც კი ძალდაუტანებელ იერ-სახეს დაკარგავს, როგორც კი ავტორი მიხვდება, რომ ის ბავშვურობითაა მომხიბლავი, მაშინვე იკარგება თხრობის ამ სტილის მთელი ხილად და ტექსტს ნაკეთების, ხელოვნურად გამოძერწილის ელფერს ანიჭებს. მოთხრობაში მოყოლილია ბატარა ბიჭის ტიკვილების შესახებ, როცა მშობლების ურთიერთობა ირევა, თვითონ კი კონსერვატორი ბებიის ხელში რჩება თავისი მოზარდული, ინტიმური პრობლემებით.

**ალეკო შულაძე, „წიგნების კაცი“:** სულ ახლახანს წავიკითხე ამ ავტორის ახალგამოსული რომანი, რომელიც, არ შემეძლია, აქაც არ აღვნიშნო, რომ სრულიად განსხვავებული სუნთქვის აღმოჩნდა ჩვენს მწირ პროზაულ სამყაროში. მოუთხრო მკითხველს მძიმე თემებზე მსუბუქი ელემენტებით, აცინო, აბურთაო, ყირამალა ატრიალო და მაინც არ დაავინყო, რომ ყველაფრის თავი და თავი ტიკვილია, ვფიქრობ, ჩვენი ლიტერატურული სივრცისთვის ცოტა უჩვეულო ფორმაა. ალექო დიდი ხნის პაუზის მერე პირველად წერს და ალბათ ამ დაგროვილმა სათქმელმაც განაპირობა ის, რომ შესაძლოა, ზოგჯერ ზომიერებას უღალატოს, როგორც ეს „წიგნების კაცის“ შემთხვევაში მოხდა. აქ ავტორი აშკარად მოუზომავს მოძრაობებს ასრულებს და იუმორი, რომელიც მისი თხრობის განუყოფელი ნაწილია მუდამ, ამ მოთხრობაში უკვე კომედი-შოუს მსახიობთა თამაშს ემსგავსება, იაფფასიანი ტრიუკებითა და ვერმეჩერებული ნახტომებით. ვფიქრობ, კონკრეტულ ტექსტში ხარისხის მკვეთრი დაცემა დროებითი მოვლენაა ამ მწერლის შემოქმედებაში, რომელიც, სავარაუდოდ, ან ნაჩქარევმა მუშაობამ, ან ერთბაშად დაგროვილი სათქმელის უკალაბოტო დინებამ გამოიწვია. შესაძლოა, ამაში წვლილი ფეისბუქსაც მიუძღვის. როცა მწერლობაში გაუთვითცნობიერებელი



ადამიანები ალტყინებულ კომენტარებს აკეთებენ, ძნელია, გამოარჩიო მათგან მიღებული ემოცია, კომპეტენტური ხალხის რეაქციისაგან. სოცქსელებში ხომ ხალხის დიდი ნაწილი ეგზალტირებულ და ფარისევლურ შორისდებულებს აფრქვევს და უსასრულო რაოდენობის გულების ხატვაში ტოლს არავის უდებს.

**საბა ლეკვეიშვილი, „ეგზორციზმი“:** საბა ძალიან ახალგაზრდა და ახალბედა ავტორია. ისე მოხდა, რომ ახლახანს მისი სხვა მოთხრობაც თანაკითხე, სადაც ის, როგორც ავტორი, ნახრობის კულტურის ქონის მიუხედავად, მაინც ძალიან სუსტი მომჩვენა, იმდენად ინდური კინოს ელემენტებით ჰქონდა „დამშვენებული“ რომანტიკული ისტორიის თხრობა. „ეგზორციზმი“ კი, მიუხედავად ზოგიერთი პასაჟის არადაზღვევებლად დახატვისა, მგონია, რომ შეუდარებლად თავგართმეული ტექსტია წინასთან შედარებით. თემა, რომელიც მოთხრობაში ფიგურირებს, ამკარად აქტუალურია რელიგიური ფანატიზმით შეპყრობილი ისეთი ქვეყნისთვის, როგორც ჩვენ ვართ. აქტუალურ თემებზე კი, ვფიქრობ, მეტია სალაპარაკოც და მოსათხრობიც. სოფლის მღვდლისა და ზოგიერთი „ღვთისმოსავის“ შეგონებით მოზარდი ბიჭები ფიქრობენ, რომ მათ თანაზოფლად ავადმყოფ ბიჭს მართლაც ემშაკი ჰყავს შესახლებელი. ისინი მას ყველასგან მალულად იტაცებენ და ცდილობენ, ემშაკის განდევნის რიტუალი ჩაუტარონ, რის დროსაც შემთხვევით შემოაკვდებათ. დღესაც, ღმერთის და სიმართლის სახელით, სწორედ ასე ნებით თუ უნებლიეთ „კლავენ“ განსხვავებულ ადამიანებს.

**ნატალია ზარნაძე, „ბედნიერების სერთიფიკატი“:** უცხოპლანეტელები მხოლოდ ბესო ხვედელიძის მოთხრობაში არ ჩნდებიან. ნატალიას ეს ტექსტიც სცდება დედამიწის საზღვრებს, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ საინტერესოა. მოთხრობის დიდი ნაწილი ეთმობა უსაშველოდ მოსაწყენ თხრობას მარსზე განთავსებული ტექნოლოგიებისა და მოვლენების შესახებ. თხრობა ამკარად ემსგავსება სახელმძღვანელოების პარაგრაფებს, სადაც ავტორები ცდილობენ, პოპულარულ ენაზე მიანოდონ მოსწავლეს რთული მეცნიერული თემები. „ბედნიერების სერთიფიკატის“ ავტორის სურვილია, ტექსტი რამდენადმე მაინც იყოს დატვირთული სამეცნიერო ფანტასტიკის ელემენტებით, თუმცა, თხრობა მაინც საგაზეთო სტატიას ნაგავს და როგორც აღვნიშნე, მოსაწყენი და უინტერესოა. შედარებით ცოცხლდება სიტუაცია, როდესაც ძველი მეგობარი ქალი და კაცი ერთმანეთს პოულობს, თუმცა, პლანეტა მარსზე აშენებულ რესტორანში, სადაც ქალი კაცს ეპატიჟება, მხოლოდ ბედნიერების სერთიფიკატის მქონე ადამიანებს უშვებენ.

**ნინო ამირეჯიბი, „აზადა“:** აზადა მუსულმანურ სოფელში მცხოვრები გოგონაა, რომელიც, ტრადიციულად, ცოლად მიჰყიდეს ასაკოვან მამაკაცს, მას კი სულ სხვა, ფაქიზი და ნატიფი სულიერი სამყარო, ოცნებები აქვს, მაგრამ ვერ ახერხებს, წინ აღუდგეს დაჭაობებულ ტრადიციებს და რჩება კიდევ ერთ მსხვერპლად, როგორც უამრავი — მის ირგვლივ არსებულ სოციუმში. თემა, ცხადია, საინტერესოა, მაგრამ იმდენადაა გადაღებული მედია საშუალებების მიერ, რომ მოთხრობა არ უნდა დაემსგავსოს არასამთავრობო ორგანიზაციების „პროტოკოლს“. მხატვრულ ტექსტს, მით უფრო, გაცვეთილ თემაზე შექმნილს, საგანგებო გარანდვა სჭირდება, რომ ტელევიზორიდან მოსმენილი სიუჟეტის ასოციაცია არ აღძრას. ასევე, არ უნდა იყოს იაფფასიანი სენტიმენტალური პასაჟები, კლიშე დეტალები ფრაზები და ასე შემდეგ. მიკვირს, რატომ მოინდომა პატივცემულმა ჟიურიმ, მაინცდამაინც თექვსმეტი მოთხრობა გაეშვა ფინალში და ეს ტექსტი იმ 455 ტექსტთან გამოარჩია. მე არ ვიტყვობ ავტორს, არ ვიცი, რამდენი წლისაა და რა გამოცდილება აქვს, ძალიან ვნუხვარ, რომ ასე მკვეთრად მინევეს შეფასება, მაგრამ ვფიქრობ, უხარისხო ტელევიზულების დარკვეთილი კლიშეების „წერა, პრიმიტიული, გაცვეთილი კლიშეებით დახუნძლული ფრაზების კორიანტელი არც დებიუტანტისგან არის მისაღები.

**ილია დობაძე, „ტეოდორი ძირითადი“:** სავარაუდოდ ახალბედა ავტორის ეს მოთხრობა ეგზისტენციალური „ტივითი“ დამძიმებული ტექსტია.

მოთხრობის თითქმის ერთადერთი პერსონაჟის ცხოვრება უსაზრისო და უხალისოა. მას არა აქვს საკმარისი მოტივაცია, გადალახოს რუტინული ყოველდღიურობა და მოახდინოს რამე ახალი თავის ცხოვრებაში. ის იმდენად სტატიკურ მდგომარეობაში იმყოფება, რომ გადაადგილება მექანიკურ მოძრაობას ჰგავს. გარშემო ყველაფერი შმორდება და კვდება. ერთადერთი გამოსავალი გაღებულ მრავალპირ ქარშია, რომელიც ერთდროულად ახალი ჰაერიცაა, დინამიკაც და თვითმკვლევობაზე ფიქრიც — როგორც ერთ-ერთ გამოსავალზე. პერსონაჟი ცდილობს, არ იყოს, შესაბრალოსი, არ გამოამჟღავნოს რაიმე სენტიმენტალური, პირიქით, გვაჩვენოს, რომ არის ზომაზე მეტად უჭმური და უინტერესო. ეს მოთხრობა რალაციით ზემოთ ნახსენებ „ურობოროსს“ ჰგავს. თუმცა, იმისგან განსხვავებით, ავტორს ამკარად აკლია პროზაიკოსისთვის საჭირო „ინსტრუმენტების“ ფლობის ტექნიკა.

**ბექა ახალაია, „გველები მახუთის გუბებში“:** ავტორი ანოტაციამა შერს, რომ იყენებს ჟურნალისტური და პანორამული თხრობის სტილს, მაგრამ მე მხოლოდ ამ უკანასკნელ დახასიათებაში დავეთანხმები. პასტორალური სიუჟეტი, პერსონაჟთა სიმრავლე, ერთდროულად დინამიკური ცხოვრების წესი და სტატიკური მდგომარეობა საკმაოდ მაღალპროფესიულ ოსტატობას მოითხოვს. თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ ბექა თავს ართმევს ამოცანას. სხვა საკითხია, თუ ტექსტის საერთო ეთნოზნეობრივი განწყობა, სოფლის ლანდშაფტი და პერსონაჟთა ფსიქოლოგიური ფრაგმენტები თანამედროვე მკითხველის მოთხოვნებს ნაკლებად პასუხობს. მით უფრო, რომ ავტორი არ თვლის საჭიროდ, კონკრეტული დრამატურგიული ხაზი განავითაროს, რომელიმე პერსონაჟით საგანგებოდ დაგაინტერესოს და პასტორალი მის ფონად გამოიყენოს. ის, რაც სხვისთვის ფონი იქნებოდა, ბექა ახალაიასთვის ყველაზე ზეაღმატებული მომენტია. სხვათა შორის, ლეე ტოლსტოის ახასიათებდა ვრცელი პასტორალური ნიაღვრეები, მაგრამ მხოლოდ მას შემდეგ, რაც რომელიმე პერსონაჟს, როგორც საგანგებოდ შექმნილ ქანდაკებას, ყველა რაკურსიდან განიხილა. ის, რასაც ბექა აღწერს, ჩვენთვის ჯერ კიდევ რეალობაა. ჩვენს ხალხს ჯერ კიდევ აქ აღწერილ სამყაროში უნებს ცხოვრება და ყოფის სარკული გამოტანა ხელოვნებაში, დიდი დოზით მონოდებული ნატურალიზმი უკვე დიდი ხანია, წურავს თავის თავს და სწორედ ამიტომ ლიტერატურული კალორიზაციის სულ უფრო ახალი ხერხები ხდება საჭირო...

**გიორგი მესხი, „გასაუბრება“:** მოთხრობაში აღწერილია მთელი კაცის მცდელობა, წარმატებით გაიაროს გასაუბრება და დაიკავოს მოსამართლის პოსტი. ტექსტის კითხვისას ვხვდებით, რომ ეს მთელი ინტელექტუალი სინამდვილეში ვაჟა-ფშაველაა. ამბავი საინტერესოა და შესაბამისად, მკითხველს სიამოვნებას ანიჭებს, თუმცა, მწერლური მონაცემები ავტორს სუსტად აქვს განვითარებული. დასაწყისში ის ცდილობს, ერთგვარი „სიურეალისტური“ სიზმრის მოყოლით სიმბოლურად დაგვიხატოს ამბის შემდგომი განვითარება, მაგრამ სიზმრის სცენის აღწერა სამწუხაროდ, ზრდასრული ადამიანის ნამუშევარს ნაკლებად ჰგავს. ასევე თავგართმეულია ნაწარმოების ენა. ავტორი ცდილობს, ფშავლებისთვის დამახასიათებელ დიალექტზე ისაუბროს, ეს რალაც მონაკვეთებში გამოსდის, შემდეგ ცდილობს, უბრალოდ, ერთი საუკუნის წინანდელი ქართული განავითარების თხრობა. მაგრამ მწერე, როგორც ჩანს, ეს ყველაფერი ავიწყდება და ამბის გადმოცემას თანამედროვე ქართულით აგრძელებს. ფინალისკენ კვლავ ცვლის კილოს და ასე შემდეგ. მოკლედ, ამ ტექსტის ერთადერთი დივრსება მასში აღწერილი ისტორიაა და ისიც ავტორს არ ეკუთვნის.

**ლუკა ხარლამენკო, „გაფუჭებული რადიო“:** მოთხრობის მთავარი პერსონაჟი რადიოს დიჯეი. მისი თხრობა თავიდან დღიურების ჩანაწერებს ჰგავს, სადაც ის თავისი ცხოვრების, სასონარკვეთილებებისა და აპათიის შესახებ მოგვითხრობს. ჰყვება თავის სექსუალურ ცხოვრებას, უიმედობასა და უნდობლობებზე. ავტორი საინტერესო გრადაციებს აკეთებს რეალურსა და წარმოდგენილ ამბებს შორის. ის რადიოგადამცემის ინკოგნიტო ნამყვანია,

ერთხელაც სურვილი უნდებდა, მსმენელს საკუთარი ისტორიები მოუთხროს. მისი საუბრები მონოლოგს ემსგავსება, ამბავი მძიმე და დაუჯერებელია. მაგრამ ამქვეყნად ყველაზე დაუჯერებელი ამბები ხომ მხოლოდ რეალობაში ხდება. ხალხს არ სჯერა მისი ისევე, როგორც მთავარ პერსონაჟს არ სჯეროდა მანანალა ბიჭუნასი, რომელიც რადიოს შეკეთებას ითხოვდა. რეალობასა და ტყუილს შორის თითქოს ზღვარი იშლება და გაურკვევლობა ისადგურებს. ამ მოთხრობის პერსონაჟი, თავისი სულიერი მდგომარეობით, ერთდროულად ეხმაურება რეზონანსსა და ილია დობაძის მიხედვით, მაგრამ ლუკა ხარლამენკოს პერსონაჟი გაცილებით მეტობოდა, მისი აპათია მხოლოდ აზროვნებით პროცესია, რომელიც ასე უნდა გაიაროს, სიმართლისა და ტყუილისთვის თვალში შეხედვით, მისთვის სახელების დარქმევით, ვარიანტებით და ჭეშმარიტების ამ გზით პოვნით.

**გიორგი შერვაშიძე, „დილის რიტუალი“:** თავისთავად იდეა, დასცინო გამონათქვამებს, ანდაზებს, აფორიზმებს, ცუდი არ არის, მაგრამ ეს მოთხრობა საკმაოდ უხარისხოდ შესრულებული პაროდიაა გამონათქვამზე: მამის ლოცვას შეუძლია, მთელი სამყაროც კი გადაარჩინოს. რომ არა მდარე ლექსიკითა და სტერეოტიპული გამონათქვამებით გაჯერებული თხრობა, იქნებ სასიამოვნო ტექსტი შერჩენოდა „წეროს“ წლებად კრებულს. ავტორმა რომ არ ჩათვალოს, თითქოს დაუსაბუთებლად ვერჩი, აქვე მოვიტან ერთ-ერთ ყურში მოსახვედრ ფრაზას, რომელიც 21-ე საუკუნეში შესრულებულ ტექსტს არანაირად არ შეიძლება, რომ „ამყენებდეს“: „უღელში შემბული ორი ხარით მიენეოდნენ ამ ცხოვრების ტვირთს და ბედს არ უჩიოდნენ“.

**გიორგი გამსახურდია, „გაბო“:** მიუხე-

დავად იმისა, რომ საყოფაცხოვრებო ამბებმა (თუნდაც პერსონაჟთა არტ საუბრებით იყოს გაჯერებული), მეტ-ნაკლებად თავი შეგვანყინა, დღევანდელმა მოთხროვნებმა კი ხელოვნებას ნაკლები ნატურალიზმი, მეტი წარმოსახვა, ქვეტექსტი და თხრობის ახალი ენა თუ სტილი მოსთხოვა, გიორგი გამსახურდიას მოთხრობა, კარგად გააზრებული კომპოზიციით, გამოკვეთილი პერსონაჟით (გაბოს ვგულისხმობ) მაინც საინტერესოდ აღიქმება იმ ფონზე, რასაც წლებადელი „წეროს“ „საშუალო ართმეტიკული“ ჰქვია. ინგლისში მცხოვრები ქართველები ერთმანეთს გადაეყრებიან — რა უნდა იყოს დღეს ამაზე უფრო ტრივიალური, მაგრამ მოქანდაკე გაბო, თავისი „ახირებული“ მიდგომებით ცხოვრების მიმართ, ყველაფერს ახალ ფერს სძენს. ავტორს ამკარად ჰყოფნის გემოვნება, არ დაკარგოს ზომიერების გრძობა მისი აღწერისას. გაავლებს თუ არა საინტერესო შტრისს, იქნუთითაც არ ყოვნდება, მომენტალურად გადადის შემდეგ პასაჟზე, რათა მოგვცეს საშუალება, ეს ყველაფერი მიიღო, როგორც ცხოვრების ჩვეულებრივი, რიგითად ლამაზი მხარე თავისი ახირებებით თუ უცნაურობებით.

**P.S.** აქვე აღნიშნავს ღირსია ერთი სიახლე, რაც წელს „წეროს“ ორგანიზატორებმა შემოგვთავაზეს. ეს არის კონკურსზე შესული ყველა ტექსტის გამოქვეყნების უპრეცედენტო ფაქტი, რამაც საშუალება მისცა მკითხველს, თავად გარკვეულიყო, თუ რატომ აირჩია ჟიურიმ მაინცდამაინც ის, რაც აირჩია. თუმცა, ოთხას ორმოცდათხუთმეტი ტექსტმა ყველას და, მათ შორის, მეც, თავზარი დაგვცა და ისევე ჟიურის არჩევანს დაველოდეთ, იმ არჩევანს, რომელზეც ზემოთ უკვე ვისაუბრე და რამდენიმე მათგანზე მოკრძალებული პრეტენზიაც გამოვთქვი...

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით

სსიპ „მწერალთა სახლი“ აცხადებს კონკურსს საბავშვო ლიტერატურული შურნალის გამოსაცემად

კონკურსის მიზანი: საბავშვო ლიტერატურული ნიმუშების წარმოდგენა, ბავშვებში წიგნისა და კითხვის პოპულარიზაციის ხელშეწყობა.

კონკურსის პირობები: კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ სალიტერატურო პერიოდიკის გამოცემით დაკავებულ იურიდიულ პირებს, რომლებსაც აღნიშნულ სფეროში მუშაობის მინიმუმ ერთწლიანი გამოცდილება აქვთ.

წარმოდგენილი პროექტი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:

- \*საბავშვო ლიტერატურული შურნალი უნდა იყოს საგანმანათლებლო-მეცნიერებითი ხასიათის, ილუსტრირებული, მაღალი პოლიგრაფიული ხარისხის;
- \*საბავშვო შურნალის ტექსტების არანაკლებ 70%-ს უნდა შეადგენდეს ქართული ლიტერატურის ნიმუშები, 30% შესაძლებელია, დავთმოს ნათარგმნ, უცხოურ ლიტერატურას;
- \*საბავშვო შურნალის სამიზნე ჯგუფი — ბავშვები 3-დან 10 წლამდე;
- \*დაცული უნდა იყოს საავტორო უფლებები;
- \*სასურველია, პროექტის წარმომადგენელ ორგანიზაციას ჰყავდეს თანადამფინანსებელი.

გამარჯვებულს გამოავლენს 7 ნეერისგან შემდგარი ჟიური (მწერალთა სახლის სამეთვალყურეო საბჭო). გადაწყვეტილება მიიღება ხმათა უმრავლესობით.

ხელშეკრულების პირობები: გამარჯვებული პროექტის გამოვლენის შემდეგ მწერალთა სახლი კონკურსში გამარჯვებულ ორგანიზაციასთან აფორმებს ხელშეკრულებას.

საკონკურსოდ წარმოსადგენი დოკუმენტაცია:

- \*წერილი მწერალთა სახლის დირექტორ-მენეჯერის, ნატალია ლომოურის სახელზე (1გვ);
- \*პროექტის აღწერილობა (2-3გვ);
- \*პროექტის თანდართული მასალები: პერიოდიკის გამოცემის 12 თვიანი გეგმა (წომრების რაოდენობის, ფორმატის, მოცულობის, რუბრიკების, ტირაჟის, ნომრის თვითღირებულებისა და საცალო ფასის, რეალიზაციის სტატისტიკის მითითებით) (3-4გვ);
- \*პროექტის 12 თვიანი დეტალური ხარჯთაღრიცხვა;
- \*პერიოდული გამოცემის ნიმუშის მაკეტი;
- \*ამონაწერი სამეწარმეო რეგისტრაციის;
- \*სარედაქციო კოლეგიის შემადგენლობის ნუსხა;
- \*თანადაფინანსების შემთხვევაში კონკურსანტმა ორგანიზაციამ უნდა წარმოადგინოს თანადამფინანსების შესახებ ოფიციალური დოკუმენტის ორიგინალი.

საკონკურსო დოკუმენტაციის რეგისტრაციის პროცედურა:

- \*კონკურსანტმა საკონკურსო დოკუმენტაცია უნდა წარმოადგინოს როგორც ბექდური (1 გვ.ზემლაი), ასევე ელექტრონული სახით (CD);
- \*საბუთების მიღება იწარმოებს მწერალთა სახლში 2015 წლის 8 დეკემბრიდან 2016 წლის 8 იანვრის ჩათვლით. მისამართი: თბილისი, მარაბლის 13. ტელ.: +995 32 297 41 01 / 297 41 02;
- \*საკონკურსო განაცხადების მწერალთა სახლში წარმოდგენა უნდა მოხდეს ვადების დაცვით. საბოლოო ვადის გასვლის შემდეგ წარმოდგენილი განაცხადებები აღარ მიიღება;
- \*კონკურსის დამთავრების შემდეგ მწერალთა სახლში წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაცია კონკურსანტებს უკან არ უბრუნდება.

საბავშვო ლიტერატურული შურნალის მხარდასაჭერად გამოყოფილია 50 000 ლარი.

„ლიტერატურული გაზეთის“ მკითხველს ეძლევა უნიკალური შანსი, მსოფლიოში პირველმა წაიკითხოს ფრაგმენტი ჯულიან ბარნსის ახალი რომანიდან — „დროის ხმაური“. წიგნი ბრიტანეთში 2016 წლის იანვარში გამოვა, ქართულენოვანი თარგმანი კი ორიგინალს ერთი თვით დაასწრებს, რაც საერთაშორისო მასშტაბით უპრეცედენტო შემთხვევაა. გამოცემლობა „დიოგენეს“ მიერ დასტამბული რომანი ქართველი მკითხველისთვის სულ მალე გახდება ხელმისაწვდომი.

„დროის ხმაური“ ბიოგრაფიული რომანია. მთავარი გმირი რუსი კომპოზიტორი დიმიტრი შოსტაკოვიჩია, ეპოქა — სტალინის, ხელოვანი ცდილობს, თავი გადაირჩინოს და ღირებული მუსიკა შექმნას, ავტორიტარული რეჟიმი კი, რომლისთვისაც ადამიანის სიცოცხლეც და შემოქმედებით მისწრაფებას ჩაღის ფასი აქვს, მას მორალური კომპრომისებისკენ უბიძგებს.

„ლიტერატურული გაზეთი“ ექსკლუზივისთვის მადლობას უხდის გამოცემლობა „დიოგენეს“.



ჯულიან ბარნსი

# დროის ხმაური

ფრაგმენტი რომანიდან

ლიტინინში შაბათ დილისათვის დაიბარეს. ოჯახის წევრებსაც და მეგობრებსაც ერთთავად უმეორებდა, ეს უბრალო ფორმალობაა, რაც უთუოდ უნდა მოჰყოლოდა კიდევ „პრავდაში“ აგორებულ კამპანიასო. საკუთარი ნათქვამის თვითონვე არ სჯეროდა და იმაშიც ძალიან ეპარებოდა ეჭვი, ვინმე დავარწმუნეო: მუსიკის თეორიის საკითხებზე სასაუბროდ დიდ სახლში არავის იბარებდნენ. რა თქმა უნდა, ზუსტად დანიშნულ დროს გამოცხადდა. თავიდან ხელისუფლებაც ერთობ თავაზიანად და გულთბილად დაუხვდა. ზაკრევესკიმ შემოქმედებაზე ჩამოუგდო სიტყვა — ახლა რაზე მუშაობთ, სამომავლოდ რით აპირებთ ჩვენს გახარებასო. პასუხად თითქმის დაუფიქრებლად მიუგო, ლენინზე სიმფონიის ვერო (კაცმა რომ თქვას, არც ტყუილად). მერე იფიქრა, ცუდი არ იქნება, თუკი პრესაში ჩემ წინააღმდეგ გაჩაღებულ ლანძღვა-გინებაზეც ჩამოვადებდნენ ორიოდ სიტყვასო. თავად მასპინძელს ამის თაობაზე კრინტიც არ დაუძრავს. ოღონდ მაინც ვერ მოასწრო, რადგან ზაკრევესკიმ ახლა მეგობრები უხსენა — ის ხალხი, ვისაც ხშირად ხვდებოდა. ვერ მიხვდა, რა უნდა ეპასუხა. ისევ მასპინძელი მოველინა მშველელად:

— რამდენადაც ვიცი, მარშალ ტუხაჩევსკის ახლოს უნდა იცნობდეთ, ასე არაა?

— დიახ, რა თქმა უნდა...  
— ერთმანეთი როგორ გაიცანით?

უამბო, როგორ შეხვდნენ პირველად მოსკოვის მცირე საკონცერტო დარბაზის კულისებში. შეახსენა, მარშალი მუსიკის დიდი მოყვარულია, ჩემს კონცერტებსაც ხშირად დასწრებია, ვიოლინოზეც უკრავს და, ეგ კი არა, თავისუფალ დროს მათ საკუთარი ხელითაც კი ამზადებსო. არ დაუძრავს, რომ მარშალი ხოცა პატივებდა და იქ ერთად უკრავდნენ ხოლმე. მოყვარულის კვალბაზე, მშვენივრად გამოსდისო, — დამატა, თუმცა ნათქვამი მაშინვე შეასწორა: — ოღონდ ეგაა, მეტი მეცადინეობა სჭირდებაო.

ზაკრევესკის ნაკლებად აღელვებდა მარშლის თითების სისწრაფე და ხემის ფლობის უნარი:

— და რამდენად ხშირად სტუმრობდით მარშალს?

— ისე, დროდადრო.

— დროდადრო — ეს რამდენი წლის მანძილზე? ვთქვათ, რვა, ცხრა, ათი?

— დაახლოებით, ასე იქნება...

— სავარაუდოდ, წელიწადში ოთხჯერ ან ხუთჯერ? ჯამში ორმოცი ან ორმოცდაათი გამოდის.

— არა, ალბათ უფრო ნაკლები. არ დამითვლია, მაგრამ მაინც ნაკლები მგონია.

— თქვენ და მარშალი ტუხაჩევსკი მაინც გულითადი მეგობრები გამოდისართ, არა?

მცირე ხნით ჩაფიქრდა.

— გულითადს ვერ ვიტყვოდი, მაგრამ ნამდვილად ვმეგობრობთ.

არ უხსენებია, როგორ გაუმართა თავის დროზე მარშალმა ხელი, როგორ დააყენა ზაზე. არც ის უთქვამს, მის გამო სტალინს რომ მისწერა წერილი. აღარაფერზე დაუძრავს კრინტი — სულერთი იყო, იცოდა ეს ამბები ზაკრევესკიმ თუ არა.

— კიდევ ვინ ესწრებოდა შეკრებებს ამ თქვენს ახლო მეგობრის ბინაში?

— არცთუ ბევრი ხალხი, მხოლოდ ოჯახის წევრები.

— მხოლოდ ოჯახის წევრები? — გამომძიებელს ეჭვი შეეპარა.

— კიდევ რამდენიმე მუსიკოსი და ერთი-ორი მუსიკათმცოდნეც.

— შემთხვევით, თანამდებობის პირებიც ხომ არა?

— არა, არასოდეს.  
— დარწმუნებული ხართ?  
— აბა, რა გითხრათ, ზოგჯერ მართლა ბევრი ხალხი იყრიდა თავს, მე კი... მე ხომ, მეტწილად, ფორტეპიანოსთან ჯდომა და დაკვრა მინევს ხოლმე...

— და რაზე საუბრობდით?

— მუსიკაზე...

— ცხადია, პოლიტიკაზეც.

— არა.

— კარგი ერთი! რანაირად შეიძლება, მარშალ ტუხაჩევსკის გვერდით პოლიტიკაზე არ გელაპარაკათ?!

— იქ ხომ მხოლოდ მუსიკოსები იყრიდნენ თავს.

— დავიჯერო, არც ერთ თანამდებობის პირს არ შემოსცდენია ფეხი?

— არა, არასოდეს. და ჩემი თანდასწრებით არც პოლიტიკაზე ულაპარაკია ვინმეს.

გამომძიებელი კარგა ხანს მისჩერებოდა დაჟინებით, მერე კი უკვე სულ სხვა ხმით ალაპარაკდა, თითქოს უნდოდა შეეგუებინა იმ აზრისათვის, შავ დღეში ხარ ჩავარდნილიო.

— აბა, ახლა მახსოვრობა დაძაბეთ! შეუძლებელია, ბოლო ათი წელი მუდმივად გველოთ, როგორც თავად გამოტყდით, თქვენი მეგობრის, მარშალ ტუხაჩევსკის სახლში და პოლიტიკაზე არასოდეს გელაპარაკათ? აი, მაგალითად, ამხანაგ სტალინის მოკვლის გეგმაზე... ამის თაობაზეც არაფერი გსმენიათ?

მაშინვე მიხვდა, ნასულია ჩემი საქმეო. ამჯერად უკვე მისთვის ჩამოერეკა უბედურების ზარს. რაღაცას ბლუყუნებდა, ცდილობდა, მაგიდის მეორე მხარეს მჯდომი დაერწმუნებინა, მარშალ ტუხაჩევსკის ქვეყნში პოლიტიკაზე არასოდეს არავის ულაპარაკია, უბრალო მუსიკალური თავყრილობები იმართებოდა და ნებისმიერ სახელმწიფო საკითხს კარებთანვე ვტოვებდით ჩვენი ქუდებივით და პალტოებივით... მთლად დარწმუნებული არ იყო, კარგად გამოუვიდა თუ არა ეს შედარება, და არც ზაკრევესკი უსმენდა დიდი გულისყურით.

— ბოლომდე მაინც არ ძაბავთ მახსოვრობას, — უთხრა იმან, — აი, ზოგიერთმა სტუმარმა კი უკვე დაგვიდასტურა შეთქმულების გეგმის არსებობა...

იმწამსვე დაჰკრა თავში, ტუხაჩევსკი უკვე დაპატიმრებულია, მარტო იმის მარშლობას კი არა, სიცოცხლესაც დაესვა წერტილი. გამომძიებელი ის-ის იყო, იწყებოდა და ტუხაჩევსკის უახლოესი გარემოცვაც მალე ერთიანად აღიგვებოდა პირისაგან მინისა... ახლა თავად დიმიტრი დიმიტრიევიჩის პირად დანაშაულსა თუ უდანაშაულობას არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა, არც — იმას, რამდენად გულწრფელად უპასუხებდა დასმულ შეკითხვებს. წინდანი ჩაფიქრებული მაინც აღსრულდებოდა: თუკი სურდათ, ისე ნარმოეჩინათ საქმე, თითქოს ახლადგამოგენილ თუ მათივე გამოგონილ შეთქმულებას იმდენად გაეგდა ფესვი, ქვეყნის უცნობილესი (თუმცა კი ბოლო ჟამს შერისხული) კომპოზიტორიც ჩაეთრია, მაშინ სწორედ ასე წარმოაჩენდნენ კიდევ. ამითვე აიხსნებოდა ზაკრევესკის მკაცრი ტონი საუბრის ბოლოს...

— ძალიანაც კარგი. დღეს შაბათია, დღის 12 საათი და შეგიძლიათ მიბრძანდეთ. ოღონდ მხოლოდ 48 საათს გაძლევთ: ორ-

დროზე მშობლებმა უსულგულოდ მიმაგდესო; იმას როგორ წარმოიდგენდა, მამაჩემს ხაზიან ფურცელზე თუნდაც ერთი ნოტის დასმა შეეძლოო.

როცა მის თავზე პირველი საავდრო ღრუბლები გროვდებოდა, უახლოეს მეგობრებს ეუბნებოდა ხოლმე, ორივე ხელი რომ მომაჭრან, კბილებით დავიჭერ ფანქარს და ისე გავაგრძელებ მუსიკის წერასო. ცხადია, ყოყლოჩინობის წილიც ერია ამ სიტყვებში, იმავე მეგობრებისა და, პირველ რიგში, საკუთარი თავის გასამხნეებლად, ოღონდ არავინ ფიქრობდა მისი ხელების — პატარა, „არაპიანისტური“ თითების მოჭრას. ეგებ ნამებას უპირებდნენ კიდევ, და რა მერე — მზად იყო, ყველაფერი ელიარებინა, იმდენად არ შეეძლო ტკივილის დათმენა. ალბათ, ვიღაცების გვარებს დაუსახელებდნენ, ფოტოებსაც დაულაგებდნენ წინ და ისიც დამორჩილდებოდა. თავიდან ეგებ უარიც ეთქვა, მაგრამ უცებე გატყდებოდა და სხაპასუხებით მიაყრიდა: კი-კი, დი-იახ, რა თქმა უნდა, სწორედ იმ დროს მეც ვიყავი მარშალ ტუხაჩევსკის ბინაზეო; რა თქმა უნდა, სიტყვა-სიტყვით გავიგონე ყველაფერი, რასაც ის, თქვენზე ვარაუდით, უცილობლად იტყოდაო; რა თქმა უნდა, სწორედ ეს გენერალი და სწორედ ეს თანამდებობის პირი მონაწილეობდნენ შეთქმულების გეგმის შედგენაში, ჩემი თვალთ ვიხილე ყველაფერი და ჩემი ყურით გავიგონე... რაც შეეხება ხელების დაჭრას, ამგვარ მელოდრამას არც არავინ გაითამაშებდა — უბრალოდ, საქმიანად დაახლიდნენ კეფაში ერთადერთ ტყვიას და ამით მოთავდებოდა ყველაფერი.

მოკლედ, ეს ყოყლოჩინობა, უარეს შემთხვევაში, სიტყვების უბრალო რახარუხად ჩათვლებოდა, ხელისუფლებას კი ამისთვის არ ეცაო. ის მხოლოდ ფაქტებს სცნობდა და მისი ენაც იმ ფრაზებისა და ევფემიზმებისაგან შედგებოდა, სწორედ ამ ფაქტების გასაჯაროებასა თუ მიჩუმათებას რომ ემსახურებოდა. სტალინის რუსეთში ვერსად იპოვიდი კომპოზიტორს, ვინც კბილებს შორის მოქცეული ფანქრით დაწერდა მუსიკას... ამიერიდან ამ ქვეყანაში კომპოზიტორის ორი ნაირსახეობა იარსებებდა: ერთი მხრივ — ცოცხლები და დაშინებულიები, მეორე მხრივ კი — მკვდრები.

ბოლო დროს საკუთარ თავში ჭაბუკური ძალის მოზღვავენას გრძნობდა. მეტიც, დარწმუნებული იყო, რომ ამ განცდას ვერაფერი შეურყევდა. რაც მთავარია, ეჭვი არ ეპარებოდა საკუთარი ნიჭის, მისი ხელიდან გამოსული მუსიკის სიმართლესა და სისწორეში. ამას ვერაფერი წაართმევდა — უბრალოდ, ამის მტკიცებას ახლა უკვე აზრიც არ ჰქონდა.

შაბათ საღამოს და მერე, კვირასაც რული არ ეკარებოდა და დასაძინებლად გვარიანად გამოთვრა. ან რა ძნელი ეგ იყო — იოლად ეკიდებოდა სასმელი და ორიოდ ჭიქა არაყიც უცებვე მოწყვეტდა ხოლმე ყინვს. მის ამ სისუსტეს დადებითი მხარეც ჰქონდა: დალევა და მოისვენებდა, ვიდრე სხვები ჭიქაში თავს იხრჩობდნენ. დილითაც მხნე ეღვიძებოდა და მუშაობითაც უკეთესად მუშაობდა.

ანაპას ლენინოთერაპიის გულისგულს ეძახდნენ. ერთხელ ხუმრობით უთხრა ტანისას, მე მაინც არაყოთერაპიას ვამჯობობ. ასე რომ, ახლაც იქნებ ცხოვრების უკანასკნელი ორი საღამო სწორედ ამ საქმიანობას მიუძღვნა.

იმ ავბედით ორშაბათ დილით ნიტას აკოცა, კიდევ ერთხელ აიტატა გალია და მერე ავტობუსით გაემგზავრა ლიტინინ-პროსპექტზე — იმ უფშური, რუხი შენობისაკენ. დროის ყადრი ყოველთვის იცოდა და სიკვდილის შესახებ დამიზნავდა-

იც კი პუნქტუალობას არ ღალატობდა. ერთადერთხელ გახედა მდინარე ნევისს, რომელიც, რა თქმა უნდა, მასაც და კიდევ ბევრ მისნაირსაც მოინებდა. დიდი სახლის საშუალო ბიუროში ყარაულს საკუთარი ვინაობა დაუსახელა. ჯარისკაცმა დავეთარს ჩახედა, მაგრამ ხსენებული გვარსახელი იქ ვერ ამოიკითხა. გაიმეორეთო, უთხრა. იმანაც გაუმეორა. ჯარისკაცმა კიდევ ერთხელ ჩააყოლა სიას თითი.

— ვინ დაგიბარათ?  
— გამომიძებნა ზაკრევესკი.  
ჯარისკაცმა მიძიმე-მიძიმედ დაუქინია თავი. მერე, ისე, რომ მისთვის არც შეუხედავს, უთხრა:

— შეგიძლიათ ნახვიდეთ. სიაში არ ხართ. დღეს არც ზაკრევესკი იქნება და ვერც ვერავინ მიგიღებთ მის მაგივრად.

ასე დამთავრდა მისი პირველი გასაუბრება ხელისუფლებასთან.

მაშინვე შინსაკენ გამოსწია. ეგონა, რაღაცას მიწყობენ — ახლა კვალში ჩამიდგებიან, თვალთვალს დამიწყებენ და მერე ყველა ჩემი ნაცნობ-მეგობრიანად მიკრავენ თავს ვირის აბანოში. სინამდვილეში ბედს მისთვის უცარი სასიკეთო შემობრუნება გაემზადებინა: შაბათიდან ორშაბათამდე იმავე ზაკრევესკისთვის მოედოთ შარი და ახლა მისი საქმის გამომძიებლის საქმეს იძიებდნენ სხვები. მოკლედ, ვისგანაც დაპატიმრებას ელოდა, უკვე თავად დაეპატიმრებინათ.

მართალია, დიდი სახლიდან გამოუშვეს და არც არავინ უთვალთვალებდა, მაგრამ ეს მხოლოდ ბიუროკრატიული გადაჯაბდება შეიძლება ყოფილიყო. რა თქმა უნდა, არავინ აიღებდა ხელს ტუხაჩევსკის დევნაზე და ზაკრევესკის საქმიდან ჩამოშორებაც მხოლოდ ხანმოკლე ამოსუნთქვის საშუალებას თუ მისცემდა. მის ადგილას ახალ ზაკრევესკის მოიყვანდნენ და ყველაფერი თავიდან დაიწყებოდა.

დაპატიმრებიდან სამი კვირის შემდეგ მარშალი ტუხაჩევსკი დახვრიტეს, მასთან ერთად კი — ნითელი არმიის თითქმის მთელი მეთაურობაც. ეს ე. წ. გენერლების შეთქმულება ამხანაგ სტალინის მოკვლის მიზნით — სწორედ დროულად იქნა აღკვეთილი. ტუხაჩევსკისთან ერთად დაპატიმრებულ და დახვრეტილ მის უახლოეს გარემოცვაში მათი საერთო მეგობარი, ცნობილი მუსიკათმცოდნე ნიკოლაი სერგევიჩი ჟილიავეიცო აღმოჩნდა. ეტყობა, ცოტა ხანში არც მუსიკათმცოდნეებს დაადგებოდათ კარგი დღე, მერე კი უკვე კომპოზიტორებისა თუ ტრომბონისტების დროც დადგებოდა. და რატომაც არა?! „მთლად შეიშალა მთელი სამყარო...“

თითქოს გუშინ იყო, ყველანი გულიანად რომ იცინოდნენ ცნება „მუსიკათმცოდნის“ იმავე პროფესორ ჟილიავეიცოვს განმარტებაზე: „აბა, წარმოიდგინეთ, რომ ერო-კვერცხს მიერთებთ. ეს ერო-კვერცხი ჩემმა მზარეულმა, პაპამ შეგინვით და თქვენც გემრიელად ილუკებთ. ამ დროს მოდის კაცი, ვისაც არც კვერცხი გაუტეხავს, არც ტაფაში ჩაუხლია, არც ამ ტაფამწვარისთვის დაუკარებია პირი, ოღონდ ისე კი ლაპარაკობს, თითქოს მთელი ცხოვრება ერო-კვერცხის შეწვის მეტი არც არაფერი ეკეთებინოს... აი, ესაა მუსიკათმცოდნე“.

ახლა უკვე ძნელად თუ გაგვიცინებოდა მსგავს ხუმრობაზე, როცა მუსიკათმცოდნეების ჟუჟვასაც მიჰყვებოდა ხელი. ნიკოლაი სერგევიჩი ჟილიავეიცო კი „მონარქიზმი, ტერორიზმი და ჯაშუშობა“ დასდეს ბრალად.

მერე ლიფტთან ფხიზლობის ხანაც დადგა. ამ მხრივ, გამონაკლისი არ ყოფილა: მთელ ქალაქში ბევრი იყო ისეთი, ვისაც უნდოდა, საყვარელი ადამიანებისთვის მისი დაპატიმრების ცქერა აერიდებინა თავიდან. ყოველ ღამე თავადაც ერთსა და იმავე რიტუალს იმეორებდა: ბარგი-ბარხანას თავს მოუყრიდა, მიძინარე ქალიშვილს და ძილგამკრთალ ცოლს აკოცებდა, მერე ჩალაგებულ პატარა ჩანთას გამოართმევდა და ზურგს უკან მიიკეტავდა ბინის კარს. თითქოს ღამის ცვლაში სამუშაოდ მიდიოდა. გარკვეულწილად, ასეც იყო. მერე იდგა სადარბაზოში, ერთიანად მოლოდინად ქცეული, წარსულს ისხენებდა, მომავლის მიშს ებრძოდა და ამ ხანმოკლე ანწყობაში თამბაქოთი იქარებდა ნალევს. ფეხთან ჩანთა ედო, რომელიც არც მას და არც ვინმე სხვას დაეჭვების საბაბს არ მისცემდა. ესეც პრაქტიკული მოსაზრებით გახლდათ ნაკარნახევი: მისი წყალობით, ისე გამოიყურებოდა,

როგორც მოვლენებზე პასუხისმგებელი და არა — მოვლენათა მსხვერპლი. შინიდან ჩანთით გამოსული კაცები, როგორც წესი, უკანვე ბრუნდებოდნენ; აი, ლოგინებიდან საცვლების ამარა წამოყრილები კი, ხშირ შემთხვევაში, უკვალოდ უჩინარდებოდნენ. მნიშვნელობა არ ჰქონდა, რამდენად შეესაბამებოდა სიმართლეს მსგავსი დაკვირვება — მთავარი იყო, ისე დაგეჭირა თავი, თითქოს სულაც არ გეშინოდა.

თავშიც სულ ეს შეკითხვა უტრიალებდა: აქ დგომა და მათი ლოდინი ვაჟკაცობაა თუ სილაჩრევი? ეგებ არც ერთი იყო და არც მეორე — უბრალოდ, საღი აზრის გამოხატულება... არც იმედი ჰქონდა, ოდესმე მაინც მივაგნებ პასუხსო.

ვითომ ზაკრევესკის შემცვლელიც ზაკრევესკით ჯერ თავაზიანად დაუწყებდა საუბარს, მერე ხმაში ცოტ-ცოტა ლითონს გამოურევდა, მუქარაზეც გადავიდოდა და ბოლოს ეტყოდა, აბა, შენ იცი, შემდეგ ჯერზე ყველა გვარ-სახელის სრული ჩამონათვალთ გამოცხადდით? არადა, რაღა დამატებითი სამხილები სჭირდებათ და დამატებითი სამხილები სჭირდებათ და დამატებითი სამხილები სჭირდებათ? რაკი მარშლის უახლოეს გარემოცვას გასწორებოდნენ, სავარაუდოდ, ახლა მისი მეგობრების უფრო ფართო წრეს უპირებდნენ



სააქარაოზე გამოყვანას. ალბათ, უფრო პოლიტიკურ მრწამსზე, ოჯახსა და პროფესიულ ურთიერთობებზე დაუსვამდნენ შეკითხვებს. კეთილი და პატიოსანი. შექცეულ ზედმინევიანთ ზუსტად გაეხსენებინა, ჯერ კიდევ პატარა ბიჭი, როგორ იდგა ნიკოლავესკიას ქუჩაზე, საცხოვრებელი სახლის წინ და პალტოს ღილაკი დამაგრებული ნითელი ბაფთით იწონებდა თავს. მერე იმასაც გაიხსენებდა, ცოტა უფრო მოგვიანებით, თანაკლასელების ჯგუფთან ერთად როგორ მიჩქაროდა ფინეთის სადგურისაკენ, რუსეთში დაბრუნებული ლენინის დასახვედრად. სხვათა შორის, ადრეული ნაწარმოებები, რომლებიც უკვე ცნობილ პირველ თხზულებას უსწრებდნენ წინ, შესაბამისად ჰქონდა დასათაურებული: „რევოლუციის მსხვერპლთა სამეგლოვიარო მარში“ და „ჰიმნი თავისუფლებას“.

მერე და მერე ფაქტები უკვე ფაქტებად აღარ რჩებოდა — უბრალო განცხადებებად იქცეოდა, რომელთა ახსნაც ყველას თავისებურად შეეძლო. ასე მაგალითად, სკოლაში კერენსკისა და ტროცკის შვილებთან ერთად სწავლობდა, რაც ერთ დროს ეგებ საამაყოც კი იყო, მერე — საგულისხმო, ახლა კი ალბათ — სამარცხვინო. ბიძამისი, მაქსიმ ლავრენტიევიჩ კოსტრიკინი, 1905 წლის რევოლუციისაში მონაწილეობისთვის გაცემბირებული ძველი ბოლშევიკი, პირველი იყო, ვინც თავის დროზე დისპილს რევოლუციურ ალტკინებას უღვივებდა; ოღონდ ძველ ბოლშევიკებთან ნათესაობა თუ ერთ დროს სიამაყისა და თავმონონების საბაბს წარმოადგენდა, დღესდღეობით, მეტწილად, ღვთის წყრომად უფრო აღიქმებოდა.

პარტიამ არც შესულა და არც აპირებდა. ვერ იქნებოდა იმ ერთობის წევრი, რომელიც ხალხს ანადგურებდა. ეს იყო და ეს. თუმცა „უპარტიო ბოლშევიკის“ იარაღი იყო კი არც არასოდეს უთქვამს უარი. მუსიკასაც წერდა იმ ფილმებისა თუ სპექტაკლებისათვის, რომლებიც რევოლუციისა და მთელ მის მონაპოვარს განადიდებდნენ. მისი მეორე სიმფონია რევოლუციის X წლისთვის სადიდებელი გახლდათ და არც ალექსანდრ ბუზიმენსკის ერთობ უგვანი სიტყვების შიგ ჩართვას

მორიდებია. წერდა კოლექტივიზაციის საქებად და მრეწველობაში საბოტაჟის დამგომო ოპუსებსაც. მისი მუსიკა ფილმისათვის „შემხვედრი გეგმა“ (სადაც ქარხნის მუშათა ერთი ჯგუფი წარმოების ზრდის გასაოცარ გეგმას ადგენს) უდიდესი წარმატებით სარგებლობდა, ხოლო სიმღერა ამ ფილმიდან ყოველ ნაბიჯზე გაისმოდა. ამჟამად კი — ალბათ, სამუდამოდ, ყოველ შემთხვევაში, იმდენ ხანს, რამდენიც დასჭირდებოდა — ლენინის ხსოვნისადმი მიძღვნილ სიმფონიაზე მუშაობდა.

რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი ძნელად თუ შეაცვლევინებდა აზრს ზაკრევესკის მემკვიდრეს. თავად თუ სჯეროდა კომუნისტების? ან მისი არსების ერთ ნაწილს მაინც? მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი კომუნისტების საპირსონე ფაშიზმი იქნებოდა. აი, უტოპიას — კაცობრიობის საბოლოო სრულყოფას და ადამიანის სულის ინჟინრობას კი ვერაფრით ირწმუნებდა. ლენინისეული ახალი ეკონომიკური პოლიტიკის წამოწყებიდან ხუთი წლის შემდეგ ერთ მეგობარს მისწერა, დედამინაზე სამოთხე ორასი მილიარდი წლის შემდეგ თუ დამკვიდრდებო. მაგრამ ახლა, ამ გადასახედიდან, ეს მოსაზრებაც უდემეტად ოპტიმისტური ეჩვენა.

თეორიები გასაგები, სარწმუნო და დამ-



აჯერებელი ჩანდა, ოღონდ ცხოვრება აბურდული და უაზრობით გაძეცილი იყო. თავისუფალი სიყვარულის თეორია პრაქტიკულად განახორციელა — ჯერ ტანია-სთან, მერე ნიტასთან. სინამდვილეში კი — ორივესთან, დროის ერთსა და იმავე მონაკვეთში. ეს ორი ქალი ერთდროულად არსებობდა მის გულში და ზოგჯერ ჯერაც ისე თანაარსებობდნენ. მერე, ნელ-ნელა, დიდი ტანჯვის ფასად გაირკვა, რომ სიყვარულის ეს თეორია ცხოვრების სინამდვილეში ვერ თავსდებოდა. ეს იგივე იყო, სიმფონიის დაწერა გეცადა მხოლოდ იმიტომ, ოდესღაც კომპოზიციის სახელმძღვანელო რომ გადაგეკითხა. რაც მთავარია, თვითონ იყო უნებისყოფი და ორჭოფი — იმ იშვიათი შემთხვევების გარდა, როცა პირიქით, ნებისყოფასა და დაყენებას ავლენდა. თუმცა არც მაშინ იღებდა ხოლმე ყოველთვის სწორ გადაწყვეტილებებს. მოკლედ, მისი ემოციური ცხოვრება... როგორ შეიძლება უფრო მოსწრებულად ითქვას? მწარედ ჩაეღიმა. კი, რა თქმა უნდა: ესეც ბრახაბრუხი იყო მუსიკის ნაცვლად.

ტანიასთან უნდოდა ყოფნა და დედამ არჩევანი დაუწუნა; იგივე მოხდა ნინასთან ურთიერთობაშიც. უკვე დაქორწინებული, რამდენიმე კვირა მალავდა ამ ამბავს — არ სურდა, ეს ბედნიერება რამეს ჩაემწარებინა. ცხადია, მთლად ვაჟკაცურ ნაბიჯად ვერ ჩაუთვლიდა საკუთარ თავს ამგვარ გადაწყვეტილებას და, როცა, ბოლოს და ბოლოს, დედას ყველაფერი გაუმხილა, იმან ისე დაიჭირა თავი, თითქოს იმთავითვე მშვენივრად იცოდა ყველაფერი — ვინ იცის, ეგებ მამაის ბიუროს ჟურნალშიც ჩაეჭყიტა... და არც სიხარული გამოუხატავს. ნინასთვის საქებად სიტყვებს თითქოს არ იმურებდა, მაგრამ სინამდვილეში შეფარულად სულ კბენდა. ღმერთმა ქმას, მისი მოახლოებული აღსასრულის მერე მაინც გამონახონ საერთო ენა — დედამთილმა, რძალმა და შვილიშვილმა. ასეთი უკაცო ოჯახები ხომ სულ უფრო და უფრო მრავლდება რუსეთში.

შესაძლოა ბევრი რამ სწორად არ ესმოდა, მაგრამ სულელი ნამდვილად არ ეთქმოდა და სხვათა შორის — არც მიაბიტი. იმთავითვე მიხვდა, რომ აუცილებელი

იყო, კეისრისთვის კეისრისა მიეგო. მაშ, რატომღა ურისხდებოდა კეისარი? ნაყოფიერების მხრივ, ვერავინ მოედავებოდა — სწრაფადაც წერდა და იშვიათად, რომ დათქმულ ვადაში ვერ ჩატყულიყო. უნარი შესწევდა, ისეთი კეთილხმოვანი მუსიკა შეექმნა, რაც, სულ ცოტა, ერთი თვე მაინც მოსწონდა, მსმენელის გულს კი სულაც ათწლეულის მანძილზე ეფორებოდა. საქმეც სწორედ ეგ გახლდათ: კეისარი მხოლოდ პატივის მიგებას როდი სჯერდებოდა — იმ ფულად ერთეულსაც თავადვე ადგენდა, რითაც მისთვის კუთვნილი უნდა მიეზლოთ. ამხანაგო მოსტაკოვიჩ, რატომ არ უღერს თქვენი ახალი სიმფონია ისევე, როგორც თუნდაც ის მშვენიერი „სიმღერა შემხვედრ გეგმაზე“? რატომ არ უსტვენს სამეშაოთი დაღლილი, შინ მიმავალი მეფოლადე თუნდაც მოკლე ნაწყვეტს ამ თქვენი სიმფონიიდან? ამხანაგო მოსტაკოვიჩ, ჩვენ ეჭვი არ გვეპარება — თქვენ მასებისათვის საამური მუსიკის წერა ნამდვილად შეგიძლიათ... მაშ, რატომ გინდათ შემოგვასალოთ ეს უაზრო ინილო-ბინილო, მხოლოდ წერილბურჟუაზიულ მდარე გემოვნებას რომ აამებს? არა, ეტყობა, მაინც მიაბიტი იყო კეისართან მიმართებაში. ანდა, უბრალოდ, დროს ვეღარ უწყობდა ფეხს: ადრე კეისარი მხოლოდ ხარკს ითხოვდა, რითაც საკუთარი ძალაუფლების უპირობობაში არწმუნებდა და არც მას ტოვებდა მთლად ჯიბეგაფხეკილს. მაგრამ ვითარება მკვეთრად შეიცვალა და კრემლის ახალი მბრძანებელი ახალ წესებს აწესებდა — სრულად და დაუზოგავად უნდა გაეცა ყველაფერი, სიცოცხლეს კი.

სტუდენტობისას, მხიარულ, იმედიან, უღრუბლო ხანაში, სამი წელი კინოთეატრში იმუშავა — მუნჯ ფილმებს მუსიკალურად ახმოვანებდა. ჯერ ნევისკი-პროსპექტზე „პიკადილიში“, მერე კი კინოთეატრებში: „ცეცხლოვან წრესა“ და „ზღაპრულ სასახლეში“. მიძიმე, გამათანგავი სამუშაო იყო. მეპატრონეებიც ერთიმეორეზე ნუნურაქი ხალხი გამოდგა — ჯვარს გაცვამდნენ, სანამ კუთვნილ გასამრჯელოს გაღიორებდნენ. და მაინც, თავს იმხნევებდა, აკი ბრამსიც უკრავდა პიანინოზე ჰამ-ბურგის ნავსადგურის ბორდელშიო. ისე, მისი გერმანული კოლეგა, ალბათ, მაინც უკეთეს დროს ატარებდა.

ფორტეპიანოსთან მიმჯდარი, ერთთავად ეკრანს ასცქეროდა და ცდილობდა, გამოსახულებისთვის შესაფერისი მუსიკა აეყოლებინა. მაყურებელი ძველ, რომანტიკულ, ნაცნობ ჰანგებს ანიჭებდა უპირატესობას, მას კი ხშირად ეს მუსიკა ბეზრდებოდა და საკუთარ კომპოზიციისაზეც გამოურევდა ხოლმე. აი, ეს კი, სიმართლე ითქვას, დიდად ვერ ამართლებდა — კინოთეატრებში საქმე სხვაგვარად იყო, ვიდრე საკონცერტო დარბაზებში და მაყურებელიც ტაშისცემას სწორედ მაშინ იწყებდა, როცა რამე არ მოსწონდა. ერთ საღამოს, როცა ეკრანზე ფილმი „შედეგის თოლიები“ გადიოდა, უცებ ჩვეულებრივზე მეტად მოეძალა ცელქობის ჟინი. თავიდან ფორტეპიანოზე ფრთოსნების ყივილის მიბაძვა სცადა, მერე და მერე კი, როცა ჩიტებმა ზემოთ-ზემოთ იწყეს ფრენა, გამეტებით დასცხო თითები კლავიშებს. დარბაზში ხმამაღალი ტაშისცემა ატყდა, რაც, თავისი გულღებრივობიდან გამომდინარე, ამ უცნაური ფილმის კრიტიკად მიიჩნია. დაკვრა კი უწინდელზე დიდი მონდომებით გააგრძელა. სუანსის დასრულების შემდეგ მაყურებლებმა კინოთეატრის მეპატრონეს უსაყვადურეს, თქვენი პიანისტი ეტყობა, მთვარელი იყო და ისე უბრტყუნებდა კლავიატურას, ეს მშვენიერი ფილმიც გააფუჭა და ჩვენც წაგვიხდინა შთაბეჭდილებაო. ცხადია, მეპატრონეც გვარიანად შეახურა.

ახლადელი გადასახედიდან, მთელი მისი შემოქმედებითი კარიერაც ზუსტად ამნაირად აეწყო: თავდაუზოგავად შრომობდა, გარკვეულ წარმატებასაც აღწევდა, თუმცა კი ვერაფრით ისწავლა მუსიკალური ნორმების პატივისცემა. ამის გამო ბევრი საყვედური დაიმსახურა, გასამრჯელოცაც ამაღლიდნენ და არც გაჯივრვა-გამათრახება დაკლებია. ოღონდ ეგაა, ახლა უკვე თვითონაც იმ სამყაროს წევრი გამხდარიყო, სადაც სასჯელი ბევრად აღემატებოდა დანაშაულს.

ჯორჯ ბრაი

ბევრჯერ შევისწავლე ყურადღებით ჩემთვის აღმართული მარმარილო — მივარდნილ ყურეში მშვიდად მდგარი გემი, აკეცილი იალქნებით. ის ჩემი ცხოვრების გზას აღნიშნავს. რადგან სიყვარული მესტუმრა და მე გულის გატეხვის შემეშინდა. კარს სევდა მომადგა, არ გავუღე, სურვილი მიხმობდა, მაგრამ რისკი მაფრთხობდა, სიახლის შემეშინდა. ფუჭად გავიარე ეს ცხოვრება, ვიცი, რომ მართალი არ ვიყავი. რომ უნდა ავუშვებთ იალქანი, ვენდოთ ბედისწერის ნიავქარებს, საითაც არ უნდა წავიყვანონ. ცხოვრების აზრის ძიება ხომ მთავრდება სრული სიგიჟითაც, მაგრამ მის გარეშე წამებაა სიცოცხლე, აღსავსე ბუნდოვანი სურვილებითა და მღელვარებით. ის იმ გემს მაგონებს, ღია ზღვისკენ რომ ილტვის და მაინც ეშინია.

ალზა ვერტმანი

ვიყავი ერთი გერმანელი გლეხის ასული — ცისფერთვალეა, მხიარული, ლოყებლაჟღაჟა და მუშაობა თომას გრინის სახლში დავინყე. ზაფხულის ერთ დღეს, ქალბატონი შინ რომ არ იყო, შემოიპარა მისტერ გრინი სამოახლოში, ხელი მომხვია, მომიმწყვდია, ყელში მაკოცა. თავი უცებ კი მივაბრუნე, მაგრამ არც ერთმა აღარ ვიცოდით, ამის შემდეგ რა დაგვემართა. მერე ვტიროდი, მეშინოდა რადგან მომავლის, ვტიროდი, რადგან საიდუმლო გაცხადდებოდა. ერთხელაც მისის გრინმა მითხრა, რომ ყველაფერი იცოდა, მაგრამ სიძინელებს არ შემეშინდა, ბავშვს იშვილებდა, რადგან თავად შვილი არ ჰყავდა (ბატონმა ფერმა მას გადასცა საკუთრებაში). დაჯდა სახლში და გააფრცხლა მერე ჭორობი, თითქოს ორსულად იყო, მალე ბავშვს გააჩენდა. კარგად მომეცენ. ყველაფერი კარგად დასრულდა. ბოლოს გას ვეტმანს მივთხოვედი და წლებიც გავიდა. თუმცა, მიტინგებზე რომ ვტიროდი, ხალხი ფიქრობდა — გულს უჩუყებდნენ გამოსვლები ჰამილტონ გრინის. ასე არ იყო! იმ წუთებში მსურდა, მეყვირა: ჩემი შვილია! ეს ბიჭი ხომ შვილია ჩემი! ჰამილტონ გრინი.

პირაქინილი ფრანსის ჰარისის

და კენტუკელი თომას გრინის ერთადერთი შვილი ვიყავი, კეთილშობილი სისხლი მქონდა ორივე მხრიდან. მხოლოდ მათ უნდა ვუმაღლოდე, რაც ჩემგან დადგა — მოსამართლე და კონგრესმენი, პოლიტიკოსი. დედისგან დამყვა წარმოსახვა, ორატორობა, მამისგან — ნება, ლოგიკა და გონიერება. და მათ ეკუთვნით დიდება და პატივისცემა, თუკი კეთილად ვემსახურე ხალხს და ქვეყანას.

ჯადსონ სტოდარდი

მთის წვერზე ვიდექი — იმ ღრუბლებზე, ჩემს ფეხქვეშ რომ ღელავდნენ ზღვასავით. ვთქვი: ბუდას ფიქრია ეს მწვერვალი, ის — იესოს ლოცვა, აქეთ პლატონის ოცნებაა, იქით — დანტეს სიმღერა, ეს კანტია, ის — ნიუტონი, ეს მილტონია, ის — შექსპირი, ეს დედა ეკლესიის იმედია, ის კი... საერთოდ, ყველა მწვერვალი ლექსია. ლექსი და ლოცვა, ღრუბლებში რომ ატანს. და ვთქვი: „მაინც, რად უნდა ღმერთს ლამის ცამდე აწვდილი მთები?“

მისის ჩარლზ ბლისი

ერთხელ მიჩნია რვერენდ ვილმა, ქმარს არ გავყროდი და დამარწმუნა — ასე სჯობდა ბავშვებისათვის. ჩემს ქმარს სომერსმა, მოსამართლემ იგივე უთხრა. და გავიარეთ გზა ბოლომდე. ორ შვილს ეგონა, რომ ის იყო ცამდე მართალი, ორი შვილი კი ყველაფერში მე მეხმრობოდა. მის მხარეს მყოფნი მამტყუნებდნენ, ჩემ მხარეს მყოფნი მას ლანძღავდნენ და ყველა იმას იცოდებდა, ვისკენაც იყო. არ ასვენებდათ ის, რომ მშობლებს განიკითხავდნენ, იტანჯებოდნენ სულიერად, რადგან ვერ შეძლეს, რომ ერთნაირად ჰყვარებოდათ მამაც და დედაც.

ედგარ ლი მასტერსი



იმ დროისათვის ნაკლებად ცნობილი ამერიკელი პოეტის — ედგარ ლი მასტერსის „სფუნ-რივერის ანთოლოგია“ ზუსტად 100 წლის წინათ, 1915 წლის დეკემბერში გამოიცა. 47 წლის მასტერსმა მაშინვე მოიპოვა საყოველთაო აღიარება. ეს იყო პირველი შემთხვევა ამერიკის შეერთებული შტატების ლიტერატურის ისტორიაში, როდესაც ბესტსელერების სიაში ლექსების კრებული მოხვდა. „სფუნ-რივერის ანთოლოგია“ არის 244 ავტორებიტაფიისგან შემდგარი კრებული, რომელიც ეგრეთ წოდებული თავისუფალი ლექსით, ვერლიბრითაა დაწერილი. პროვინციული ქალაქის მცხოვრებთა გულახდილი აღსარებები მკითხველის წინაშე აწივლებენ სიმართლეს — ხშირ შემთხვევაში, მტკივნეული და ღრმა იარებს, მიუტევებელ ცოდვებსა და უზნეობას. თავად ავტორის თქმით, ანთოლოგიაში ცხრამეტი ძირითადი სიუჟეტური ხაზია. ერთი ეპიტაფია მეორესთანაა დაკავშირებული, მეორე მესამესთან, ისინი ავსებენ, აგრძელებენ, ან სულაც ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს და ასე ქმნიან ცალკეულ, სრულყოფილ სიუჟეტებს, რომლებიც ამერიკული პროვინციის ცხოვრებას გვიხატავენ.

მომდევნო წლების მანძილზე ედგარ ლი მასტერსმა ბევრი ლექსების კრებული, რომანი თუ ბიოგრაფია გამოსცა, თუმცა, საბოლოოდ, ფართო მკითხველისთვის მაინც ერთადერთი ლექსების კრებულის ავტორად დარჩა. „სფუნ-რივერის ანთოლოგიის“ გამოცემიდან 100 წლის თავზე გთავაზობთ რამდენიმე რჩეულ ეპიტაფიას.

ყველა მეზაღემ კარგად იცის, რომ სარდაფში და ქვიან მიწაზე მონეული ყველა ნაყოფი უვარგისია, უფერული და უსუსური. რომელი დედა გამოკვებავს საკუთარ პირმოსს თავისი მკერდით, თუ იცის, რომ რძე არ უვარგა. მოსამართლე და მღვდელი გვიჩვენებს, რომ მივწვდეთ სულით იმ სიმაღლეებს, მზე და სითბო სადაც არ აღწევს. იქ, სადაც მხოლოდ სიცივეა, ნესტი და ბინდი. ჰო, ასეთია ყველა მღვდელი და მოსამართლე.

რუბან ფენთირი

არ ჩაუვლია, ემილი სპარკს, შენს ლოცვებს ფუჭად, არ დაკარგულა სიყვარული შენი ამაოდ. რაც ცხოვრებაში გამაჩნია, მინდა იცოდე — შენი იმედის წყალობაა, არასოდეს რომ არ მტოვებდა. იმ სიყვარულის წყალობაა, რომ ხედავდი ჩემში სიკეთეს. ჩემო ძვირფასო ემილი სპარკს! მომეცი ნება, რაღაც გაიამბო.

მშობლების ამბავს გამოვტოვებ. მკერავის გოგომ განსაცდელში როცა ჩამაგდო, სულ მარტოდმარტო დავრჩი ქვეყნად. გზად ყველაფერი გამოვცადა — ღვინო, ქალები და დროსტარება. რუ დე რივოლის სასტუმროში, ერთ ღამეს, როცა ღვინით ვთვრებოდი შავთვალეა გოგოსთან ერთად, ცრემლი გამიკრთა თვალებში და გოგოს ეგონა — ეს სიყვარულის ცრემლი იყო. გამიღიმა და ჩათვალა, თითქოს ჩემი გული უკვე დაეპყრო. თუმცა ფიქრი ჩემი ათასობით მილს იქით ფრენდა — იმ დროში, როცა სფუნ რივერში თქვენ მასწავლიდით. და რადგან ჩემი სიყვარული აღარ შეგეძლოთ, არც ჩემთვის ლოცვა, წერილებსაც არ მიგზავნიდით, მეც თქვენს მაგივრად მარადიულ სიჩუმესთან ვლაპარაკობდი.

იმ შავთვალას კი ეგონა, რომ მას ეკუთვნოდა ჩემი ცრემლებიც და უგულო, ყალბი ამბორიც. მე იმ წამიდან სულ ახალი სუნთქვა გამეხსნა, ჩემო ძვირფასო ემილი სპარკს, ჩემო ძვირფასო!

ემილი სპარკსი

ნეტავ, სად არის ახლა ჩემი ძვირფასი ბიჭი, გამორჩეულად რომ მიყვარდა მოსწავლეებში. რომელ შორეულ მხარეშია, სად მოგზაურობს? მე — ქალწული და შინაბერა მასწავლებელი ყველა მათგანს ხომ საკუთარი შვილივით ვზრდიდი. ნეტავ, სწორად თუ დავინახე მის სულში ცეცხლი, ენერჯია და მისწრაფებები? ო, ჩემი ბიჭი, ჩემი ბიჭი, ვისთვისაც მუდამ ვლოცულობდი და ამ ლოცვაში ღამეებს თეთრად ვათენებდი! გახსოვს, წერილი რომ მოგწერე ქრისტესადმი წრფელ სიყვარულზე? არ ვიცი, იქნებ ვერც მიიღე, მაგრამ იცოდე, ჩემო ბიჭო, სადაც არ უნდა იყო ახლა, იღვანე შენი სულისათვის, რომ მთელი შენი თიხა და მტვერი დანებდეს შენს ცეცხლს. რადგან ცეცხლი არის ნათელი! მხოლოდ ნათელი!

რუსი სონია

მე დავიბადე ვეიმარში — ფრანგი დედის და გერმანელი პროფესორი მამის ასული. თოთხმეტი წლიდან დავობდი და ცეკვა დავინყე. მთელი პარიზის ბულვარებში რუსი სონიას სახელით მცნობდნენ. ჯერ ჰერცოგების საყვარელი ვიყავი, მერე ლარიზ-ლატაკი მხატვრებისა და პოეტების. ორმოცი წლისამ, ნაადრევად მობერებულმა, ნიუ-იორკისკენ ავიღე გეზი და გემზე ბებერ პატრიკ ჰამერს გადავყვარე. სამოცის იყო — ახოვანი, ლოყანითელი ჰამბურგში გემით საქონელი გაეყიდა და შინ ბრუნდებოდა. მეც სფუნ რივერში მომიყვანა.

ოცი წელი ისე ვიცხოვრეთ, ყველას ეგონა, რომ პატრიკის ცოლი ვიყავი. ლურჯი ჩხიკვების საყვარელი ხეა ეს მუხა მთელი დღე გაბმით ჭორობენ, არ ჩერდებიან. რა ენაღვლებათ? ჩემი სული კი სულ იცინის, როდესაც ფიქრობს ცხოვრებაზე, როგორც თამაშზე.

ალექსანდრ თროქმოტონი

ახალგაზრდობაში ძლიერი და დაუღლელი ფრთები მქონდა, მაგრამ არ ვიცნობდი მთებს. ასაკში შევიცანი მთები, თუმცა დაღლილმა ფრთებმა ვეღარ შეძლეს, ოცნებას მიჰყოლოდნენ. იდეალურია სიბრძნე და ახალგაზრდობა.

თარგმნა ქეთი ნიჟარაძე



# ვახუშტის „წუთისოფელი“

„ობიექტურობაზე იოლი რა არის?! ამისთვის მხოლოდ გულგრილობა და ინდიფერენტულობაა საჭირო. ობიექტურობა ობიექტების მოგონილია, რომელთაც სუბიექტურობისა არაფერი სცხიათ, ვინაიდან პიროვნებები არ არიან. ობიექტურობამ „დუენდე“ არ იცის. „დუენდეს“ გარეშე არსებობას კი აზრი არა აქვს!“  
ვახუშტი კოტეტიშვილი, „ჩემი წუთისოფელი“

ერთხელ ლიტერატურით „დაავადებულმა“ ადამიანმა აღნიშნა, ვახუშტი ცუდ დროს გარდაიცვალაო. ბევრი დაეთანხმა. 2008 წლის აგვისტოს დღეებში ცოტამ თუ გაიგო ვახუშტი კოტეტიშვილის გარდაცვალების ამბავი, მერე მოიკითხეს „კაცი, რომელიც დააკლდა ქალაქს“ და მას შემდეგ სულ იხსენებენ მას, როგორც მთარგმნელს, ირანისტს, პუბლიცისტს, ფოლკლორისტს...

ვახუშტი კოტეტიშვილის 80 წლის იუბილეს აღსანიშნავად მწერალთა სახლმა საქართველოს სკოლების უფროსკლასელთათვის კონკურსი გამოაცხადა და ამ კონკურსის ფარგლებში მოსწავლეებს უნიკალური შანსი მისცა, მწერლის მოგონებათა წიგნს — „ჩემი წუთისოფელი“ — ელექტრონული ფორმით გასცნობოდნენ. კონკურსის პირობების თანახმად, ამ წიგნის მიხედვით, მოზარდებს 3 შეთავაზებული თხზულებიდან („ხიდი ორ ეპოქას შორის“, „დიდი ტერორი“, „ერთი ოჯახის ისტორია“) ერთ-ერთი უნდა დაენერათ. კონკურსი შედგა. თუმცა გამარჯვებულების გამოვლენას ერთი დღით უსწრებდა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება.


დეკემბრის სუხიან დღეს — ბარბარობას — მწერალთა სახლმა, ვახუშტი კოტეტიშვილის 80 წლის იუბილესთან დაკავშირებით, მის შემოქმედებით საღამოსა და სონეტების კრებულის პრეზენტაციას უმასპინძლა. კრებული იმითაცაა ღირებული, რომ ის ლიტერატურით დაინტერესებულ მკითხველს ნათელ წარმოდგენას უქმნის, როგორი ნაყოფიერი იყო ვახუშტის შემოქმედებითი ცხოვრების უკანასკნელი წლები. სონეტების სრული კრებული მწერ-

ალთა სახლის ინიციატივითა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით გამოიცა.

ვახუშტის ნიჭის თაყვანისმცემლებმა, ახლობლებმა, მწერლებმა და უბრალოდ, ლიტერატურით დაინტერესებულმა სტუმრებმა „ბადაგონის“ ჭიქა ღვინით აღნიშნეს ვახუშტის 80 წელი, მწერალთა სახლის მიერ პირველად გამოცემული წიგნის — სონეტების კრებული — „დაბადება“ და მეორე დღეს ნიჭიერი მოზარდების გამოვლენის იმედოდ დაიშალნენ...

ნიჭიერი მოზარდები ბევრნი აღმოჩნდნენ. კონკურსში მონაწილე საუკეთესოთა შორის საუკეთესო უფროსკლასელები მწერალთა სახლის თანამშრომლებმა გამოავლინეს. ფოთის პირველი საჯარო სკოლის მეცხრეკლასელმა, **არჩილ გვასალიამ** პირველობა მოიპოვა თემით — ერთი ოჯახის ისტორია, როგორც ეპოქის სახე. მეორე ადგილი წილად ხვდა ამბროლაურის მე-2 საჯარო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე **ნინო ჯანელიძეს**, რომელმაც საკონკურსოდ შეარჩია თემა — დიდი ტერორი, ხოლო მესამე ადგილზე გავიდა თბილისის მე-6 საავტორო სკოლის მეთორმეტეკლასელი **ელენე ჯავახიშვილი**, რომელმაც თავის თხზულებაში, პირველ ადგილზე გასულის მსგავსად, ერთი ოჯახის ისტორია მოგვითხრო. გამარჯვებულებს სიგელებთან ერთად ტაბლეტები და წიგნები გადაეცათ, მათ შორის, ვახუშტი კოტეტიშვილის ახლადგამოცემული „სონეტები“. დაჯილდოვების შემდეგ კი მთარგმნელმა და პოეტმა გიორგი ლობჯანიძემ შეკრებილ საზოგადოებას საინტერესოდ მოუთხრო ვახუშტი კოტეტიშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე, იმ დეტალებზე, რომელთა შესახებაც ვახუშტის „წუთისოფელი“ არაფერია ნათქვამი, რადგან, როგორც პირველი წიგნის დასასრულს თავად შეგვპირდა:

„მეორე წიგნამდე... ვეცდები, სული მოვიტყვა, რათა გაგიძღვეთ ჩემი ცოდვაბრაღიანი წუთისოფლის საქარავნო უდაბნოთში“.



## ცაცო კოტეტიშვილი შეხვედრა ჩვენებურებთან

მწერალთა სახლის პროექტის — მწერალთა სახლი და ქართული დიასპორები — ფარგლებში წილად მხვდა ბედნიერება, სტამბულის ქართული კულტურის სახლში მოვხვედრილიყავი, სადაც მასპინძლობა გამიწია იქ მცხოვრებმა ქართველმა ელიზბარ ცივნარიძემ, რომელიც საქართველომ სატელევიზიო პროექტის — „იმედის გმირები“ — საშუალებით გაიცნო (ავტორი — გოდერძი შარაშია). პროექტის მიზანი თურქეთში არსებული ქართული დიასპორისა და მწერალთა სახლის მჭიდრო კონტაქტის დამყარება გახლდათ.

სტამბულის კულტურის ცენტრი ხუთი წელია, არსებობს. ყველაფერი კი 2010 წელს რადიო „ჩვენებურებით“ (ერთადერთი ქართული ხმა, რომელიც ორი მეზობელი ქვეყნის კულტურული ხიდი იყო და ამით დიდ საქმეს აკეთებდა) დაიწყო, როცა ენთუზიასტი ქართველები ქართული ენის გადასარჩენად შეიკრიბნენ. ჩვენს ისტორიულ ტერიტორიაზე მცხოვრები ლაზები ცდილობენ, საქართველოსთან კონტაქტი არ განწყვიტონ, არ დაივიწყონ ენა და ქართული ტრადიციები. ამასვე ემსახურებიან კულტურის სახლის აქტივისტები. ქართული ენის შემსწავლელ კურსებზე ქართულს ეუფლებიან არა მარტო ქართველები, არამედ — თურქებიც. პროგრამას სათავეში უდგანან ცნობილი მთარგმნელები — ქევსერ რუჰი (ქეთევან ხანთაძე) და ფაჰრედინ ჩილლოღლუ (ფარნავაზ ჩილაშვილი). ამ უკანასკნელის კალამს ეკუთვნის გალაკტიონის, ტიცინ ტაბიძისა და მუხრან მაჭავარიანის ლექსების, ოთარ ჭილაძის „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“, ერლომ ახვლედიანის „კოლო ქალაქში“, დათო ტურაშვილის „ჯინსების თაობისა“ და სხვა მწერალთა ნაწარმოებების თარგმანები. ქევსერ რუჰი კი ცნობილია, როგორც ყველა ქართული საქმის სულისჩამდგმელი, ქართველ შემოქმედთათვის ცოდნისა და ინფორმაციის უშრეტი წყარო და თურქეთის კულტურულ წრეებში გავლენიანი და პოპულარული პიროვნება. ორივე მათგანი — ქევსერ რუჰიცა და ფაჰრედინ ჩილლოღლუც — ოქროს საწმისით არიან დაჯილდოვებულნი.

ჩვენი მასპინძელი — ელიზბარ ცივნარიძე — იმის გარდა, რომ სტამბულში ქართული კულტურის სახლს თავმჯდომარეობს, ავტორია პოპულარული სერიალისა „კავკასიის ქარი“ (52 სერია), რომელიც მთლიანად კავკასიურ ფოლკლორზეა აგებული. ის განსაკუთრებულად ქომბაგობს იმ ქართველ და თურქ ახალგაზრდებს, რომელთაც ქართული ენის შესწავლა და საქართველოსთან მჭიდრო ურთიერთობა სწადია. ყოფილა შემთხვევა, როცა ქართული ტრადიციების შესან-

არჩუნებლად საკუთარი სახსრებითა და მეცენატების დახმარებით ფოლკლორული ანსამბლიც გადაურჩინია. ქართული ენის შემსწავლელ კურსებზე არც ჩვენს სამზარეულოს ივინყებენ, „ჩვენებურებმა“ ქართული კერძების გემო რომ არ დაკარგონ.

კიდევ ერთი კულტურული კერა სტამბულის აზიურ ნაწილში ერთი წლის წინ გაიხსნა. ქართული ხელოვნების სახლს თურქეთში მცხოვრები საზოგადო მოღვაწის, ახმედ მელაშვილის (მის სახელს უკავშირდება არაერთი მამულიშვილური და პატრიოტული საქმე) ვაჟი — იბერია მელაშვილი — ხელმძღვანელობს. აქ ყველა სახის ქართული საკრავია. მწირი ბიბლიოთეკა კი მკითხველს ქართულ წიგნებს სთავაზობს.

წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა მწერალმა გურამ ხიმშიაშვილმა, რომელსაც ქართველი და თურქი მწერლების ურთიერთობის ხიდი გაუღია და ჟურნალ „ჩვენებურებს“ ავრცელებს. თურგუთ ჩვეთქერი (ბარათაშვილი) კი, რომელიც თურქეთის კინოსტუდიაში მუშაობს და როგორც მხატვარ-იუმორისტი დიდი გავლენით სარგებლობს საზოგადოების ფართო ფენებში, ქართული წიგნების თარგმანსა და გავრცელებას ემუშავება.

საყოველთაოდ ცნობილი არიან სტამბულში მოღვაწე ქართველი კათოლიკეები, რომელთა სავანე ხარისჭირაშვილის მიერ აგებული ეკლესია იყო. ზაზაძეების ოჯახი (ერთადერთი ისა რომ შემორჩა თურქეთს) მზრუნველობას არ აკლებს ტაძარს, რომელიც დღესაც ამყავდ გადმოჰყურებს იქაურობას. წელიწადში ერთხელ, თებერვალში, ზაზაძეებს საკუთარი სახსრებით ჩაჰყავთ სასულიერო პირები და ქართულ ენაზე აღავლენიანებენ ნირვა-ლოცვას. სამწუხარო ისაა, რომ ქართველი მოღვაწეების კვალი (საფლავები) ნაშლილია და ისტორიას მხოლოდ მათი გვარებილა შემორჩა.

სულ ახლახან გაიხსნა ქართული კაფე — „გალაკტიონი“ — სადაც მისი დამაარსებელი, პოეტი ირაკლი კაკაბაძე პრო-



პაგანდას უწევს ქართულ კულტურასა და ეროვნულ კერძებს. „ჩვენებურები“ ხშირად სტუმრობენ ამ ადგილს.

შეუძლებელია, იყო სტამბულში და არ გახსენდებოდეს ძველი კონსტანტინეპოლი, ბიზანტიის იმპერიის საოცრება — აიასოფია, წარსულის ამსახველი ოსმალური პერიოდის სასახლეები არაჩვეულებრივი ლამაზდრებით, სვედის მომგვრელი თოფქაფის მწვანე სასახლე, რომელშიც ცხოვრების ბოლო წლები გაატარა სამშობლოდან გადახვეწილმა დიდმა მოურავმა გიორგი სააკაძემ.

„ჩვენებურების“ წყალობით სტამბულში ქართული სული ტრიალებს. მათი დამსახურებით 14-მა ახალგაზრდამ შეისწავლა ქართული ენა. აღფრთოვანებასთან ერთად გეუფლება სევდაც. ბიზანტიისა და ოსმალთა იმპერიის დიდ კულტურებთან შეხვედრა გახსენებს საქართველოს ისტორიულ სინამდვილეს. ფამთა სიავემ ჩვენი მოსახლეობის წინაპართა დიდი ნაწილი მშობლიურ მიწას მოწყვიტა, მაგრამ სამშობლო, ეს აღმატებული ცნება, მაინც შემორჩა და დღესაც მძაფრია იმ ქართველებში, რომელთაც ბედის უკუღმართობამ შორს არგუნა ცხოვრება. საკუთარ მამულს იძულებით მოწყვეტილი ჩვე-

ნი წინაპრები მაინც საქართველოზე გულანთებულნი დარჩნენ. ამას ადასტურებს მათი სასაუბრო ენა, აქა-იქ შემორჩენილი ძველი ტრადიციები და ის საქმიანობა, რომლითაც „ჩვენებურები“ სამშობლოდან შორს არიან დაკავებულინი.

პროექტის ფარგლებში „ჩვენებურებს“ უკვე მწერალთა სახლმა უმასპინძლა. საკუთარ შემოქმედებასა და ქართული კულტურის განვითარების ხელშეწყობაზე ისაუბრეს ლიტერატორმა და მთარგმნელმა ქევსერ რუჰმა, მწერალმა და მთარგმნელმა ფაჰრედინ ჩილლოღლუმ, მთარგმელმა ჰასან ჩელიქმა (რომელიც ამჟამად „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანზე მუშაობს), სტამბულში ქართული კულტურის სახლის თავმჯდომარემ, ერდალ ქუჩუქმა (ელიზბარ ცივნარიძე). ემოციური საღამოს თვითმხილველნი გაცხდით.

მინდა, მაღლობა გადავუხადო საქართველოს პრეზიდენტის ფონდსა და მწერალთა სახლს, რომელთა წყალობითაც, მოგვეცა საშუალება, ჯერ სტამბულში, შემდეგ კი საქართველოში შეხვედროდით ქართველ შემოქმედთა ჯგუფს. თანამშრომლობის პირველი ხილული ძაფი გაბმულია, წინ არაერთი საინტერესო კულტურული შეხვედრა გველოდება.



# ცოცხალ წიგნებად ქცეული მწერლები

ალბათი გაგიჭირდება, გაიხსენო რომელიმე სხვა ლიტერატურულ-საგანმანათლებლო პროექტი, რომელმაც მსგავსი მასშტაბები შეიძინა, აიყოლია თითქმის მთელი საქართველო, დაწყებული მწერლებიდან და მკითხველებიდან, მასწავლებლებიდან და მოზარდებიდან, დამთავრებული საქართველოს მოსახლეობით, რომელსაც ყანასა თუ ვენახში მუშაობისას „მიაკითხეს“ „წიგნებმა“ და მის წინ „გადაიფურცლნენ“. ეს არ ყოფილა პროექტი, მხოლოდ კულტურის ცენტრების, სკოლების, სასწავლო დაწესებულებების, ბიბლიოთეკების, სახლ-მუზეუმების, ქალაქების მუნიციპალიტეტებისა და გამგებების სააქტო დარბაზებში მკაცრად განერილი გრაფიკით რომ ხორციელდებოდა. ეს ექსპრომტების, ახალ-ახალი იდეების, ცოცხალი კავშირების, იმედის, სამომავლო შეხვედრების დათქმის დიდი აქცია გახლდათ. მწერლები ოჯახებში შევიდნენ, ეზოები გაავსეს, არ დაუტოვებიათ საქართველოს თავის კუთხე, სულ უფრო მეტნი ხდებოდნენ და მკითხველებიანად, ახალშექმნილი მეგობრებიანად აგრძელებდნენ გზას.

2015 წლის ოქტომბერში კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს გრძელვადიან პროექტ „ცოცხალი წიგნები“ პირველი ეტაპი დასრულდა. თუმცა ასეთი დიდი წამოწყებები თავისი არსიდან, ხასიათიდან გამომდინარე, არასდროს მთავრდება, ვინაიდან ეს ყველაზე მნიშვნელოვანი ურთიერთობის — მწერლებსა და მკითხველს შორის ურთიერთობის ახალი სახეა, ახალ დროების შესაბამისი კავშირია.

და „ცოცხალი წიგნებიც“ აგრძელებს სიცოცხლეს. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ საქართველოს თავდაცვის, ასევე, სასწავლო-სამეცნიერო და პროპაგანდის სამინისტროებთან გაფორმებული მემორანდუმების საფუძველზე „წიგნები“ ქართული ჯარისა და პატიმრებისთვისაც „გადაიშალა“. მწერლები ესტუმრნენ კოჯრის სერჟანტთა მომზადების ცენტრს, ეროვნულ სასწავლო ცენტრს კრწანისში და

ეროვნული თავდაცვის აკადემიის გორში. ესაუბრნენ სამხედრო პირებსა და ვეტერანებს, მათ შორის, ჯარისკაცებს, რომლებიც მალე ავღანეთში გაემგზავრებიან სამშვიდობო მისიით. შეხვდნენ რუსთავის მე-16 სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულების პატიმრებსა და თანამშრომლებს.

პროექტ „ცოცხალი წიგნები“ პირველსავე დღიდან აშუქებდა „ლიტერატურული გაზეთი“, რომლის ფურცლებზეც იბეჭდებოდა ინტერვიუები პროექტის ხელმძღვანელებთან, მონაწილეებთან, ასევე — მონაწილეთა ჩანაწერები. ისინი ხომ მთელი ამ დიდი მოგზაურობის განავლობაში დღიურებს აწარმოებდნენ. მალე სწორედ მათი ჩანაწერებისგან აიკინძება და გამოიცემა წიგნი, რაც ერთგვარად დაავიწყებინებს პროექტის პირველ ეტაპს.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი და სასიხარული ინფორმაცია: საზოგადოებრივი მაუწყებელი დეკემბრის ბოლოს მაყურებელთან ერთად გამოავლენს „წლის საუკეთესოს“ 12 ნომინაციაში. პროექტი „ცოცხალი წიგნები“ წარდგენილია როგორც „წლის ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა ლიტერატურის დარგში“.

გამარჯვებულთა გამოცხადებამდე დღეებია დარჩენილი. მანამდე კი ჩვენი მწერლები ჩანაწერების წერას განაგრძობენ.

**ლია სტურუა:** „ჯარი, მწერალი, გმირი. კი, გმირი ცოტა პათოსური სიტყვაა. ლიტერატურაში დესეროზაცია რამდენი ხანია, მოგახდინეთ, პათოსს ძახილის ნიშნები დავაგლიჯეთ, აზრის ჩონჩხი კი მაინც დარჩა. შიგადაშიგ ჯანსაღ ხორცს მოისხამს ხოლმე, რომ დრომ, ომმა, სოციალურმა გაჭირვებამ, მარტოობამ აგლიჯოს ეს ხორცი. ზოგი თვითონაც აკეთებს ამას და ლექსს აჭმევს თავის თავს. ენათესავეებიან ერთმანეთს პოეტები და ჯარისკაცები.“

იქნებ ამიტომ შეგვხვდნენ ასე ჯარის ნაწილში, ან როგორ გვისმენდნენ, ან როგორ არ ენანებოდათ ტაში, ტლუ ადამიანისა და სწობისგან განსხვავებით. როგორი რთული ურთიერთობა დავამყარეთ და როგორ არ გვინდოდა წამოსვლა და სახლის ნორმალურ თარგში თავის ჩაჭყლელა.

ძალიან გაამართლა ამ „ცოცხალმა წიგნმა“, როცა ტელევიზიიდან „პოეზიის 5 წუთი“ რაა, ისიც კი გადაადგეს. „ადამიანს ანუხებს ესთეტიკური წყურვილი და ის სვამს მღვრიე წყალს“. პოეზია ეს მდინარეა, რომელშიც ორჯერ კი არა, ბევრჯერ შეიძლება შეხვიდე და ცოტა მაინც უფრო გამჭვირვალე ამოხვიდე, ვიდრე იყავი.

იქნებ აღდგეს ის ლიტერატურული დრო, როცა პაოლო იაშვილი ამბობდა, „დადის ქალაქში ბევრის მსგავსი ჩემი სხეული და ხალხი ამბობს, ის კაცია ლექსის მწერალი“.

**კატო ჯავახიშვილი:** „ბიძა მონადირე მყავდა და სულ პატარა ვიყავი, პეკინის ქუჩაზე, ახლადგახსნილი ცეცხლსასროლი იარაღის ტირს რომ ვესტუმრეთ. არ ვიცი, ახლაც არის თუ არა — „დიანა“ ერქვა. მახსოვს, ჩემი პირველი შთაბეჭდილება და შემდეგ უკვე დიდი სურვილი, იქ ხშირად მივსულიყავი. აი, სულ ამაზე მეფიქრებოდა, როცა ჩვენ, ცოცხლადმყოფი წიგნები, კოჯრის გზას დავადექით და სამხედრო ნაწილისკენ ავიღეთ გეზი. დარბაზში რომ შევედი და ჯერ სულ მთლად პატარა ბიჭები დავინახე, გულზე რაღაცამ მაგრად მომიჭირა, მერე რამდენიმე ახალგაზრდა გოგოც დავინახე და უფრო დამიძიმდა გული. ტექსტებს რომ ვკითხულობდით, რეაქციებს ვაკვირებოდი და ვამჩნევდი, როგორ რეაგირებდნენ ცხელ, ომგამოვლილ თემებზე მათი თვალები, როგორი ცხელები იყვნენ თვითონაც, რაღაცნაირად გულწრფელები.“

დიდი ხანია, ვიცი, რომ გმირები არ არსებობენ და კაცობრიობასაც და ომსაც ეს ადამიანები ძალმომრეობის გასამართლებლად სჭირდება, და მაინც, იღებენ ადამიანები ხელში იარაღს, იფარებენ თავზე ტყვიავაუმტარ ქუდებს და ჩვენს წინ დგებიან. ალბათ სწორედ ეს „წინ“ დადგომაა ცხოვრება. ვილაც ხომ ყოველთვის უკანაა...“

**გიკო ქარსული:** „გახსოვთ, მიღედი დ'არტანიანის გვერდით რომ წევს, გრაფიკულ ვარდის მოსაკლავად აქეზებს და ფიქრობს: „ჯერ ის შერცხვენილი მომა-

შორებიან და მერე შენ მოგივლი, შე ცოცხალ ხმლის პირო!“ ცოცხალი ხმლის პირის რა მოგახსენოთ, მაგრამ მარიამ ნიკლაურმა და ქეთი დუმბაძემ ეს ამდენი და სულ სხვადასხვანაირად დამთხვეული მწერალი და პოეტი „ცოცხალი წიგნებად“ კი გვაქციეს.“

საერთოდ, მე პროექტების და სამინისტროების დიდი გულშემატკივარი ვერ გახლავართ, მაგრამ „ცოცხალი წიგნები“ ნამდვილად ბედნიერი გამონაკლისია. მე წილად მერგო ბედნიერება, „ცოცხალი წიგნების“ პირველი ექსპედიციის წევრი ვყოფილიყავი, ირაკლი ლომოურთან, ქეთი დუმბაძესთან, მარიამ ნიკლაურთან, ნინია სადლობელაშვილთან, კატო ჯავახიშვილთან და პაატა შამაშვილთან ერთად, როდესაც შიდა ქართლს და ბორჯომს ვესტუმრეთ. ეს იყო ნამდვილად დაუვიწყარი დღეები. ამის შემდეგ კიდევ სამჯერ მქონდა „ცოცხალი წიგნად“ ყოფნის პატივი, კოჯრის, საქართველოს ეროვნული გმირის — გიორგი ანუხეიძის სახელობის ბატალიონში, რუსთავის მე-16 კოლონიაში და პანკისის ხეობაში. ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შემიძლია მოგახსენოთ, რომ პირადად ჩემთვის ყოველი ასეთი გასვლა ძალიან შთამბეჭდავი იყო.

ვფიქრობ, „ცოცხალი წიგნები“ ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პროექტია. კიდევ ერთხელ უღრმეს მადლობას ვუხდით ქეთის, მარიამს და ამ პროექტის ყველა მონაწილეს და ვუსურვებ ძალიან დიდ წარმატებას, ბევრ საუკეთესო ექსპედიციას და საინტერესო თავგადასავალს. მართალია, „ცოცხალმა წიგნებმა“ თითქმის მთელი საქართველო მოიარა, მაგრამ ვფიქრობ, რომ საბედნიეროდ, სანახავი, სამოგზაურო და დასანერვი უამრავია.

ბედნიერი მგზავრობა „ცოცხალი წიგნებს“.

მომზადდა თამარ ქურსულმა

შემდეგი ნომერი გამოვა 15 იანვარს



## ლიტერატურული გაზეთი

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო  
საქართველოს მწერალთა სახლი

რედაქტორი ირაკლი ჯავახიძე  
რედაქტორის მოადგილე უჩა შერაზადიშვილი  
ჟურნალისტი თამარ ჟურული

მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com

ISSN 2346-7940  
9 772346 794004